

№14 (278)


# ქართული სტეჟა

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;  
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავე, ქართულო სიტყვავე“  
კვირული ჟურნალი

ფასი 1 ლარი

8 – 14 აპრილი 2015 წ. ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა

თინა თოფურიანი: „აღდგომის დღეს 2-3 კვერცხეა მეტი არ მიირთვით!“



»»» 83-16-17 გვ.

წითელი კვერცხის სასარგებლო და გავნე თვისებები – რატომ უნდა შევღებოთ კვერცხი მაინცდაამინც ენდროთი და რატომ უნდა იყოს სააღდგომო სუფრაზე ბატკნის ჩაქაფული

გიუნესმანი: „ჩემს შურაცხყოფილ სიტყვებს ფასი არ აქვს და მიჩვენებია, მოგკლან!“ »»» 83-14-15 გვ.

ნინო გოგუაძე: „ირაკლი ერთადერთი მინისტრი იყო, რომელიც თავის უფლება-მოვალეობას პირნათლად ასრულებდა!“



»»» 83-10-11 გვ.

„გვერი საიდუმლო მასალაა, რაზეც ირაკლი ალასანიძე ჯერ არ ლაპარაკობს!“

„ნაციონალები“ ბატონ ბიძინას უნდა უგაღლოდნენ, რომ დღეს არსებობენ!“



»»» 83-12-13 გვ.

ლუკა კურტიანიძის პოლიტიკური შეფასებები

„თავისუფლების რაფების“, იგივე „ტყეხელაშვილის ცხენების“ გურუსით მოცული თავგადასავალი »»» 83-16 გვ.

## ვინ არიან „მონღოლა“ და „ავღანელი“ – ქართული პოლიტიკური გაფიის ანატომია



სად გაქრა 3 მილიონი ლული – სპეცსამსახურებისა და ისლამისტი ტერორისტების ფარული კავშირები

»»» 83-2-3-4 გვ.

## ჯონი ბიგანი: „ტირაქტები მოვიწყვეს და სწყინდათ, რატომ არ მოკვდიო!“



»»» 83-8 გვ.

„როგელ სვანურ სასამართლოზე ლაპარაკობენ? ჯერ ერთი, ბესო ხარკიანის გვკვლელობა გვარავს შორის დაპირისპირებას კი არა, იმას უკავშირდება, რომ უდესიანმა ბესოს ქონება წაართვა და ახლა, ამ ქონების უკან დაბრუნება არ უნდა. ეს გვარავს შორის კონფლიქტი კი არ იყო, არამედ, ერთ-ერთი იმ ზონდერ-ტირორის ფაქტია, როგორ ზონდერ-ტირორსაც უდესიანი მთელი 9 წლის განმავლობაში ბიზნესმენებისა თუ რიგითი ადამიანების მიმართ ასრულებდა!“

არჩილ კვიციანი ლაზა ნაცვლიშვილის გია უდესიანთან შესაძლო კავშირს არ გამორიცხავს!



საქრებულო  
საქრებულო

საკანდალური ექსკლუზივი

# ვინ არიან „მონღოლ“ და „ავღანელი“ — ქართული პოლიტიკური მაფიის ანატომია

„ქართული სპეცსამსახურები გარყვნილები არიან“ — აცხადებს „ქართული სიტყვის“ ექსკლუზიური ინტერვიუების ციკლში უშიშროების თადარიგის პოლკოვნიკი, უსაფრთხოების ექსპერტი კონსტანტინე ფორჩხიძე და იმ სტემას შიფრავს, რომლითაც უშიშროების სამსახურები ჩეჩენ და არაბ ვაჭარბიტებთან ერთად დიდძალ ფულს შოულობდნენ. ინფორმაცია, მართლაც, შოკისმომგვრელია. ამასთან, ვიდრე საქმის დეტალებს გაგაცნობთ, გეტყვით, რომ ლაპარაკია — არც მეტი, არც ნაკლები — 3 მილიონ დოლარზე, რომელიც საქართველოში ჰუმანიტარული ორგანიზაციის საფარქვეშ შემოვიდა... კონსტანტინე ფორჩხიძის თქმით, ამ თემით მას შემდეგ დაინტერესდა, რაც ცნობილი გახდა, რომ ორი პანკისელი მოზარდი სირიაში საბრძოლველად გაიპარა. ქართველი სპეცსამსახურელი ამბობს, რომ საქართველოს მოქალაქეების, ანუ ქისტების „ისლამურ სახელმწიფოს“ მებრძოლებად წასვლა მოულოდნელი არაა, რადგან ყველაფერი ეს, წლები მზადდებოდა. „ქართული სიტყვის“ შეკითხვაზე, თუ საიდან აქვს საკანდალური ინფორმაციები, ფორჩხიძე, ტრადიციულად, პაუზობს: „მართალია, მერაბიშვილი უშიშროებიდან გამოიშვა, მაგრამ პირადი ოპერატიული წყაროები, ანუ რასაც ხალხი აგვჩვენებს ექსპრესი, ისევე მყავს!“ ერთი სიტყვით, 57-ე ინტერვიუში კონსტანტინე ფორჩხიძე მხოლოდ ფულის შოვნის უშიშროების დეტალებს კი არ ასაჯაროებს, არამედ, ბესო ხარძიანის მკვლელობასაც ეხება და ღიად ამბობს, რომ რაკი საქმეში ე.წ. მაყურიანი პისტოლეტი ფიგურირებს, გამოირიცხული არაა, მკვლელს, უფრო სწორედ, მკვლელობის შემკვეთს მფარველები ქართულ უშიშროებაში ჰყავდეს! ისე, ნიშანდობლივია, რომ გია უდესიანმა, რომელთანაც მოკლულ ხარძიანს კონფლიქტი ჰქონდა, რამდენიმე დღის წინ, ტელევიზიით, პრაქტიკულად, აღიარებითი ჩვენება მისცა და დაადასტურა, რომ თავდაცვის სამინისტროში საიდუმლო ჯგუფს ხელმძღვანელობდა...

— ბატონო კონსტანტინე, ჩვენი ბოლო შეხვედრის შემდეგ, ქვეყანაში უამრავი რამ მოხდა, უმეტესად, — ნეგატიური, თუმცა მოვლენებს, მოდით, ქრონოლოგიურად მივყვეთ და საუბარი აგვისტოს ომის გმირთა ნაწილების დასაფლავებით დავიწყოთ. აღნიშნულ ცერემონიალს მთავრობა არ დაესწრო, რაც პრემიერმა არაორგანიზებულად ბოლო ახსნა...

— იმ დღეს მინისტრიალი ტარდებოდა...

— კი ბატონო, მაგრამ ოპოზიციას თუ გვიტახტო, ამ ნაბიჯით ხელისუფლებამ პატრიოტული სულისკვეთება დააკნინა...

— ამ მოსაზრებას არ ვიზიარებ, რადგან ჯერ ერთი, ამ ცერემონიალს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ. მეორეც, ის, რომ მინისტრი მინისტრიალზე არ მისულყოფი, უფრო დიდი საკანდალი იქნებოდა...

— მეჩვენება, რომ მინდია ჯანელიძის გამართლებას ცდილობთ...

— არა, არ ვცდილობ...

— ნინა ინტერვიუში მითხარით, რომ სუს-ი და შესაძლოა, სხვა უწყებებიც გითვალთვალებენ. თქვენი დღევანდელი სიფრთხილე ამით აიხსნება?

— არ ვიცი, ვინ, მაგრამ მართლა მითვალთვალებენ და ამის ფაქტებიც მაქვს.

— რა ფაქტები?

— ორი დღის წინ, ჩემი სახლის წინ, ვერცხლისფერი „შკოდა“ იდგა, რომელიც საექვოდ მომჩვენა და ტელეფონით ფოტო გადავუღე. მაშინვე „მოტყადა“...

— საინტერესოა...

— მოკლედ, საპაერო თავდაცვა საქართველოს შეიარაღებული ძალების ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი და ეს ბუნებრივიცაა, რადგან ჩვენი დოქტრინა, რომელიც წერილობითი სახით არ არსებობს, სწორედ თავდაცვაზეა დაფუძნებული.

სხვათა შორის, ამ თემაზე ლაპარაკი დავით კეზერაშვილმა დაიწყო და ამ კუთხით უამრავი თანხაც იხარჯებოდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, 2008 წლის აგვისტოს ომში, პრაქტიკულად, საპაერო თავდაცვის სისტემების გარეშე აღმოვჩნდი...

— ბატონო კონტე, ამ თემაზე სხვა დროსაც გვისაუბრია. ამიტომ, შეკითხვას სხვანაირად დავისვამთ: ირაკლი ალასანიას აცხადებს, რომ ოფიციალურმა თბილისმა საფრანგეთთან საპაერო თავდაცვაზე წარმოებული მოლაპარაკება ჩაშალა, ეს, ირიბად, ლაღატში დადანაშაულებათ?

— ცალმხრივად, შესაძლოა, მართლაც, ასეა, მაგრამ უმჯობესია, დეტალებს ჩავეყვით. საერთოდ, ამ თემატიკაზე საჯარო ლაპარაკის წინააღმდეგ ვარ...

— ასეა თუ ისე, საფრანგეთთან ურთიერთ-გაგების მემორანდუმის გაფორმებას წინ

ვერავინ და ვერაფერი დაუდგება. მემორანდუმს ე.წ. განზრახულობათა წერილი მოსდევს, რომელსაც ხელს თავდაცვის სამინისტრო, ანუ შეიარაღების მყიდველი აწერს, რასაც იარაღის უშუალო მწარმოებელთან ხელშეკრულების გაფორმება მოჰყვება. ხელშეკრულებაში ყველა დეტალია განვირეული — იარაღის ფასი, შემოტანის ვადა და ასე შემდეგ.

— ეს დეტალებია...

— ეშმაკები სწორედ დეტალებში სხედან და ამიტომ, ჩვენც „ეშმაკებს“ უნდა ჩავეყვით...

სხვათა შორის, თავდაცვის მინისტრმა, მინდია ჯანელიძემ ბრძანა, ხელშეკრულება აუცილებლად გაფორმდებოდა, თუმცა დრო გვაჩვენებს, მართლა გაფორმდება თუ არა.

აქვე, არც ის უნდა დაგავიწყდეს, რომ რუსეთი ყველაფერს გააკეთებს, ხელშეკრულების გაფორმება რომ ჩაშალოს.

— კრემლი ამას როგორ მოახერხებს?

— საფრანგეთზე რუსეთის გავლენა გაზრდილია და, ბოლოს და ბოლოს, მოსთხოვს, რომ საქართველოს საპაერო თავდაცვის სისტემების მიყიდვაზე უარი უთხრას...

— მართალია, გაცვეთილი თემაა, მაგრამ საეჭვოდ არ გეჩვენება, რომ თავდაცვის სამინისტროს თანამშრომელთა ე.წ. „კაბელების საქმეზე“ დაკავება სწორედ მაშინ მოხდა, როცა თავდაცვის იმპაზინდელი მინისტრი, როგორც თავად ამბობს, საფრანგეთში საპაერო თავდაცვასთან დაკავშირებით მნიშვნელოვან შეხვედრებს მართავდა? მოკლედ, საგარეო კურსის ცვლილების ნიშნებს ხედავთ?

— საგარეო კურსი ასე ადვილად არ იცვლება, რადგან წინა ინტერვიუებშიც აღვნიშნე, რომ საგარეო კურსის ცვლილება, მინიმუმ, ევროკავშირთან ასოციირების ხელშეკრულებით აღებულ ვალდებულებებზე უარის თქმას ნიშნავს.

— ერთი დეტალირებული ვალდებულებები და მეორე — ქმედება...

— ვერ ვიტყვი, რომ საგარეო კურსის ცვლილება ოფიციალურად ხდება, თუმცა გარკვეული ნიშნები სახეზეა, მაგალითად, გოგი თოფაძის ცნობილი განცხადებები. „ქართულ ოცნებაში“ შესაძლოა, არსებობს ჯგუფი, რომელიც საგარეო პოლიტიკური კურსის ცვლილებას ცდილობს, მაგრამ ვერ



სად ბაძრა 3 მილიონი დოლარი — სპეცსამსახურებისა და ისლამისტი ტერორისტების ფარული კავშირები

ვიტყვი, რომ მსგავსი კურსი მმართველ პოლიტიკურ პარტიას, ანუ „ქართულ ოცნებას“ აქვს აღებული.

— არ ვიცი, რას იტყვით და რას — არა, მაგრამ ფაქტია: ქვეყანაში შეკვეთილი მკვლელობების „ბუშია“. წინ, წარსულისკენ მივდივართ?

— პოლიტიკური მკვლელობები შესაძლოა, გაგრძელდეს. სხვათა შორის, იური ვაზაგაშვილის აფეთქების შემდეგ ვთქვი, რომ სისხლი კიდევ იქნებოდა...

— ეს პოლიტიკური წინასწარმეტყველება იყო?

— წინასწარმეტყველება რა შუაშია? პოლიტიკაში პროგნოზები ვითარების ანალიზით კეთდება...

— ამ სისხლზე პასუხისმგებლობა ვის ეკისრება?

— პირველ რიგში, ხელისუფლებას, რადგან სწორედ ისაა ვალდებული, რომ ქვეყანაში ასეთი ტიპის დანაშაული არ დაუშვას!

— აბა, რატომ უშვებს?

— ჯერ ერთი, იმიტომ, რომ პრევენციას ყურადღებას არ აქცევს. მეორეც, სტრუქტურებში „მიდა საბოტაჟია“...

— უკაცრავად, კოტე ბატონო, მაგრამ თავის დროზე „ოცნებაში“, მაგალითად, ლაშა ნაცვლიშვილი მთავარი პროკურორის მოადგილედ რომ დაინიშნა, ეს „ნაციონალებმა“ აიძულეს?

— რა თქმა უნდა, — არა.

— ჰოდა, რა „შიდა საბოტაჟი“ ლაშა-რაკობთ?

— საბოტაჟს მხოლოდ თავში მყოფები არ განაპირობებენ.

— შესაძლოა, მაგრამ ცხონებული ბესო

ხარძიანი ხელს სწორედ ლაშა ნაცვლიშვილს ადებდა...

— ნაცვლიშვილი კომპრომეტირებული ჯგუფის წარმომადგენელია და როგორც კი გამოჩნდა, ვთქვი, რომ „ქართულ ოცნებას“ ხეირს არ მოუტანდა. ასევე, ალსანიშნავია, რომ არსებობს ინფორმაცია მისი და რუსეთის „ფე-ეს-ბე“-ს მაღალჩინოსანთა კავშირებზე. ისე, ვიდრე იმას ვიკითხავთ, ნაცვლიშვილი „ქართულ ოცნებაში“ როგორ მოხვდა, იქნებ, „რესპუბლიკურმა პარტიამ“ აგვიხსნას, უშიშროებიდან წამოსული ნაცვლიშვილი „რესპუბლიკელი“ როგორ გახდა?

— ამ შეკითხვაზე თქვენი პასუხი როგორია?

— ჯერ „რესპუბლიკურ პარტიაში“, შემდეგ კი, „ოცნებაში“ მყოფ ადამიანებზე, თავისი საქმიანობიდან გამომდინარე, ნაცვლიშვილს, ალბათ, მამხილებელი მასალები ჰქონდა. ისე, „ოცნებაში“ მხოლოდ ნაცვლიშვილი კი არა, სხვა ბევრი ოდიოზური ფიგურაც იყო და არის. მაგალითად, არჩილ კბილაშვილი, რომელზეც თინა ხიდაშელი ახლა ამბობს, მისი მთავარ პროკურორად დანიშვნა ჩვენი შეცდომა იყო. კბილაშვილის რუსულ კავშირებზე ადრე ვრცლად ვილაპარაკე, მაგრამ მაინც შეგახსენებთ: მას კავშირი შაქრო კალაშოვთან ჰქონდა, რომელიც იარაღის უკანონო ბიზნესშია გარეული...

— არ დაგავიწყდეთ: ვიდრე მთავარი პროკურორი გახდებოდა, კბილაშვილი ადვოკატი იყო. მეოხსიანის კი, კლიენტის ბეგრანდს, ვფიქრობ, მნიშვნელობა არ აქვს...

— ისეთი კრიმინალური „ავტორიტეტები“, როგორც შაქრო კალაშოვია, ადვოკატებს შემთხვევით არ ირჩევენ. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, კბილაშვილმა, როგორც მთავარმა პროკურორმა, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის შეკითხვებს პასუხი არ გასცა და არც თავდაცვის სამინისტროს ყოფილი ხელმძღვანელების წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრა. არა-



საქართველო  
საქართველო  
საქართველო

„შენ – უკვდავების ჩამონადენი, მშვენიერებას ხომ შენით ითქვა;  
დღეება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა“  
კარგე ღმერთო

საზოგადოებრივი მსჯელობის შედეგად

მე-2 გვერდიდან

და, იარაღის უკანონო ბიზნესზე არაერთი მტკიცებულება არსებობს...

– სხვათა შორის, კბილაშვილი ამჟამად „ერემჯი გოლდის“ იურისტია. პრემიერი კი მათ, ვინც საყდრისის ოქროს საბადოს იცავს, საბოტაჟში ადანაშაულებს, სამართალდამცვეებს მათი საქმიანობის შესწავლისკენ მოუწოდებს და, ასევე, იმდონებს, რომ უზენაესი სასამართლოს ახალი თავმჯდომარე იმ გადაწყვეტილებას გადახედავს, რომლითაც კომპანია დაყვადდა...

– როცა პოლიტიკური ფიგურა ასეთ განცხადებას აკეთებს, ეს, მინიმუმ, შეცდომაა. გარდა ამისა, პრემიერის განცხადება საზოგადოებამ შესაძლოა, სასამართლოზე შეწონილად აღიქვას! თუ გვინდა, ნორმალური სამართლებრივი სახელმწიფო ავაშენოთ, მთავრობის წარმომადგენლები ასეთ განცხადებებს არ უნდა აკეთებდნენ! ყველაფერი ეს კი იმის ბრალია, რომ სააკაშვილის მიერ შექმნილი სისტემის რეფორმირება არ ხდება და ნებისმიერი ადამიანი, რომელიც პირამიდაში მოექცევა, ბუნებრივია, ამ სისტემის მსხვერპლი გახდება, ანუ იძულებულია, ამ სისტემის ხერხებითა და მეთოდებით ითამაშოს!

– იგივე პრემიერს, განა, არ შეუძლია, სისტემას დაუპირისპირდეს?

– საამისოდ პოლიტიკური ნება და რეფორმა საჭირო. თუ ამას არ აკეთებ, ესე იგი, სისტემის, ანუ ხელისუფლების შენარჩუნებას ცდილობ! ყველაფერი ეს კი, დემოკრატიის განვითარებას ხელს არ უწყობს. თუკი საყდრისის დამცველები დივერსანტები არიან და საბოტაჟს აწარმოებენ, ეს პრემიერმა კი არა, სამართალდამცვეებმა უნდა გარკვეონ, თან დივერსია ცოტა სხვა თემატიკა და ტერმინოლოგიაა.

– რას გულისხმობთ?

– სისხლის სამართლის კოდექსში დივერსია კარგადაა განმარტებული და ვერ ვიტყვი, საყდრისის დამცველთა მოქმედებაში დივერსიული ნიშნები იკვეთება-მეთქი. სხვათა შორის, კანონი არც იმით ირღვევა, რომ თუკი, ვთქვათ, საყდრისის დამცველთა აქციებს ვინმე დააფინანსებს. ამასთან, კანონით, აქციების ჩატარება არ იკრძალება.

– ბატონო კოტე, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სად ვართ?

– ხელისუფლება ძალიან ცუდ მდგომარეობაშია და არსებობს საშიშროება, რომ „ოცნება“ მართვის სადავეები დაკარგოს და ხელისუფლება სახეშეცვლილი „ნაციონალების“ ხელში აღმოჩნდეს!

– დღეს საქართველოში ცხოვრება საშიშია?

– რა თქმა უნდა!

– რატომ?

– იმიტომ, რომ პოლიტიკურად აქტიურ ადამიანებს, ბიზნესმენებს კლავენ და ამ ფონზე დაცული ვინაა? იური ვაზაგაშვილისა და ბესო ხარძიანის მკვლელობები, მინიმუმ, იმაზე მიანიშნებს, რომ ძალოვანი სტრუქტურები იმ დონეზე არ დგანან, რა დონეზეც უნდა იდგნენ! ისეთი ქვეყანა, სადაც ძალოვანები პოსტ ფაქტუმ მუშაობენ, არ მინდა! ძალოვანი უწყებების უპირველესი მოვალეობა ისაა, რომ დანაშაული არ დაუშვან! საამისოდ კი, პრევენცია საჭირო!

ბესო ხარძიანი მოსალოდნელ ანგარიშსწორებაზე ლაპარაკობდა და ძალოვანებს, ყველაფერს თავი დავანებოთ, უნდა ეკითხათ, დაცვას ხომ არ საჭიროებთო, მაგრამ რადგან ასე არ მოხდა, მომხდარზე პასუხისმგებლობა პირდაპირ ძალოვან უწყებებს ეკისრება!

– ბატონო კოტე, როგორც ცნობილია, ხარძიანის მკვლელობა ე.წ. მოუპედიტად გადაადგილდებოდა. ამასთან, ის ბიზნესმენს, თურმე, სადარბაზოში შეჰყვავა, ოთხი ტყვია, მათ შორის, საკონტროლო დახალა და გზა გააგრძელა. სად იყო ამ დროს პატრული?

– ესეც თემა... მაფია მუშაობს და ამას ის იარაღიც მონაწილეობს, რომლითაც ხარძიანი მოკლეს!

– ანუ?

– როგორც ითქვა, ხარძიანი „მაყუჩიანი“ პისტოლეტით მოკლეს.

– მერე, მაფია რა მუშაობს?

– „მაყუჩის“ მალაზიაში კი არა, ძალიანაც რომ მოინდომოთ, შავ ბაზარზეც ვერ იყიდ-

„ნაციონალიზმი კომპრომიტირებული ჯგუფის წარმომადგენელია და როგორც კი გამოჩნდა, ვთქვი, რომ „ქართულ ოცნებას“ ხაირს არ მოუტანდა. ასევე, აღსანიშნავია, რომ არსებობს ინფორმაცია მისი და რუსეთის „ეფ-მს-ბა“-ს მაღალჩინოსანთა კავშირებზე. ისე, ვიდრე იმას ვიკითხავთ, ნაციონალიზმი „ქართულ ოცნებაში“ როგორ მოხვდა, იქნება, „რესპუბლიკურმა პარტიამ“ აგვისსნას, უშიშროებიდან წამოსული ნაციონალიზმი „რესპუბლიკელი“ როგორ გახდა?“

– ხომ შეიძლება, „მაყუჩი“ „კუსტარული“ იყოს?

– გამოიცილება. „მაყუჩი“ მხოლოდ სპეცსამსახურებს აქვთ!

– მაშასადამე, ეჭვობთ, რომ მკვლელს, გნებავთ, მკვლელობის დამკვეთს მეკავშირე სპეცსამსახურებში ჰყავდა?

– შესაძლოა...

საერთოდ, „მაყუჩიანი“ იარაღით, თუ შესაბამისი დაცვა არ არსებობს, მკვლელობა არ იგეგმება... ისე, მკვლელმა ძალიან ბევრი კვალი დატოვა... ხარძიანების ოჯახის ადვოკატს, მალაზა სალაყაიას, რომელიც თავის დროზე უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო ნაწილის უფროსი იყო, ძალიან კარგად ვიცნობ – გამოძიების დარგში პროფესიონალია და მისი განცხადება შეუსაბამო მომეჩვენა.

– რომელი განცხადება?

– თუკი მკვლელის სავარაუდო გარეგნობა ცნობილია და ე.წ. ფოტორობოტიც არსებობს, გამოძიება რატომ არ აქვეყნებს? წესით, ამ „ფოტორობოტი“ მთელი საქართველო უნდა იყოს აჭრელებული!

– თქვენი გათვლით, პოლიტიკური მკვლელობები გაგრძელდება?

– ვფიქრობ, გაგრძელდება.

არ ვიცი, კონკრეტულად ვის, მაგრამ ვილატებს შიშისა და დაუცველობის სინდრომისკენ მიზანმიმართულად მიყვავართ, რაც იმას ემსახურება, რომ ხალხმა პოლიტიკური აქტივობა არ გამოხატოს.

– ერთ-ერთი პოლიტიკური ორგანიზაცია პირდაპირ მიუთითებს, რომ ყველაფრის უკან ე.წ. კიევის მაფია დგას, იგულისხმება უკრაინაში გადაბარებული „ნაციონალიზმის“ ელიტა. ხელისუფლებამ ეს „მაფია“ როგორ უნდა დაშალოს?

– ამაზე ბევრჯერ ვისაუბრეთ.

– კი ბატონო, მაგრამ უკრაინული მხარე

„ნაციონალიზმი“ ექსტრადიციურად უარს აცხადებს...

– ეს ერთია, მაგრამ ის, შენ რას აკეთებ, – მეორე. 7 ნოემბრის გამოძიება, როგორც ვიცი, დასრულებულია და რას ელოდებიან, სასამართლო რატომ არ განიხილავს? როგორც კი სასამართლო ამ საქმეს განიხილავს და მიხეილ სააკაშვილსა თუ სხვა მაღალ პოლიტიკურ ფიგურებს ბრალს გამოუტანს, ეს საშუალება იქნება, რომ სააკაშვილი, როგორც თავმჯდომარე, „ნაციონალიზმის“ ჩამოაცილონ.

– როგორ?

– საკონსტიტუციო სასამართლოში საჩივრს შეიტანენ... თუკი ამ ღონისძიებებს არ ახორციელებ, „ნაციონალიზმის“ ხელს უწყობ, რომ კიევში მისმა ბუდემ იარსებოს! მითქვამს და ვიმეორებ: პოროშენკო სააკაშვილს საქართველოს არ გადმოსცემს, რადგან ისიც იმ შავ-ბნელ საქმიანობაშია გარეული, რომელსაც „ნაციონალიზმი“ წლები ეწოდებოდა და დიდ ფულსაც შოულობდნენ!

– ...ბატონო კონსტანტინე, როგორ ფიქრობთ, სერიული მკვლელობები „ოცნების“ შიდა დაპირისპირების საბაზი ხომ არ გახდება?

– რა თქმა უნდა, გახდება! არც იმას გამოვრიცხავ, რომ ეს მკვლელობები ბიძინა ივანიშვილისა და მთავრობის დაპირისპირების საბაზი გახდეს, რადგან საქმე ბიზნესს ეხება, ივანიშვილიც ბიზნესის წარმომადგენელია და დაცული არც ისაა! ამიტომ, ამ ტენდენციას ბოლო უნდა მოელოს, თორემ ვიმეორებ, დაცულები არავინ ვართ!

– გამოსავალი მთავრობის გადადგომაა?

– არა. ეს პოლიტიკურ კრიზისს უფრო გააღრმავებს!

სხვათა შორის, ამას წინათ, დაანონსდა, რომ ძალოვან უწყებებში რეფორმა დაიწყებოდა, მაგრამ ეს პროცესი არამცთუ გაჩე-

რებულია, არამედ, ის კადრები, ვინც 2012 წლამდე პოლიტიკურ ამინდს ქმნიდნენ, დღემდე ძალოვან უწყებებში მუშაობენ! როგორ გგონიათ, ისინი ცვლილებებს ხელს არ შეუშლიან? პრემიერი ძალოვანებს მითითებებს საყდრისის დამცველებზე კი არ უნდა აძლევდეს, არამედ, კრიზისების მართვის საბჭო უნდა შეკრიბოს და რეფორმებისა თუ პრევენციის შესაბამისი გეგმა შეიმუშაოს!

– კრიზისის პრევენცია, მით უმეტეს, თუკი საუბარი „კოზა ნოსტრაზეა“, ვის ევალება, დაზვერვას?

– პრევენცია ყველა იმ ძალოვან უწყებას ევალება, ვისაც აგენტურულ-ოპერატიული ღონისძიებების გატარების შესაძლებლობა აქვს!

მოკლედ, ჩვენი სპეცსამსახურები გარყვნილია – იქ ისევ მუშაობენ ადამიანები, რომლებიც 90-იან წლებში მკვლელობებთან, გატაცებებსა და არაბი თუ ჩეჩენი ვაჭაბო-იტების გადაადგილება-გადმოადგილებასთან არიან დაკავშირებულნი. ალბათ, გახსოვთ, ე.წ. ჩეჩენთის მეორე ომის შემდეგ, პანკის ჩეჩენი საველე მეთაურების ტალღა მოაწყდა და საქართველო ორი დიდი მონსტრის, ორი დიდი სპეცსამსახურის და შესაძლოა, მეტისაც, საჯილდაო ქვად, პოლიგონად გადაიქცა. ყველაფერ ამას აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამსახური და რუსული სპეცსამსახურებიც იყვნენ ჩართულნი, რომლებიც თავიდანვე, როგორც კი კონფლიქტი წარმოიშვა, საქართველოში თავიანთი აგენტურული ქსელით ჩეჩენების გადაადგილებას ხელს უწყობდნენ.

– ეს რისთვის სჭირდება?

– გავლენის სფეროები რომ გაეზარდათ. ამ მიზნით ჩვენს სპეცსამსახურებს თავიანთ ოპერატიულ წყაროებსაც აჩეჩებდნენ. ამის ერთ-ერთი მაგალითია ჩეჩენი ჟურნალისტი ისმაილ საიდაევი, რომელიც 2001 წლიდან საქართველოს მოქალაქე იყო. მან, თბილისში, ზანდუკელის ქუჩაზე, საინფორმაციო სააგენტო შექმნა და ქართულ სპეცსამსახურებსა და ჩეჩენ საველე მეთაურებს შორის, შუამავლის როლს ასრულებდა.

– ეს ცუდი იყო?

– ერთის მხრივ, – არა, მაგრამ მოგვიანებით, საიდაევიც და ხიზრი ალდაშოვიც რუსეთში აღმოჩნდნენ და გაირკვა, ორივე, პრაქტიკულად, რუსულ ინტერესებს ატარებდა.

ბაბრძილება მე-4 გვ.





საქართველოში  
საქართველოში

„შენ — უკვდავების ჩამონადენი, მშვენიერება ხომ შენით ითქვა;  
დიდება შენდა, ჩემო ნათელი — ქართული სიტყვავე, ქართული სიტყვავე“  
კარგა ღონაძე

სკანდალური ექსკლუზივი

მ-3 გვერდიდან

ეგა, მაგრამ ის უფრო სამწუხაროა, რომ ამ პროცესში საქართველოს სპეცსამსახურების მალაქინოსნებიც იყვნენ ჩართულები და ეს ჩართულობა სააკაშვილის მმართველობის დროსაც გაგრძელდა.

- აქცენტს რა პროცესზე აკეთებთ?
- საქართველოში არაბების შემოყვანაზე.
- არაბები რისთვის შემოჰყავდათ?
- იმისთვის, რომ ვაჰაბიტური მოძღვრება გავერცხლებინათ და ჩვენთვის ნინალომდეგობის მოძრაობა გაეძლიერებინათ.
- არაბებს ფული შემოჰქონდათ?
- დიას.
- ე.წ. შავი ფული?
- რა თქმა უნდა.
- ესე იგი, ყველაფერ ამას ქართველი სპეცსამსახურები მფარველობდნენ?
- დიას.
- რა მიზნით?
- მაგალითად, სპეცსამსახურები, ძირითადად, ანტიტერორისტული ცენტრი, რომლის კადრებიც დღესაც შს და თავდაცვის სამინისტროებში არიან გაბნეულნი, არაბებსა თუ ჩვენებს აცილებდნენ და ამაში ფულს იღებდნენ, ანუ მერკანტილური ინტერესებით მოქმედებდნენ.

ბატონო კონსტანტინე, იმის გასამყარებლად, რასაც ამბობთ, ფაქტები გაქვთ?

რა თქმა უნდა. მაგალითად, დიდი ბრიტანეთის მოქალაქე და ბრიტანული დაზვერვის, „მ-ნ“-ის შტაბიანი აგენტი, პაკისტანელი ალი, აშშ-დან ჰუმანიტარული დახმარების საფარველში, პანკისის ხეობასა და ჩვენთვის სამხედრო აღჭურვილობის შემოტანის ორგანიზებას კურირებდა.

საქართველოში ჩვენთვის (იჩქერიის) რესპუბლიკის წარმომადგენელი ხიზრი ალდამოვი კი, რომელიც ანზორ ბურჯანაძის უახლოესი კავშირი იყო ჩვენთვის მთავრობასთან, კავშირს სურხო იდიევის საშუალებით ამყარებდა. იდიევის იჩქერიის რესპუბლიკის იუსტიციის ყოფილი მინისტრის, ელზა შერიპოვას შვილია.

ჩვენურ მხარეს „მიცუბიშის პიკაპებს“, რომლებზეც ე.წ. „უტიოსს“ და „დ.შ.კ“-ს ამონტაჟებდნენ, საქართველოს გავლით, კრიმინალური ავტორიტეტი, ვინმე აბდულა ავსტრისისკი აწვდიდა, რომელიც ადრე მოსკოვსა და სანკტ-პეტერბურგში საკმაოდ დიდ რაიონებს აკონტროლებდა. შემდეგ კი, შამილ ბასაევის დაჯგუფებას შეუერთდა და დასავლეთში მისი წარმომადგენელი გახდა. აბდულა, ასევე, დაკავშირებული იყო იჩქერიის გავლენიან ფიგურებთან, მძებ ახმალოვებთან, უფრო ახლო კავშირი კი, ერთ-ერთ მხასთან, უკაისთან ჰქონდა. ის მეგობრობდა ჩვენური ჯამაათის ემირის მოადგილესთან, უმარტთან და უშუალოდ, ჯამაათის ემირთანაც, იორდანიული წარმომავლობის აბდურ-რაჰმანთან.

მე-20 საუკუნის 90-იან წლებში, საქართველოში ჩვენს სავსე მეთაურებს თავიანთი წარმომადგენლები ჰყავდათ. მაგალითად, შამილ ბასაევის ინტერესებს წარმოადგენდნენ ვინმე „მონოლი“ და მისი რამდენიმე ნათესავი. ამასთან, ჩვენთვის ჯამაათის წარმომადგენელი რამზან ახმედოვის ძმა იმრანი. თითოეულ მათგანს პანკისში საკუთარი სამხედრო ბაზა ჰქონდა.

საქართველოში წარმომადგენელი ემირ ხატაბისაც ჰყავდა. ეს წარმომადგენლები იყვნენ: სეიფ ისლამი, აბუ საიდი, მეტსახელად „მაროკო“, აბდულ კადარი, იგივე „ფრანცუზი“.

2001 წელს, პანკისის ხეობაში რუსულან გილაევი და აბდულ მალიკი, ასევე, მოჯაზ

ედების მთავარი სპონსორი აბუ ხუზეიფაც გამოჩნდნენ, რომელიც მოჯაზედების მთავარი იმამის, აბუ ომარის ინტერესებს ატარებდა და რომლის მშვეობითაც ხდებოდა ყველა ჩვენის „ბოვეიკის“ დაფინანსება, როგორც საქართველოში, ასევე, ჩვენთვისაც.



„მილენიუმის“ ანალოგიური ტვირთი გერმანიიდანაც მიიღო. ტვირთი საქართველოში საემიციონო დანიშნულებით ჩამოვიდა და ის ვინმე დოქტორმა ხაიდერმა გამოავაზა. მოგვიანებით, გაირკვა, რომ ხაიდერი 11 სექტემბრის ტერაქტთან იყო დაკავშირებული. ტვირთს ძირითადად ე.წ. „ატც“ აცილებდა, ანუ ფულიდან 10 პროცენტს „ატც“ იღებდა...

აბუ ხუზეიფა საქართველოში ბაქოდან შემოვიდა. ცოტა ხანში, მას ემირ ხატაბის ერთ-ერთი ემირი, „ამჟეტი“ (აბუ ხავსი) მოჰყვა. ამ უკანასკნელმა პანკისის ყველა სოფელში თავისი ბაზა განათავსა და თურქეთიდან, ევროპასა და არაბული ქვეყნებიდან „ბოვეიკების“ რეკრუტირებას ეწეოდა.

ე.წ. ჩვენთვის მეორე ომისა და თბილისში ასლან მახადოვის ვიზიტის შემდეგ, ევროპოდ, 1999 წელს, საქართველოსა და ჩვენთვის ანტიტერორისტულ ცენტრებს შორის არაოფიციალური ურთიერთობა დაიწყო. ჩვენური მხრიდან ამ საქმიანობაში ჩვენის სავსე მეთაური ხუნკარ ფაშა ისრაპილოვი იყო ჩართული, საქართველოდან კი, — ლევან კენჭაძე. ასეთივე ურთიერთობა არსებობდა ვიცე-პრეზიდენტ ვახა არსანოვსა და ავთანდილ იოსელიანს შორისაც.

ნიშანდობლივია, რომ საქართველოს ტერიტორიაზე არსებობდა სამხედრო წარმომადგენლობა, რომელიც იარაღის მიწოდებას აწარმოებდა და ამაში თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთი გენერალი იყო ჩართული.

1999 წელსვე, პანკისის ხეობაში სამხედრო ბაზა, ურუს-მარტანის ჯამაათის სახელით, ერთ-ერთმა პირველმა, რიზვან ახმალოვმა დააარსა, რომლის ინტერესებსაც ხეობაში მისი ძმა, იმრატი წარმოადგენდა. მოგვიანებით, მას მეორე ძმა, უკაის ახმალოვიც შეუერთდა, რომელთანაც აქტიური

„ხელისუფლება კალიან ცულ მდგომარეობაშია და არსებობს საშიშროება, რომ „ოცნება“ მართვის სადავები დაკარგოს და ხელისუფლება სახეშიცვლილი „ნაციონალისტური“ ხელში აღმოჩნდეს!“



ურთიერთობა ახმეტის რაიონის უშიშროების მაშინდელ ხელმძღვანელს, დავით ლორთქიფანიძეს ჰქონდა.

„ეხ ვანო მერაბიშვილის მოადგილე ლორთქიფანიძე?“

არა, მისი ძმა... უკაის ახმალოვთან, ასევე, მჭიდროდ თანამშრომლობდნენ ანტიტერორისტული ცენტრის იმდროინდელი მალაქინოსნები გია და ლევან გაბუნიები. ასევე, სერგო ძაგნიძეც.

მჭიდრო კონტაქტები იქნა დამყარებული აბდულმოლიკ მეჯიდოვთან, რუსულან გილაევისთან, „ამჟეტიან“ (აბუ ხავსი), გარიბთან, ფარნაოზ ხანგოშვილთან, იუსუფ კრიმშამხალოვთან, რომელიც კარაჩევის ჯამაათის წარმომადგენელია. კავშირი არსებობდა „ავართა“ ჯგუფის ნევრ გუნიბელ შამილთანაც.

ამ ყველაზე დიდ ჯგუფში მოხალისეთა პატარ-პატარა ჯგუფები იყვნენ გაერთიანებული.

— მოხალისეთა ჯგუფები ვისგან იყო დაკომპლექტებული?

— ქურთებით, თურქებით, ევროპელებით, აზერბაიჯანელებითა და ასე შემდეგ... 2000 წელს, მათმა საერთო რაოდენობამ 2 ათასს გადააჭარბა.

ამ პირამიდის სათავეში არაბები იყვნენ, რომლებიც ომალოსა და უფრო დღისში ცხოვრობდნენ. ისინი ამჟამის კლანს წარმოადგენდნენ...

როგორც აღვნიშნე, ამ ჯგუფების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა საქართველოს გავლით ხორციელდებოდა და ამაში კავკასიაში სამხედრო კონფლიქტების მსხვერპლთა ასოციაცია „მილენიუმის“ იყო ჩართული. ასევე, ამერიკული ორგანიზაცია „ისლამიკ რელიფი“.

- ეს ფული სად მიდიოდა?
- ბაქოში.
- ვისთან?
- ვინმე ბაზა იბრაგიმოვთან, რომელსაც „ავღანელის“ „კლიკით“ იცნობენ. „ავღანელის“ ფული ჩვენთვის უნდა ჩაეტანა, მაგრამ...

— რა „მაგრამ“?

— ამ დეტალზე სხვა დროს ვისაუბროთ... — „მილენიუმის“ მიერ მოწოდებული აღჭურვილობა რას მოიცავდა?

— სპეცტექნიკას, რადიო და ფიჭური კავშირგაბმულობის სადგურებს... — ამ შეიარაღებას „მილენიუმს“ ვინ აწვდიდა?

— პაკისტანელი ალი.

— პაკისტანელი ალის იარაღი საიდან ჰქონდა?

— თითქოს აშშ-ში ყიდულობდა, მაგრამ სინამდვილეში, მოწოდებული საზოგადოება „ძმები მუსულმანები“ იყო.

საქართველოს ტერიტორიაზე ტვირთს დაზვერვის მაშინდელი შეფი ავთო იოსელიანის ხალხი აცილებდა.

— სამწუხაროდ, იოსელიანი ცოცხალი აღარაა და ამ ინფორმაციას მასთან ვერ გადავამოწმებ...

— „მილენიუმმა“ ანალოგიური ტვირთი გერმანიიდანაც მიიღო. ტვირთი საქართველოში საემიციონო დანიშნულებით ჩამოვიდა და ის ვინმე დოქტორმა ხაიდერმა გამოავაზა. მოგვიანებით, გაირკვა, რომ ხაიდერი 11 სექტემბრის ტერაქტთან იყო დაკავშირებული. ტვირთს ძირითადად ე.წ. „ატც“ აცილებდა, ანუ ფულიდან 10 პროცენტს „ატც“ იღებდა...

— „ატც“ რა არის?

— ანტიტერორისტული ცენტრი.

სხვათა შორის, მერე, ზოგიერთი შუამავალი ე.წ. მუჰამედ ატცის დაჯგუფების წევრი გახდა. ეს ატციც 11 სექტემბრის ტერაქტის მონაწილეა.

ჩემი ინფორმაციით, იყო შემთხვევა, როცა არაბებმა „ატც“-სთან ნილის გაყოფა აღარ მოისურვეს და საქართველოში, ტრანზიტულად, 3 მილიონი დოლარი შემოიტანეს. ამ ე.წ. „ოპერაციას“ ვინმე აბუ საიდი ხელმძღვანელობდა. „ოპერაცია“ აღვირუთი ჰუმანიტარული ორგანიზაციის საფარველში ჩატარდა.

— რაც შეეხება აბუ საიდს, ის ადრე ხატაბის მოჯაზედი იყო და რამდენიმე წელი საქართველოში ცხოვრობდა. მისი ცოლი კი, საქართველოს მოქალაქე გახლდათ.

— 3 მილიონის „ოპერაცია“ ჩავარდა?

— დიას.

— როგორ?

— „ატც“-მ კურიერი დააკავა და მთელი ფული მითვისა, აბუ საიდი კი, აზერბაიჯანში გააქვევს.

საქართველოში, ასევე, დააკავეს 1961 წელს დაბადებული სეიფ ისლამი, იგივე მოჰამედ შაბანი, რომელიც ანალოგიურ საქმიანობას ეწეოდა. სეიფ ისლამი 1992 წლიდან ჩვენთვის ტერორისტებს წვრთნიდა. ამასთან, „ალ ქაიდას“ ერთ-ერთ დამფუძნებლად ითვლებოდა. ისიც ცნობილია, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში ტერორისტული ცენტრი „კავკასია“ ჩამოაყალიბა.

— სეიფ ისლამი ცოცხალია?

— არა, 2010 წლის 2 თებერვალს, დაღესტანში ჩატარებული სპეცოპერაციის დროს მოკლეს...

— მოგესხნებათ, 2002 წელს, პანკისში დიდი სპეცოპერაცია ჩატარდა, რის შემდეგაც არაბთა უმეტესობა ბაქოში გადავიდა. აღვირულ „გარბას“ კი, ნაკლებად გაუმართლა.

— რატომ?

— მოიტაცეს და დასავლეთის სპეცსამსახურებს გადასცეს...

ესაუბრა ვანო აპოლიაშვილი

(თემის გაგრძელება იქნება)

„ოცნებაში“ მხოლოდ ნაცვლიშვილი კი არა, სხვა ბევრი ოდიოზური ფიგურაც იყო და არის. მაგალითად, არჩილ კვიციანი, რომელსაც თინა ხიდაშელი ახლა აზოგზს, მისი მთავარ პროკურორად დანიშნა ჩვენი შეცდომა იყო. კვიციანის რუსულ კავშირებზე აღრი ვრცლად ვილაპარაკე, მაგრამ მინც შევახსენებთ: მას კავშირი შაქრო კალაშოვთან ჰქონდა, რომელიც იარაღის უკანონო გიზნისგან გარეული...“



საქართველო  
საქართველო

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;  
დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვავე, ქართული სიტყვავე“  
კარინა კოსტინა

VI

გათავდა ომი, კიდევ დაღამდა, ბნელმა მოჰფინა ის არემარე; შესწყდა კიუჩინა და იმის ნაცვლად კენესა მოისმის აქა-იქ მწარე. ზოგი წყალს ჰნატრობს სიკვდილის წინეთ, ზოგი შეველას და შემწეობასა, ზოგი ბედს ჰყვედრის და ტანჯვით ამბობს, რომ სიკვდილი სჯობს იმის ყოფასა. - ისინი, ვინც რომ ერთ წუთის წინეთ მხეცივით სისხლით ვერა სძლებოდენ, ახლა, იმ კენესას რომ ყურს უგდებდენ, იმათი ცოდვით იდაგებოდენ. უნდოდათ შეველა, მაგრამ, სიბნელით რომ ვერ ჰხედავდენ აქ ველარაფერს, ერთად არეულ-დარეულეებში ველარ არჩევდენ მოყვარეს და მტერს! ბრძანა თორნიკემ: – „გაურჩევლად, ქართველი იყოს, გინდა სპარსელი, გინდა ბერძენი, გინდა სომეხი, სულ ერთნაირად მოჰკიდეთ ხელი! სიკვდილი ყველას ათანასწორებს: თვისიანს, უცხოს, მტერს და მოყვარეს! ვეცადოთ ყველა და ნუ დავაკლებთ დაჭრილებს მოვლას და მკვდრებს სამარეს.

ნურვინ გაჰბედავს, დატყვევებულებს რომ მიაყენონ შეურაცხყოფა! ვაჟკაცს რომ ბედი სხვას დაამონებს, დასატანჯავად ისიც ეყოფა!“ ასე ისურვა და იმ სურვილზე უარს ეტყოდა მხედრობა განა? მხოლოდ უცდიდენ მთვარის ამოსვლას, და, ჰა, მთვარეც ამოატანა! ამოჰყო თავი მაღალ მთის წვერით და გადმოჰხედა ნაზად ბრძოლის ველს; კაცის ქვეყნიურს ბნელსა საქმესა მაღლით ციური აფენდა ნათელს. გაანათა და გამოაჩინა დასანახავი გულშესაზარი, თითქოს უნდოდა ეჩვენებია კაცისთვის ბოროტნამოქმედარი. სულ დაჭრილ-მკვდრებით მოფენილია ხეობა, ლელე, ტყე და მინდორი! ვისიც სიცოცხლე დილას ჰყვავდა, ახლა შეიქმნა ლეში და მძორი. აგერ დაჭრილი აგერ ძეგს მკვდარი! გაკვეთილია საბრალო ორად! აგერაც ერთგან ათასზე მეტი ზე დაჰქეხიან ერთმანეთს ხორად! ამ ერთ ადგილას რას მიუზიდავს ამდენი სული? რა ანდამატიტ? მხოლოდ იმითი, რომ ორბელიძე აქა ძეგს მკვდარი, ცუდად ლაღატი. მისი სიკვდილით ცეცხლმოდებულ მტერს ქართველები ეჯახებოდენ, ბევრს მიიძღვანდენ საიქიოსკენ და თვითონაცა ზე აკვებოდენ. არვინ ელოდა აქ გადარჩენას: ერთი ათს და ოცს ეჩხუბებოდა და თუ ჯოჯიკი არ მოსწრებოდათ, მაინც ვერავინ გადარჩებოდა. მაგრამ ჯოჯიკმა იმათი სისხლი ამოიგო და ჯავრი იყარა და დაამწარა სკლიაროსს ის, რაც ერთხან ლაღატი მან გაიხარა! გადაჰკრა ლახტი აფრანიკს თავზედ, დასცა სიმწარით გარეტებული, შესდგა ფეხებით, უგმირა შუბი და სასიკვდილოდ გაუპო გული. როგორც დაჭრილი ვეფხვი, ბაგრატიც ისე მიჰვარდა მას ბარდაველი, მაგრამ ჯოჯიკმა მოასწრო თვალი და ნაუჭირა მას ყელში ხელი. ამ დროს გულდაგულ წამოეპარა მას უკანდანი ვილაც სპარსელი, მაგრამ ხელიდან გავარდა ხმალი, რომ დაინახა იქ გამრეკელი. ამისმა მოსვლამ სრულად მიხადა სკლიაროსის ჯარს ჯანი და ღონე, რადგანც თან მოჰყვა სამი ათასი მას მეომარი სულ თავმოშონე. მაშინ ჯოჯიკმა და გამრეკელმა გასამაგრებლად მისცეს მხარი მხარს მაგრამ ამითი კი ორბელიძეს ველარ უშველეს, მიტყუებით მკვდარს და, აჰა, ახლა ამოდენ მკვდრებში სულ ყველაზე ძირს ის გდია მკვდარი! ზურგში არჭვია მას მტრის მახვილი და გულზე ადევს მისივე ფარი ცოტა შორს, განზე, შავი კლდის ძირში უწვევრულვამო ეს ვინლა არი? თავს დაჰხეხინებს, ტორს სცემს მერანი,

რომ გააღვიძოს მისი მხედარი მაგრამ ამ ნეტარ, საუკუნო ძილს ან ვერ დაუფრთხობს ქვეყნად ვერლა რა! დედის ცრემლების მან საპასუხოდ აქ ბრძოლის ველზე სისხლი დაღვარა და შეასრულა მით ღირსეულად

მაგრამ მათ რიცხვში სუთიათასი გამოერია ქართველიც მკვდარი კარი ვითხეა  
I გამობრძანდა ქალაქს გარეთ მეფე დავით ბედნიერი,



აკაკი წერეთელი

თორნიკე მრისთავი

ისტორიული პოემა

მამულისშვილის უკვდავი ვალი: თავის სამშობლო ქვეყნის სსოვნაში სამარადისოდ დასუჭა თვალი ეგებ სხვა რამე გულდასანჯავი სიკვდილის წინეთ აგონდებოდა და სასიკვდილო შხამი გულის წყლულს უფრო სახშილად ეკიდებოდა? ვინ იცის, რა და რა საიდუმლო მან საიქიოს თან წაიტანა? შორს სადმე ქართლში დედამ გამოსცნოს, ან გულის სატრფომ ეს გამოცანა აგერ ისრისგან მთლად დაცხრილული გდია მოხუცი პირნათლად მკვდარი, თითქოს სძინავს და ეზმანება მას შორეული ტყბილი სიზმარი აჰა, დაჭრილი მიფრთხილებული ბევრის წვალებით დიდ ხისა ძირში, მსურს დაიყვიროს, მაგრამ საძრავი ენა აღარ აქვს მომაკვდავს პირში. აგერ სიდანლა უცნაურის ხმით გამოიძახის კენესით დაჭრილი: თავზე აწევან საბრალოს მკვდრები და ემატება მითი ტკივილი. ამდენ დაჭრილის კენესით და ოხვრით აღარავის არის აქ ყურთა სმენა: სომხურ, ქართული, ბერძნულ, სპარსული, არეულია სხვადასხვა ენა. გამწარებული გამოთქმის კილო და დედაზრი ერთი აქვს ყველას; სწვევლიან თავის ბედს და გაჩენას და გასაჭირში ითხოვენ შეველას; მაგრამ ბევრს მათგანს ველარ უშველის სიკვდილის მეტი ველარაფერი, თუმცა-კი მოყვრულად ეშველებიან და აღარავის აღარ ჰყავს მტერი. ასე გათავდა ეს დიდი ბრძოლა აჯანყებულთა ამონყდა ჯარი,

თანვე ახლავს ყოველის მხრით წამოსული ქართლის ერი. რიცხვი არ აქვს დარაზმულსა, ქვეითსა და ცხენოსან ჯარს შეჰხარაინ ბატონ მეფეს, მორჩილებით უფლიან გარს. გარეშე მო მთა და ბარი წერილფეხობით მოფენილა, თითქოს რაღაც დიდ წყალობას ექადოდეს მათ ეს დილა. ცალკე სერზე უთვალავი გადმომდგარა დედა-წული, სხვებზე მეტად დასტყობიათ საზოგადო სისარული. ნინ დგას მეფე და გვერდში ჰყავს ბაგრატი, მისი შვილობილი, კათალიკოს-მღვდელმთავრები იქვე დგანან კმაყოფილი. სათვალმაქცოდ არა ბრწყინავს ერისა და ღვთის რჩეული: თან არა აქვს მას გვირგვინი და სამეფო სამკაული! მაგრამ ისეც ვინ არ იცნობს, რომ ის დიდი ცხებულია, ვინც ერისგან გულის წმინდით ნაკურთხი და ქებულია? ყველა იცნობს მამაშვილურ, არც რიდი აქვს და არც შიში; მიდიან და რჩევას ჰკითხვენ, როგორც ლხინში, ისე ჭირში. აი, ახლაც უთვალავი ეს ერი სულ მას შეჰყურებს და მოელის გულის ძგერით ნახოს, მეფე რას აპირებს. გაიხედეს შორს მინდვრისკენ და რაღაცას მოჰკრეს თვალი: ძირს შავად და მაღლა ღრუბლად

მათკენ იყო მომავალი. ეს იყო, რომ ბრუნდებოდა საბერძნეთით ქართლის ჯარი, და ცხენების ფეხთა მტვერსა აღმა ჰყრიდა ღრუბლად ქარი. თავის ქვეყნის კიდევ ნახვამ მხედრებს გული აუძგერა და საგმირო, ჩვეულებრივ, შემოსძახეს მათ სიმღერა: „კავკასიის ქედზე იყო ამირანი მიჯაჭვული, ყვავე-ყორანი ეხვევოდა, დაფლეთილი ჰქონდა გული. ქვეყნად ცეცხლის მოტანისთვის გულს ცეცხლი არ ჰნელდებოდა და რაღაცა მანქანებით გული ისევ მთელდებოდა. ჰქონდა ჭირში მოთმინება, არც ჰკენესოდა, არც ოხვრიდა; უსამართლო ძლიერებას მონურად ქედს არ უხრიდა. ბოლოს მაინც გამარჯვება დარჩა! ყველა გააოცა! და ის ღვანლი მაგალითად მიწის შვილთა მან გადმოსცა კავკასიის მაღალ ქედზე მიჯაჭვული ამირანი არის მთელი საქართველო და მტრები კი – ყვავე-ყორანი. მოვა დრო და თავს აიშვებს, იმ ჯაჭვს გასწყვეტს გმირთაგმირი სიხარულად შეეცვლება იმდენი ხნის გასაჭირი!“ მოახლოვდენ ამ სიმღერით, დადგენ ცოტა მოშორებით; დაქვეითდენ, წინ წამოდგენ და დარაზმდენ აჩქარებით. თაყვანი სცეს ერთად მეფეს, ცალი მუხლი მოიყარეს. სიმდაბლის და მორჩილების ნიშნად, თავი მოიხარეს. წადა მეფე და შესძახა: – „გამარჯვება მძღვევლ ჯარსო! ვაშა! ვაშა! იმათ ღვანლს და საუკუნო სახსოვარსო! გამარჯვება ქართველ დედებს, ჩვენს გამზრდელსა და მშობლებსო: მათი ძუძუ გვავაჟუკაცებს და ზრდა სულით გვამაღლებსო!..“ ამ სიტყვებმა აიტაცა, ააღელვა მთელი ჯარი, შესძახეს და მათი გრგვინით ირყეოდა მთა და ბარი: – „გაუმარჯოს ქართველ დედებს! ვაშა! ვაშა! მძღვევლ ჯარსო! დღეგრძელობა ბატონ მეფეს, ქვეყნის თვალსა და ჯავარსო!“

II მაშინ წარსდგა ბატონის წინ დიდი თორნიკ ერისთავი, წინ დაუდგა ფეხით დროშა და მიათრვა რაღაც ტყავი. მოახსენა: – „აჰა, მეფე! „გრამატაა“ დეოფლისო, მაგიერი სასყიდელი ჩვენი სისხლის და ოფლისო. ბასილი და კონსტანტინეც ამონმებენ ამ წერილსო და უთმოვენ ზემო ქვეყნებს თქვენ შვილსა და შვილისშვილსო. მეც მიბოძეს მათ საკუთრად საჩუქარი დიდძალი: სამკაული, ოქრო, ვერცხლი, მარგალიტი და თვალიო. მაგრამ, მეფე, მე რათ მინდა ეს სიმდიდრე საწყალ ბერსო, თქვენს დიდებულ ბატონობას შემოვწინავ ყოვლიფერსო: ნახევარი თქვენი იყოს, ნახევარიც ქვერე-ვობრებსო! ამდენი ჯოჯიკიებული ორივესთვის იკმარებსო!“ მეფემ უთხრა: – „გმადლობ! ვიცი, ქვერე-ვობრები რომ გიყვარსო მათ ჰქონდეს და მე-კი ჩემთვის არ ვიღებ არც ნახევარსო! შენია და შენვე გქონდეს, მოიხმარე, როგორც გსურსო; რაღა ძღვენი ეჭირვება შენს ღვანლსა და სამსახურსო?“



საქართველო  
საქართველო. საქართველო

„შენ — უკვდავების ჩამონადენი, მშვენიერებას ხომ შენით ითქვა;  
დიდება შენდა, ჩემო ნათელი — ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა“

კორნეი ლეონიძე

პროზა

გერტოლდ ბრესტის ოთხი ნოველა

ზვიგენები რომ ადამიანები ყოფილიყვნენ

„ზვიგენები რომ ადამიანები ყოფილიყვნენ, — ჰკითხა ბატონ კ.-ს თავისი დიასახლისის ქალიშვილმა, — უფრო გულმონყალენი იქნებოდნენ პატარა თევზების მიმართ?“

„უეჭველად, — მიუგო მან, — ზვიგენები რომ ადამიანები ყოფილიყვნენ, პატარა თევზებისათვის ზღვაში უზარმაზარ ყუთებს ააშენებინებდნენ, რომლებშიც უხვად იქნებოდა ყოველგვარი საჭმელი, როგორც მცენარეული, ისე — ცხოველური. ისინი იზრუნებდნენ, რომ ყუთებში ყოველთვის სუფთა წყალი ყოფილიყო და საერთოდაც, უკან არ დაიხევდნენ არანაირი სანიტარული ღონისძიებების გატარებაზე. მაგალითად, თუ რომელიმე თევზს ფარფლი დაუზიანებდა, მას მაშინვე სახვევებს დაადებდნენ, სიცოცხლეს უდროოდ რომ არ გამოასაღებოდა.

თევზებს რომ არ მოეწონათ, დროდადრო წყლის დღესასწაულსაც გამართავდნენ ხოლმე, რადგანაც მსიარული თევზები გაცილებით გემრიელია, ვიდრე — მონყენილი.

ცხადია, ამ უზარმაზარ ყუთებში სკოლებიც იქნებოდა. სკოლებში კი თევზებს ასწავლიდნენ, თუ როგორ უნდა შეცურდნენ ზვიგენის სახაში. მაგალითად, მათ დასჭირდებოდათ გეოგრაფია, მცონარებას მიცემული ზვიგენების პოვნა ადვილად რომ შეძლებოდათ. რა თქმა უნდა, სკოლებში ძირითადი მნიშვნელობა თევზების მორალურ აღზრდას მიენიჭებოდა. მათ ასწავლიდნენ, თუ რა დიდებული და მშვენიერი რამ არის სიხარულით თავგანწირვა, თუ როგორ უნდა სწამდეთ და სჯეროთ თევზებს ზვიგენების და განსაკუთრებით კი იმისა, რომ ისინი მუხლჩაუხრელად შრომობენ თევზების უღრუბლო მომავლისათვის და რომ ამგვარი მომავლის უზრუნველყოფის წინაპირობას უსიტყვო მორჩილება წარმოადგენს.

თევზებს თავი უნდა დაეცვათ ყოველგვარი მდაბალი, მატერიალური, ეგოისტური და მარქსისტული მიდრეკილებებისაგან და დაუყოვნებლივ ეცნობებინათ ზვიგენებისათვის იმის შესახებ, თუ რომელიმე მათგანს მსგავსი მისწრაფებები აღმოაჩნდებოდა.


ზვიგენები რომ ადამიანები ყოფილიყვნენ, უცხო თევზთა დაპყრობით ომებსაც გამართავდნენ, საბრძოლველად კი, საკუთარ თევზებს გამოიყვანდნენ. თევზებს შთააგონებდნენ, რომ მათსა და სხვა ზვიგენების თევზებს შორის დიდი სხვაობაა და მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ცნობილია, თევზები მუწუხები არიან, ისინი სხვადასხვა ენებზე ღუმან და ამიტომაც, მათ შორის თანხმობის მიღწევა შეუძლებელია. ყველა თევზს, რომელიც ომში მტრის თევზებს განგმირავდა, ფუკუსის ორდენს დაჰკიდებდნენ და გმირის ნოდებას მიანიჭებდნენ.

ზვიგენები რომ ადამიანები ყოფილიყვნენ, რა თქმა უნდა, მათ ხელოვნებაც ექნებოდათ. შეიქმნებოდა მშვენიერი სურათები, რომლებზეც ზვიგენის კბილები წარმტაც ფერებში გამოისახებოდა, მათი სახა კი სწორუბოვარ ედემს ემსგავსებოდა, რომელში ხეტილიც ღვთაებრივი ნეტარება იქნებოდა ყველა თევზისათვის. თეატრებში, ზღვის ფსკერზე, წარმოდგენილი იქნებოდა, თუ როგორ მიცურავენ შთაგონებით მოცული და სიამოვნებისაგან თავბრუდახვეული გმირი თევზები სწორუბოვარი მუსიკის ფონზე კაპელას თანხლებით ზვიგენის სახისკენ.

ზვიგენები რომ ადამიანები ყოფილიყვნენ, მათ, ცხადია, რელიგიაც ექნებოდათ. რელიგია თევზებს ასწავლიდა, რომ ჭეშმარიტი ცხოვრების დაწყება მხოლოდ ზვიგენის სტომაქში შეიძლება.

საერთოდ, ზვიგენები რომ ადამიანები ყოფილიყვნენ, თევზებს შორის ამჟამინდელი თანასწორობის ყოველგვარი კვალი გაქრებოდა. ზოგიერთი მათგანი თანამდებობებს მიიღებდა და სხვებზე მაღლა იდგებოდა. შედარებით მოზრდილთა მომცროების შესანსვლის უფლებაც ექნებოდათ, ზვიგენებისათვის კი, ეს სასიამოვნო იქნებოდა, რადგან თავად უფრო ხშირად ექნებოდათ მსუფე საკბილო. მსხვილი, თანამდებობებზე წამოჭიმული თევზები თავისსავე სწორთა შორის წესრიგის დამყარებაზე იზრუნებდნენ და მოველინებოდნენ მათ მასწავლებლებად, ოფიცრებად, ინჟინრებად და ასე შემდეგ.

ერთი სიტყვით, ზვიგენები რომ ადამიანები ყოფილიყვნენ, ზღვაში კულტურაც იარსებებდა.



საუბრები

— ჩვენ ერთმანეთთან საუბარს ველარ შევძლებთ, — უთხრა ბატონმა კ.-მ კაცს.

— რატომ? — შეკრთა თანამოსაუბრე.

— თქვენი თანდასწრებით გონივრულს ვერაფერს ვამბობ, — დაიჩივლა ბატონმა კ.-მ.

— ჩემთვის ამას არა აქვს მნიშვნელობა, — დაამშვიდა იგი თანამოსაუბრემ.

— მჯერა, — დანანებით მიუგო ბატონმა კ.-მ, — მაგრამ, ჩემთვის ეს მნიშვნელოვანია.

როცა ბატონი კ. შეყვარებულია

ერთხელ ბატონ კ.-ს ჰკითხეს: — როგორც იქცევით, როდესაც ვინმეზე ხართ შეყვარებული?

— მე ვაკეთებ რამდენიმე ესკიზს, — მიუგო ბატონმა კ.-მ, — და ვცდილობ, მივამსგავსო მას.

— რა? ესკიზი?

— არა, ადამიანი, — უპასუხა ბატონმა კ.-მ.

ღონისძიება ქალადობის წინააღმდეგ

ერთხელ, როდესაც ბატონი კონინერი, ფრიად მოაზროვნე კაცი, მსმენელებით სახვე დარბაზში ქალადობის წინააღმდეგ საუბრობდა, მოულოდნელად შენიშნა, რომ ადამიანები მისგან თანდათან უკან იხევდნენ და ტოვებდნენ დარბაზს. ბატონმა კონინერმა მიიხედა და დაინახა, რომ მის უკან ქალადობა იდგა.

— რაზე ლაპარაკობდი? — შეეკითხა მას ქალადობა. — ვსაუბრობდი ქალადობის სასარგებლოდ, — მიუგო ბატონმა კონინერმა.

როდესაც ბატონი კონინერი წამოვიდა, მონაფეები მისი უპრინციპობით დაინტერესდნენ, რაზეც ბატონმა კონინერმა უპასუხა:

— ჩემს პრინციპებს ვერავის შევაბლაღინებ. სწორედაც, მე უფრო დიდხანს უნდა ვიცოცხლო, ვიდრე — ქალადობამ.

ამის შემდეგ ბატონმა კონინერმა მოჰყვა შემდეგი ისტორია:

— ბატონ ეგესთან, კაცთან, რომელსაც შეეძლო ეთქვა „არა“, ერთ მშვენიერ დღეს, ჯაშუშობის დროში, მივიდა ერთი აგენტი და წარუდგინა ქალაქის მესვეურთა სახელზე გაცემული დოკუმენტი, სადაც ეწერა, რომ მას ეკუთვნოდა ყველა სახლი, სადაც კი ფხვს შედგამდა; ასევე, მისთვის უნდა მიერთმიათ საჭმელი, რომელსაც იგი მოისურვებდა; მისთვის სამსახური უნდა გაენია ყველას, ვისაც კი ის შეხედავდა.

აგენტი დაჯდა სკამზე, მოითხოვა საჭმელი, დაიბანა, დაწვა და ჩაძინებამდე კედლისკენ მიბრუნებულმა იკითხა:

— იქნები ჩემი მსახური?

ბატონმა ეგემ მას საბანი დააფარა, ბუზები მოუგერია და დარაჯობდა მის ძილს. ასე ემსახურებოდა ის აგენტს შვიდი წლის განმავლობაში. ბატონი ეგე ყველაფერს აკეთებდა აგენტისათვის, თუმცაღა მუდამ თავს არიდებდა მასთან საუბარს.

ამგვარად ჩაიარა შვიდმა წელმა, ბევრი ჭამის, უდრტიველი ძილისა და ბრძანებებისაგან ჩათქვირებული აგენტი, საბოლოოდ, მიიცვალა. ბატონმა ეგემ ის დაფრენილ საბანში გაახვია, გაათრია სახლიდან, განმინდა საკანი, ამოისუნთქა და უპასუხა: — არა.





საქართველოს პარლამენტი

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;  
დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვავე, ქართული სიტყვავე“

კარინა ლუცინაძე

ახალი ლექსები



კარინა ლუცინაძე

ქველავი

მიდი, მიჰყევი, ოცნებები სულ იმათ ანდე,  
ფრთები, რა ფრთები გასჩენია მათაც განგების,  
აფრიალებენ სივრცეებში შუქიან ლანდებს  
ეს ქვის ძეგლები, კაცის ხელით ნაქანდაკები.  
და ჭრის ქვის მჭრელი ქვების ტანზე მოხვეულ ფარჩებს,  
ნაკვთებს, სახეებს, რასაც ახლავს თავის ნაღველი,  
ხელებს, რომელთაც შეუძლიათ, რომ ძეგლად დარჩეს  
სხვა უსახელო კაცის სახელი.  
ჩვენ ველით ჩუმად, გულში ველით და დღესაც ვნატრობთ  
იმ დღეს, მის სათქმელს როცა იტყვის დრო იმ დღის მსგავსი,  
საცოდავია და უმწეო ამქვეყნად მარტო,  
ვინაც არ იცის ამნაირი ლოდინის ფასი.  
კაცმა ამაზე რომ იდარდოს, რას მისცემს დარდი,  
წერით შენც წერდი და სხეული გააღიბონე,  
ახლა იცოდე, წასვლის დროა და ისე წადი,  
აქ ძეგლად დარჩე, ანდა ძეგლი დადგა თვითონვე.

რა ახლო არის ზამთრის აქამდე  
წმინდა სამების ტაძარში, ჯანსუღ  
ჩარკვიანის საიუბილეო საღამოზე

ერის წინამძღვარ გონიერ მამას,  
ცისა და მინის შუა რომ არი,  
გამოცქეროდა, ვგრძნობდით ჩვენ ამას,  
ჭერი ტაძრისა გუმბათოვანი.  
ხომ, ხომ შეხედე მლოცვას ხატებთან,  
გამოირჩევა ხომ ბევრში ერთი,  
ღვთის საჯარძელში რომ ანათებდა  
და ედგა ჩვენი პოეტი გვერდით.  
რა ახლო არი ზეცა აქედან,  
ციდან რომ მაღლი მოდის ასეთი...  
ლოცვა და ლექსი ერთად აფეთქდა  
ტკბილ საგალობლებს მგონის ბაგეთი.  
მის ჯიშს, გვარ-სახელს ენდონ ფუძიანს,  
დღეის ტკივილის ხვალ გასაცნობად,  
მისთვის საჩუქრად ღმერთის მოუცია  
ლექსიც, სიმღერაც და ვაჟკაცობაც.  
უთვალავი და უანგარიშო  
ფრთა თავისთავად მოვა საფრენი,  
სუფთა სულთა და გულთა გარეშე,  
არ იწერება ხომ არაფერი.  
აი, ესაა დრო ფრთათა შესხმის  
და ერთმანეთთან ფრთებს აახლოებს,  
დასტურ, ქართული ლოცვა და ლექსი,  
სულის სიღრმეში ერთად სახლობენ.

იხვენი კაცები

შენი ტყე უკვე დაემგანა მოჯეგელ უღრანს,  
დახეტიალობს შენს მთა-ბარში უცნობ-ნაცნობი,  
კაცს ვერ ნახულობ, რომ გაენდო, რომ რამე უთხრა,  
რომ ეცხოს მაღლი კაცურკაცობის.  
სანდო კაცობად რომ ფასობდა უღვაშის ღერი,  
შიში არ ჰქონდათ ფეხნამოკვრის სადმე დაცემის,  
იყვნენ კაცები... ახლა მათგან არაა ბევრი...  
იყვნენ კაცები...  
თვალი თვალია, საწყალ თვალებს ბენს ამოაცლი,  
დირე დირე... ამოიღე... არ იყოს გვიან...  
იქნებ როგორმე დაინახო ეს სანდო კაცი,  
კაცი რომ ჰქვია!

დარჩას მოჩვენება

ავდარს დაედარე, ამ დარს კი ვერ შერჩი,  
დრო, ო, ანთებულო ბოლო ფერანთებით.  
როგორ მენატრები ახლა, სიბერეში,  
როგორ მენატრები, როგორ მენატრები...  
დარჩეს მოჩვენება, ოლონდ ტანის რხევით  
სადმე დუმილშია ჩერო გაიჩინოს.  
შენ კი, ოცნებაო, შორს რომ წამისხველი,  
ახლოც ვეღარ გიცან, ჩემო თვალისჩინო.

95 წლის ვასილ გვებაძის ლექსების გაზაფხული

გამორჩეული პოეტი და მამულიშვილო,  
95 წლის გახდი. ნ აპრილი შენი დაბადების  
დღეა. დიას, აპრილიდან იწყება შენი ლე-  
ქსების გაზაფხული და ნურავის ჰგონია,  
რომ მალე მოვა ზამთარი.  
„ეს წლებიც სულში სითერთეს მირევს  
და რა შორია გზა უნათლესი,  
მინდოდა ბევრი, არ მრჩება მცირე  
და ჭრაქის შუქზე ფარფატებს ლექსი!“  
ჩემო ვასო, არ შედრკე, შენ რომ ბევრი გინ-  
დოდა, ის ბევრი აღსრულდა, შენი ვარსკვ-

ლავი კვლავ იკაშკაშებს.  
„ღამემ შუქში გადმოშალა კალთა,  
დუმს ბუნება, თოვლიანი ველი  
და თბილისის სათაყვანო კართან,  
სავსე უბით, დგას ახალი წელი!“  
შენ ქუთაისში ქუთაისელი იყავი, შენ  
თბილისში თბილისელი ხარ. ჰოდა, კიდევ  
დიდხანს გვეყოლე, ნაღდო ქართველო!

ჯანსუღ ჩარკვიანი

ღვთისმშობლის ხატთან

ღვთისმშობლის ხატთან დავდგები საყდრის კუთხეში მარტო,  
ცოდვილი ვარ და მომხედე ცოდვილს, ღვთისმშობლის ხატო!  
ცოტა კი შემაგვიანდა წმინდა საყდარში მოსვლა,  
თავლის სანთელი აგინთე და ბერის კაბა მოსაღეს,  
ორივე მუხლზე დაჩოქილს მნახავ ამ საღამოსაც.  
შემოხედვითაც მიხვდები, გულზე ამეხსნა ლოდი,  
თუ რამე ცოდვა მქონია, თვალდან ცრემლად მომდის.  
მთელი სიცოცხლე, ეტყობა, მე ამ დღეს მოველოდი,  
მაგრამ ეს წუთი, უფალო, მე მაშინ მომანიჭეს,  
აკანკალეულ თითებში ხანთელს რომ ვეღარ ვიჭერი!

მეც მალე წავალ

მეც მალე წავალ, სადაც ის მიდის,  
სულ მალე... შენ ეს არ გეუტყობო...  
ამბობენ, რომ იქ ცა არის მშვიდი  
და ყველა ერთი ცხოვრებით ცხოვრობს.  
მე მზად ვარ, ხელის დაქნევის უმაღ  
წავიდე, ეს გზა მაინც შორია,  
ვიცხოვრო ჩუმად, ძალიან ჩუმად,  
სულ ისე, როგორც აქ მცხოვრია.  
ო, ეს მყუდრო და უჭირისუფლო,  
ეს უხმაურო ავდარი, დარი...  
მე არ მან უხეხს ამაზე უფრო  
სხვა რამ წუხილი არავითარი!

ალარ არიან

თუმცა, სიცოცხლე გასახარია,  
ბეს მაღლიერი არ ვეყოლები,  
ბევრი წავიდა და რა ხანია,  
ალარ არიან ჩემი ტოლები.  
გაბზარულია ზეცის ბროლები  
და გამთელება არი გვიანი,  
ალარ არიან ჩემი ტოლები,  
უსახელოც და სახელიანიც.  
და სურვილია არა ნაკლები,  
სადაც, მათ შორის, აქ დავბანაკდე.  
ვიცი, ქვეყანას არ დავაკლდე,  
მაგრამ ჩემ ოჯახს რომ არ დავაკლდე.  
მინა, მოყვრული ხელით რომ მოფშენი,  
ბოლოს იქცევა მაინც ბელტებად,  
ჩემი ადგილი ჩემ სამშობლოში  
ჩემი წასვლითაც ცარიელდება?  
ლპება ძვირფასი ქსოვილი ჩერებად,  
ვიღაც ასეთ დროს წარბებს შეყრიდა.  
მე გეკითხებით: სახელი მრჩება,  
თუ უსახელოდ მივალ ქვეყნიდან?  
ეს გაორება ვარამს ამცირებს  
და ამაშიაც, ბედო, გემდურის,  
მაგრამ ყოველ დღეს მე მივაცდილებ  
ხვალის იმედი და სიყვარულით.

წადი...

შემოიღვარა ღამე იოდის,  
დარდი ერთია და თუ იასებს...  
მეტორებოდა და მე ვტიროდი  
რალაც სანატრელს და უძვირფასესს.  
ცაზე ბინდივით გადავა ესეც,  
ადგილს დაეჭურ მეც ბევრის გვერდით,  
მე ვწერდი კანონს და არა – ლექსებს,  
დაკანონებულ წესებით ვწერდი.  
რისი სონეტი და რა სონეტი,  
რა ჩარჩოები ვისი ჩარჩოდან...  
და მე მტკიოდა მაინც ყოველთვის,  
რალაც სათქმელი მაინც მახრჩობდა.  
სულო, თქვი, სულო, რაც უნდა გეთქვა,  
გაფრინდი, ბოლო ფრენის წინა ხარ,  
იმას, რაც შენში ჯერ კიდევ ფეთქავს,  
იქ წასაღებად ნუ შეინახავ.  
უკვე ვერ ივლი ასეთ ტვირთებით,  
ხელის ნაკვრასაც ვინ შეგპირდება...  
შენ დღეს არც ყოვლის მფარველს ჭირდები  
და არც კაცთაგან ვინმე გჭირდება.  
ოლონდ ცრემლად გდის ფრთხილს და მორიდალს,  
ჩუმად რაც მალა გულმა ოდესღაც,  
– წადი... გეძახის ვიღაც შორიდან,  
– ალარ მიდიხარ?... ყურთან მოგესმა.  
ბევრი რამ ამ ბინდ-ბუნდმა დაფარა,  
ცოტალია დარჩა ძლიერი საქები,  
წადი, სანამდე სუფთა ჭაღარა  
არ დაუღაქავთ მღვრიე ლაქებით...

ხვალე უნდა თქვას

იმას, გულს გული ჰქვია თუ დარდი,  
ვერავინ იტყვის, ხვალის დღის გარდა,  
ხვალე უნდა თქვას, ვისაც ვუყვარდით,  
ვისაც ვუყვარდით და ვინც გვიყვარდა.  
ის, რომ ამდენი ნაიარევი,  
ნაიარევი... არა იარა,  
ის, რომ იმ გზაზე დავიარებით,  
ჩვენზე ადრე რომ სხვამ გაიარა.  
ტანში რომ გააქვს იმ ხმას ჟრიალი,  
იმ წიგნს, ხელი რომ ასჯერ გადაშლის...  
დადის კაბების შრიალ-შრიალით  
ჭრელი ჭადრებით სავსე ქალაქში.  
მაგრამ გულს გული ჰქვია თუ დარდი,  
ვერავინ იტყვის, ხვალის დღის გარდა,  
ხვალე უნდა თქვას, ვისაც ვუყვარდით,  
ვისაც ვუყვარდით და ვინც გვიყვარდა.

მინდოდა ხვერი, არ მრჩება მცირეც

სიმღერა ლაღად გაფრენას ითხოვს  
და თვალი ლანდავს სანატრელ ხაზებს,  
ფეხაუდგმელი ვარ ბავშვი თითქოს,  
თავის ტოლებს რომ ჩამორჩა გზაზე.  
ეს წლებიც სულში სითერთეს მირევს  
და რა შორია გზა უნათლესი.  
მინდოდა ბევრი, არ მრჩება მცირე  
და ჭრაქის შუქზე ფარფატებს ლექსი.  
მიდარებია მე ლექსის სვედრი  
ღრუბელს, რომელმაც ზეცა დანისლა,  
ბუნება, მომეც ფერები, გვედრი,  
შენი გაფოთვლის და სიმწვანისა.  
კვირტები სკდება და ფეთქავს, ფეთქავს  
ჭარბიჭარბი ჭადრის ხატულა ტანი.  
ნეტავი, ადრე მეც ასე მეთქვა  
ჩემი წუხილი და გულისტქმანი.  
გამონათდება ცა ბინდიბუნდად  
და თბილ ჟრუანტელს ლექსი გადამდებს...  
ახლა აღსრულდეს ეს ნატყრა უნდა  
და გულში ჩატყდეს ხმალი ვადამდე.  
ახლა ოცნებით ეხება ხელი  
თვალთ მოლანდულ სანატრელ ხაზებს,  
მაგრამ ყოფილა ხმის პოვნა ძნელი  
და ტოლებს ძლიერ ჩამოვრჩი გზაზე.  
და ლივლივებენ სივრცეში ლურჯად  
ჩვენი ველები, ჩვენი ქედები.  
ცვივა ვარსკვლავი სულ ბლუჯა-ბლუჯა  
ხვალის ლოდინით და იმედებით

ნათლობა

სიზნელი

ბნელში შესულებს ნუ გვიკვირს,  
ჩვენი ჩრდილიც რომ გვტოვებს,  
მარგალიტებს არ უყრიან  
ბუებით უძლებ ღორებს.  
კეთილ ნაყოფს ვერ მოიხსამს  
უდაბნოს ქვიშა – ნწული,  
წული ნამრავლი ათასზეც,  
წულადვე რჩება წული...

ედელვაისი

ნეტავი, ახლა დამსვა სადმე დარიალის ახლოს,  
ან ცხენზე შემჯდარს გამაჭენა მყინვარის მალლობს,  
დამანთებინა ცეცხლი სადმე მდინარის პირას,  
ანდა იმ ბუნაგს, უძლეველი მგლები რომ სახლობს...  
გადამატარა თოვლითფენილ ლამაზ ბილიკებს;  
გამალღვობა მოყინული სტალაგმიტები;  
გამაყრვენი ნისლიანი ყველა ღრუბელი  
და ამაფრინა ზეცას, როგორც ფრენენ ჩიტები...  
ასე მალოდიდან შემახედა ჯიხვების ნავარდს,  
ფრენით დალოლს კი, დამასვენა ედელვაისში,  
მთელი ზამთარი დამაძინა დაბანგულივით  
და როგორც დათვი, გამალვიდა მხოლოდ მაისში...

დედოფალია მთავარი

თქვენში ძლიერია მოგების სურვილი,  
სასტიკი წესებით გცოდნიათ თამაში,  
მაგრამ გავიწყდებათ მარტივი პრინციპი:  
დედოფლის გარეშე ვერ გახვალთ „დამკვიპი“.

გულწრფელობა გავასაღე ბითუმად

გულწრფელობა გავასაღე ბითუმად,  
სანაცვლოდ კი, შევიძინე ნილაბი  
და გულიდან ამოჭრილი ძარღვები  
შუბლზე ამწყდარ კაპილარებს მივაბი.  
სისხლისაგან ადულებულ ვენაში  
შეყვანილი ორი გრამი სიცივით...  
აჩქროლებულ გულს ხმაური ჩავუხშე  
ირონიულ-სარკაზმული სიცილით...  
ცრემლისაგან დანესტილი ფიქრები  
გამოვაშრე და რითმებად ავკინძე,  
ნაადრევედ დანაზამთრებ გულისპირს  
საიმედოდ შევუბნიე საკინძე...



არ სვინძე





საქართველო  
საქართველო

მსკლუზი

# ჯონი გიგანი: „ტირაქტივი მომიწყვეს და სწყინდათ, რატომ არ მოკვდიო!“

საქართველოს ყოფილი მთავარი პროკურორი, არჩილ კბილაშვილი, როგორც ტელეკომპანია „იმედი“ იუწყება, მისი ყოფილი მოადგილის, ლაშა ნაცვლიშვილის გია უდესიანთან შესაძლო კავშირს არ გამოიციხავს. „იმედის“ ცნობით, კბილაშვილი, მართალია, მოკლული ბიზნესმენის, ბესო ხარძიანის საქმეზე კონკრეტულად არაფერს ამბობს, მაგრამ მიახლოებით, რომ „უამრავი ინფორმაციის მფლობელია“. ერთი სიტყვით, ისეთი პირი უჩანს, რომ თემა, რომელიც „ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლიდან დღემდე ტაბუდადებული იყო, ადგილიდან დაიძვრება. ამის თქმის საფუძველს ბიზნესმენ ჯონი გიგანის განცხადებაც იძლევა, რომელმაც „ქართული სიტყვასთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ განცხადებებზე, რომლითაც ძალიან უწყებებს ჯერ კიდევ 2013 წლის გაზაფხულზე მიმართა, გარკვეული წინსვლა შეინიშნება. შეგახსენებთ: რამდენიმე წლის წინ, ანუ „ნაციონალების“ ზეობის დროს, გია უდესიანმა ჯონი გიგანს, ბიზნესმენ ლადო კვარაცხელიას ოფისში, 5 ადამიანის თანდასწრებით ესროლა (ამის თაობაზე გიგანმა „ქართული სიტყვის“ წინა ნომერში ვრცლად ისაუბრა). აქვე, შეგახსენებთ, რომ მას შემდეგ, რაც ჯონი გიგანმა საჯარო განცხადებები გააკეთა, პროკურატურამ მოკლული ბიზნესმენის, ბესო ხარძიანის საქმეზე დაკითხა.



„როგორ სვანურ სასამართლოზე ლაპარაკობენ? ჯერ ერთი, გესო ხარძიანის მკვლელობა გვარავს შორის დაპირისპირებას კი არა, იმას უკავშირდება, რომ უდესიანმა ბესოს ქონება წაართვა და ახლა, ამ ქონების უკან დაბრუნება არ უნდა. ეს გვარავს შორის კონფლიქტი კი არ იყო, არამედ, ერთ-ერთი იმ ზონდერ-ტერორის ფაქტია, როგორ ზონდერ-ტერორსაც უდესიანი მთელი 9 წლის განმავლობაში ბიზნესმენებისა თუ რიგითი ადამიანების მიმართ ახორციელებდა!“

**ჯონი გიგანი:** — დეტალები არ ვიცი, მაგრამ მაქვს ინფორმაცია, რომ ჩემს, ანუ სროლის საქმეზეც რამდენიმე ადამიანი დაკითხეს. საერთოდ, ეს 3-დღიანი საქმეა, მაგრამ როგორც ჩანს, უდესიანს კიდევ უფროთხილდებიან, თორემ მიზანს დროს მურაბის ქურდობისთვის 30 წელს უსჯიდნენ, უდესიანს კი, რომელმაც ამდენი ხალხის თანდასწრებით მესროლა, ხმას არ სცემენ.  
— ტელეკომპანია „იმედი“ ავრცელებს ინფორმაციას, რომ კბილაშვილი ნაცვლიშვილის უდესიანთან შესაძლო კავშირს არ გამოიციხავს...  
— კარგია, თუკი კბილაშვილმა ნაცვლიშვილ-უდესიანის შესაძლო კავშირი დაადასტურა. ესე იგი, უკვე არსებობს პოლიტიკური ნება და სწორედ ამისთვის ვიბრძოდით, თორემ პოლიტიკაში ჩარევის სურვილი არასოდეს მქონია და არც მაქვს.  
ბიძინა ივანიშვილს იმისთვის, რაც გააკეთა და „ნაციონალები“ მოგვაშორა, მადლობა წინა ინტერვიუშიც გადავუხადე და ახლაც მადლობას ვუვებ. მადლობა იმისთვისაც, რომ დღეს ლაპარაკის საშუალება მაქვს.

## არჩილ კბილაშვილი ლაშა ნაცვლიშვილის გია უდესიანთან შესაძლო კავშირს არ გამოიციხავს!

უნდა დაიცვას? ახლა ცდილობს, თავი დაიძვრიოს, თორემ წელანაც გითხარით, თვითონ დაადასტურა, რომ 9 წელი „ზონდერ-ბრიგადებს“ ხელმძღვანელობდა.  
მაგისი სტილი, როგორც იტყვიან, ოპერატიული მუშაობა და ტერორია. როგორც ვიცი, რამდენიმე წლის წინ, მისი დავალებით, თემურ რადიანსაც სწორედ ასე გაუსწორდნენ.  
— რადიანსაც მოკლეს?  
— არა, მაგრამ ამ ნაძირალებმა სასტიკად სცემეს.  
— რადიანი ბიზნესმენია?  
— არა, მას განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების გამო გაუსწორდნენ.  
საერთოდ, ბიზნესში დიდი ფული, თუ პატიოსნად მუშაობ, ერთბაშად არ იშოვება. უდესიანებმა და მისნაირებმა დიდი ფული ხალხის სისხლით, ცემით, ტერორითა და ყაჩაღობით იშოვეს.  
მაგისნაირებმა ტერაქტები მომიწყვეს და მერე სწყინდათ, რატომ არ მოკვდიო. ეგენი ჩვეულებრივი კრიმინალები არიან და, ბოლოს და ბოლოს, დროა, ბიზნესი, პოლიტიკისა არ იყოს, ბინძურმა კი არა, სუფთა ადამიანებმა აკეთონ!  
30 წელია, ჩემი ბიზნესის დარაჯი ვარ,

ეგენი კი, ფულს მოხუცებსა და ბავშვების ხარჯზე შოულობენ! ეკონომიკას სწორედ მასეთები ანგრევენ. მერე, ხელისუფლება რომ შეიცვლება, ზოგიერთ ახალგაზრდა ჩინოვიტს ატყუებენ ან გარიგებაში შედიან და ქვეყნის ძარცვას აგრძელებენ. 25 წელია, საქართველოში ეს ხდება და ახლაც უნდათ, იგივე წრეზე წავიდნენ, მაგრამ აღარაფერი გამოუვათ!  
ან რომელ სვანურ სასამართლოზე ლაპარაკობენ? ჯერ ერთი, ბესო ხარძიანის მკვლელობა გვარავს შორის დაპირისპირებას კი არა, იმას უკავშირდება, რომ უდესიანმა ბესოს ქონება წაართვა და ახლა, ამ ქონების უკან დაბრუნება არ უნდა. ეს გვარებს შორის კონფლიქტი კი არ იყო, არამედ, ერთ-ერთი იმ ზონდერ-ტერორის ფაქტია, როგორ ზონდერ-ტერორსაც უდესიანი მთელი 9 წლის განმავლობაში ბიზნესმენებისა თუ რიგითი ადამიანების მიმართ ახორციელებდა!  
მეორეც, უდესიანი სვანეთში ნაყოფია? თან საქმე სამართლებრივი გზით მიდის და დარწმუნებული ვარ, გამოძიება თავის სათქმელს იტყვის!

## სტოკაძრი

მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის, მერაბ თოფჩიშვილის ინფორმაციით, კოალიცია „ქართული ოცნების“ მარნეულის საკრებულოს დეპუტატს ჯოშუა ზეინალოვს „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელმა გივი ქველაძემ და მისმა შვილმა ლაშა ქველაძემ სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.  
როგორც მერაბ თოფჩიშვილმა „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, შემთხვევა მარნეულის გამგებობის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე მოხდა.  
როგორც თოფჩიშვილმა განმარტა, ჩხუბის მიზეზი ახლა არ დანყებულა, არამედ, ეს იყო შედეგი შაბათს მომხდარი ფაქტისა, რა დროსაც, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის თქმით, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები მარნეულის რაიონის სოფელ ულაშლოში იყვნენ ჩასული და ადგილზე პროვოკაცია მოაწყვეს.  
მარნეულის გამგებლის ინფორმაციით, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები საკრებულოს დეპუტატ ჯოშუა ზეინალოვისგან მოითხოვდნენ, რომ მას ეთქვა, თითქოს მოქმედმა ხელისუფლებამ 2012 წელს 4 ჰექტარი მიწა გაყიდა, რომელიც ზეინალოვის მამამ შეისყიდა.  
„გვაქვს დოკუმენტი, რომლის თანახმადაც, ჩანს, რომ ეს მიწა გაყიდა არა 2012 წელს, არამედ 2010 წელს „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ და ზოგიერთი პირი, რომელიც შაბათს ულაშლოში იყო ჩასული, თავად იყო კომისიის წევრი. ეს იყო წმინდა წყლის პროვოკაცია. „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ გაყიდული არა მარტო ეს მიწა, არამედ კიდევ 250 ჰექტარი და კიდევ სხვა უამრავი მიწის ფართობი. ამ ყველაფრის დამადატურებელი საბუთები გაგვანჩია“, — განაცხადა თოფჩიშვილმა.  
მისივე თქმით, ჯოშუა ზეინალოვი დღეს უნდა დასწრებოდა საკრებულოს სხდომას და მას გამგებობის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე „ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატი გივი ქველაძე შვილთან ერთად დახვდა. თოფჩიშვილის თქმით, ზეინალოვს მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა.  
„ამის შემდეგ მამა-შვილმა ჯოშუა ზეინალოვს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს“, — აღნიშნა თოფჩიშვილმა და დასძინა, რომ პოლიცია ადგილზე დროულად გამოცხადდა და სიტუაცია განმუხტა.  
მისივე თქმით, ჯოშუა ზეინალოვი საავადმყოფოშია გადაყვანილი, სადაც მას შესაბამის დახმარებას აღმოუჩენენ.

## მარნეულელ „ოცნებელს“ „ნაციონალებმა“ სცემეს

## უსს-მ გვკვლეობა გაცხნა

შინაგან საქმეთა სამინისტროს მცხეთა-მთიანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1990 წელს დაბადებული ლევან ქ. მკვლელობის ბრალდებით მცხეთის რაიონ სოფელ მამკოდაში დააკავეს.  
უსს სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 6 აპრილს, საღამოს საათებში, სოფელ მამკოდის მიმდებარე ტერიტორიაზე, ურთიერთშეღებარაკების ნიადაგზე, 1962 წელს დაბადებულ ბესარიონ დს-ს გულმკერდისა და კისრის არეში დანით მრავლობითი ჭრილობა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიშალა.  
მიყენებული ჭრილობების შედეგად ბესარიონ დ. ადგილზე გარდაიცვალა.  
სამართალდამცველებმა ლევან ქ. ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ცხელ კვალზე დააკავეს. დანაშაულის იარაღი - დანა ნივთმტკიცებად ამოღებულია.  
ბრალდებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.  
გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით).

„ინტერპრესნიუსი“



საქართველოს პარლამენტი

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებას ხომ შენით ითქვა;  
დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა“  
კარგო ლექსი

რეპორაჟი

# სკოლაში მე-5-მე-6 კლასელებზე „იზასავეს“ და ერთმანეთს პორნოსურათები აჩვენებს

ისევ კახეთი... ისევ საჯარო სკოლა და ისევ სკანდალი. ამჯერადაც, – სექსუალური. როგორც „ქართული სიტყვას“ უთხრეს, კახეთის რაიონის (რაიონს შეგნებულად არ ვასახელებთ) ერთ-ერთ სკოლაში, გაკვეთილის მიმდინარეობისას, მეექვსე კლასელმა ბიჭებმა მობილური ტელეფონით ეროტიკული სურათები გაავრცელეს.

## ახალი სემსკანდალი კახეთში

„ტელეფონი ხელიდან-ხელში გადადიოდა. ღიმილს ინტერესი მოჰყვებოდა, ინტერესს – რეპლიკები. გოგონებს ამ უხამსობისთვის თვალის მოშორება უცდიათ, მაგრამ... ეროტიკულ სურათებს ერთმანეთს, თურმე, „ბლუთუთით“ უგზავნიდნენ, – უყვება „ქართული სიტყვას“ ერთ-ერთი მონაწილის მშობელი, –

პედაგოგმა კლასში ქაოსი რომ შეამჩნია, იკითხა, რა ხდებაო. ბავშვებმა მობილურების დამალვა დაიწყეს, მაგრამ მასწავლებელმა მაინც მოახერხა და გაიგო, რაც ხდებოდა, მაშინვე დირექტორთან შევიდა. სასწრაფო თათბირი ჩატარდა და გადაწყდა, რომ ბავშვებს „მობილურების“ ტარება უნდა აეკრძალოთ“.

და გოგონას გული წაუვიდა. ამის გამო ბიჭი სკოლიდან გარიცხეს, გოგონა კი, სწავლას ჩვეულებრივ აგრძელებს“, – უთხრეს „ქართული სიტყვას“.

გავა რამდენიმე დღე და ეს ამბავიც „მიიძინებს“... მარიამი (სახელი შეცვლილია), რომელიც ყოველივე ზემოთქმულის მომსწრე და მონაწილეა, ამბობს, რომ სკოლაში ასეთი ტიპის სურათები ბავშვებს სხვა დროსაც მიუტანიათ, მაგრამ მასწავლებლის ყურადღე არ მისულა.

„გარდამავალ პერიოდში, მოზარდებში პორნომანიები ყალიბდება, ზოგში – მეტი რაოდენობით. ამიტომ, როდესაც ბავშვი ამ ეტაპზეა, რალაც დროით აუცილებლად უნდა აქონდეს შესწავლილი, თუ რა ხდება მის თავს. ზედა კლასებში სექსუალური ურთიერთობები, რალაც დროებით დაცვით, აუცილებლად უნდა ისწავლებოდეს... ამ სიტუაციაში მობილურის ჩამორთმევა, ან თანატოლებსა თუ ინტერნეტთან ურთიერთობის შეზღუდვა გამართლებული არაა. ბავშვს, რაც მეტს აუკრძალავთ, უფრო მეტი ინტერესი გაუჩნდება. ამიტომ, მშობელი ვალდებულია, ყველა იმ შეკითხვას, რომელიც მოზარდს აქვს, პასუხი გასცეს“, – ამბობს ფსიქოლოგი ნანა საგინაშვილი.

ინტერვიუსი

სტოკჰოლმი

# დედაქალაქის საკრებულო აძცია „გაილე სისხლი, გადაარჩინე სიცოცხლეს“ შეუერთდა

მათივე ინფორმაციით, „ს.ს. ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის ს/კ ინსტიტუტში“ მკურნალობას ლეიკემიით დაავადებული პაციენტები გადაიან.

„დედაქალაქის საკრებულოს ძალიან დიდი სურვილი აქვს და ყოველთვის ისწრაფვის, რომ ქალაქის ცხოვრებაში იყოს ჩართული. განსაკუთრებით იმათთვის, ვისაც ჩვენი დახმარება და მხარში დგომა სჭირდება. დღევანდელი დღე, მით უფრო, რომ ეს არის ხარების ბრწყინვალე დღესასწაული, მინდა საქართველოს ყველა მოქალაქეს მივულოცო და ამავე დროს, მტკიცე მხარდაჭერა გამოვთქვა, რომ საკრებულოს წევრები ყოველთვის ჩვენი თანამოქალაქეების გვერდით იდგებიან“, – განაცხადა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილმა.

თავის მხრივ, „ს.ს. ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის ს/კ ინსტიტუტის“, დირექტორის მოადგილემ თინა ჯანაშვილმა ინსტიტუტისა და მისი პაციენტების სახელით დედაქალაქის საკრებულოს აქციაში მონაწილეობის მიღებისთვის მადლობა გადაუხადა.

„დიდი მადლობა საკრებულოს ასეთი ორგანიზებული აქციისთვის. აღფრთოვანებული ვარ თავმჯდომარის, დეპუტატებისა და თანამშრომლების ასეთი აქტიურობით. მადლობა, რომ თბილისის საკრებულო ჩაერთო პროგრამაში „გაილე სისხლი, გადაარჩინე სიცოცხლე“, – განაცხადა თინა ჯანაშვილმა.

მსოფლიო ჯანმრთელობის დღესთან დაკავშირებით, დედაქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულო უანგარო დონორთა აქციას „გაილე სისხლი, გადაარჩინე სიცოცხლეს“ შეუერთდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საკრებულოდან აცნობეს, გიორგი ალიბეგაშვილმა, საკრებულოს დეპუტატებმა და აპარატის თანამშრომლებმა უანგარო დონორთა აქციის ფარგლებში, სისხლი „ს.ს. ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის ს/კ ინსტიტუტის“ თანამშრომლებს ჩააბარეს. უანგარო დონორთა აქცია, დღიდან, დედაქალაქის საკრებულოს ფოიეში მიმდინარეობდა.

ინტერვიუსი



# ჰილარი კლინტონს პრეზიდენტობა უნდა

აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივანი, ჰილარი კლინტონი მზადაა 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობისთვის. ამის შესახებ ამერიკული მედია იტყობინება. გავრცელებული ცნობით, ის არჩევნებში კენჭისყრის შესახებ მომდევნო კვირების განმავლობაში ოფიციალურად განაცხადებს.

ექსპერტების განცხადებით, კლინტონი ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი კანდიდატი იქნება „დემოკრატიული პარტიიდან“. ჰილარი კლინტონმა არჩევნებში მონაწილეობის შესახებ აქამდეც განაცხადა, თუმცა, ოფიციალურად საპრეზიდენტო მარათონში არ ჩაბმულა.

„რესპუბლიკელების“ მხრიდან კი, არჩევნებში კენჭისყრის სურვილი გამოთქვა სენატორმა ტედ კრუზმა. ის პრაიმერში, სავარაუდოდ, ჯორჯ ბუშ უფროსის ვაჟს, ჯეი ბუშს და ნიუ-ჯერსის გუბერნატორს, კრის კრისტის დაუპირისპირდება.

ინტერვიუსი

იუსტიციის მინისტრი აცხადებს, რომ პოლიციელებზე გახშირებული თავდასხმების ერთ-ერთი მიზეზი იარაღის ტარების გამკაცრებასთან დაკავშირებით, იუსტიციის სამინისტროს მიერ შეთავაზებული კანონპროექტის განხილვის გაჭიანურებაა.

ამ მოსაზრებას საპარლამენტო უმრავლესობა არ ეთანხმება და ამბობს, რომ კანონპროექტი არსებობს და ამ თემის განხილვა ინტენსიურად მიმდინარეობს.

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის, გია ვოლსკის განცხადებით, ამ კანონის მიღებით დანაშაულებების პრევენცია არ მოხდება, ის მხოლოდ ზღვარს ავლებს კანონიერებასა და უკანონობას შორის.

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია აცხადებს, რომ კანონპროექტი პირდაპირ კავშირში არ არის პოლიციელებზე თავდასხმასთან.

„იარაღის უკანონო ტარება ისჯებოდა, ისჯება და დაისჯება მომავალშიც. ეს კანონპროექტი ეხება სრულიად სხვა პროცედურებს, ნებართვებს, ვისაც იარაღის კანონიერად ტარების უფლება აქვს“, – აცხადებს ბესელია.

# გუსუსებიანი პრეპერვატივების შეგდებ, პარლამენტში იარაღზე ალბარაკდენ

www.tb24.ge

# ზვიად ჯანყარაშვილი ირაკლი კორძიას სასამართლოში უჩივის

სარჩელი ჯანყარაშვილის დაცვის მხარე მასამართლოში უკვე შეიტანა.

როგორც ადვოკატმა, დიმიტრი გაბუნიაშვილმა აღვნიშნა, ირაკლი კორძიას მიერ ზვიად ჯანყარაშვილის წინააღმდეგ გამოითქვა ძალიან მძიმე ბრალდებები.

„ეს არის, ჩვენი აზრით, ძალიან მძიმე ბრალდებები, რომელიც ეხება ადამიანის პატივს და ღირსებას, რომელსაც სჭირდება დამტკიცება. ანუ, ის, რომ ზვიად ჯანყარაშვილი არის გია უდესიანის ბიზნესპარტნიორი და ამის გამო მან შეაფერხა ბესო ხარძიანისთვის წართმეული ქონების დაბრუნება. არის მთელი რიგი პასაჟები, სადაც ის ცილს სწამებს ზვიად ჯანყარაშვილს მთელ რიგ კორუფციულ გარიგებებში, რაც არის სიცრუე. ჩვენ დღეს შევიტანეთ სარჩელი და მას მოუწევს ამ ცნობების უარყოფა სასამართლო წესით და მორალური ზიანის ანაზღაურება“, – განაცხადა დიმიტრი გაბუნიაშვილმა.

ჟურნალისტმა ირაკლი კორძიამ ხარძიანის კუთვნილი ქონების დაბრუნების ხელშეწყობის პროცესში ლაშა ნაცვლიშვილსა და ზვიად ჯანყარაშვილს დაუკავშირა.

„რაც შეეხება საქმის განვითარებას, 2012 წელს, როდესაც ბესო ხარძიანი გამოვიდა ციხიდან, როდესაც გაჩნდა იმედი, რომ ბიზნესმენებს, მათ შორის ბესო ხარძიანს, დაუბრუნდებოდათ მათი კუთვნილი ქონება, გია უდესიანის გვარის გარდა ამ საქმეში, მართალია ფარულად, მაგრამ გამოჩნდა სხვა გვარებიც. ეს გვარები არიან, ლაშა ნაცვლიშვილი, რომელიც ხელშეწყობდა აყოვნებას ამ პროცესს. ეს არის ბატონი ჯანყარაშვილი, რომელსაც აქვს პირდაპირი ბიზნესინტერესები ბატონ უდესიანთან და სწორედ ეს იყო ის დაბრკოლება“, – განაცხადა კორძიამ.

ინტერვიუსი



საქართველოს სახელმწიფო ადმინისტრაცია

„შენ — უკვდავების ჩამონადენი, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა; დიდება შენდა, ჩემო ნათელი — ქართული სიტყვავე“

კარგა ჯანაძე

თავისუფლების ტრიბუნა

„ბევრი საიდუმლო მასალაა, რაზეც ირაკლი ალასანიას ჯერ არ ლაპარაკობს!“



„თავისუფალმა დემოკრატებმა“ თბილისის საკრებულო დატოვეს, რის მიზეზადაც პარტიის სტრატეგიისა და ფრაქციის საქმიანობის შეუსაბამობა დასახელდა. ამასთან, ირაკლი ალასანიას გუნდი საქართველოს პარლამენტში ე.წ. საფრანგეთის სკანდალზე დროებითი საპარლამენტო კომისიის შექმნის საკითხს აყენებს. პარტია „თავისუფალი დემოკრატების“ წევრს, დეპუტატ ნინო გოგუაძეს მიაჩნია, რომ სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვან საკითხზე კომისიის შექმნა თავად უმრავლესობის ინტერესში უნდა იყოს, რათა ეჭვი გაქარწყლდეს და თუ ამ იდეას უმრავლესობა მხარს არ დაუჭერს, დადასტურდება, რომ „ოცნებას“ სიმართლის გარკვევა არ სურს და რაღაცას მალავს... „ქართული სიტყვა“ ნინო გოგუაძეს ესაუბრა.

– ქალბატონო ნინო, ვთქვამთ, კომისია მართლა შეიქმნა და დასკვნაც დადო. ამის მერე პრემიერ-მინისტრს უნდობლობას გამოუცხადებთ?

– დიდი ხანია, ვამბობთ, რომ ეს მთავრობა უნდა გადადგეს, რადგან იმ გამონკვევებს, რაც სახელმწიფოშია, ვერ პასუხობს. ამიტომ, პოლიტიკურ უნდობლობას ვუცხადებთ და მომავალშიც გამოვუცხადებთ, თუმცა არ ვაპირებთ, „ნაციონალების“ მიერ ინიცირებულ მთავრობის გადადგომის მოთხოვნის ხელმოწერებს შევეუბნოთ, რადგან ვფიქრობთ, რომ საზოგადოებამ ეს გადაწყვეტილება არჩევნების გზით უნდა მიიღოს.

– რამდენიმე დღის წინ, ფილმ „კაბელეების საქმის“ პრეზენტაცია გამართეთ. ფილმი სრულყოფილია?

– ფილმი იმ ცნობილ მოვლენებს ასახავს, როცა ირაკლი ალასანიას საფრანგეთში საქართველოს თავდაცვისუნარიანობის ამბავს მივხვით იმყოფებოდა. არ მიგვაჩნია, რომ ფილმი „კაბელეების საქმე“ სრულყოფილია. ბევრი საიდუმლო მასალაა, რაზეც ჯერჯერობით ირაკლი ალასანია არ ლაპარაკობს. საზოგადოებისთვის ნათელი უნდა იყოს, თუ რას მოჰყვას ასეთი ხმაურიანი დაპატიმრება და მცდელობა, ყველზე წესიერი მინისტრი და კოალიციაში გამორჩეული პოლიტიკური ფიგურა კორუფციაში „ემბლეზინათ“ და ამ გზით მისი დისკრედიტაცია მოეხდინათ. დარწმუნებულნი ვართ, სრულიად უდანაშაულო ადამიანები დაიჭირეს და ციხეში პოლიტიკური ნიშნით გამოკეტეს.

– ბოლო შევიკვებთა ე.წ. მეგრელებისა და ექიმების საქმეები „შეკერეს“... „კაბელეების საქმეს“ რა რეზონანსი ექნება?

– „კაბელეების საქმე“ აუცილებლად სიმართლის გამარჯვებით დამთავრდება! სამწუხაროდ, ხელისუფალნი მოდიან და მიდიან, მათი ხასიათი კი, არ იცვლება და ვერც საკუთარ შეცდომებზე სწავლობენ და ვერც – სხვისი. ძალაუფლებით მოხიბვლულმა არ შეიძლება, საზოგადოებას ასეთი ტონით ელაპარაკოს, ან პროცესები ისე წარმართოს, რომ პოლიტიკურ ოპონენტს ანგარიში დისკრედიტაციითა და დაპატიმრებით გაუსწროს. ეს ის საკითხებია, რომლებიც ხელის-

უფლები განუვითარებია, პირიქით, დააკნინა და საზოგადოების თვალშიც პატივისცემა დაკარგა.

– როცა არჩევნებში გავიმარჯვებთ, ვიცოდი, ყველაფერი იდეალისტურად ვერ იქნებოდა, მაგრამ ასე სწრაფად თუ მოხდებოდა, არ მეგონა!

– არადა, კოალიციაში შემაგულ პარტიებს ოპოზიციაში ყოფნის დიდი გამოცდილება აქვთ: ქუჩას თავს კარგად ართმევდნენ, ხელისუფლებაში მოსვლის მერე კი, მათ მიმართ ბევრი პრეტენზია გაჩნდა.

– ძალაუფლების ხიბლს ყველა ვერ უძლებს.

– საზოგადოების ნაწილი ყველაფერს კოჰაბიტაციას აბრალებს. ისიც ფაქტია, სტრუქტურებში ჩარჩენილი „ნაციონალები“ ცდილობენ, ხელისუფლების შტოებზე შეგავლენა მოახდინონ.

– იმას, რაც მოხდა, კოჰაბიტაციას ვერ დააბრალებენ. ეს კონკრეტული ადამიანების ბრალია.

– გასაყვედურობენ, ირაკლი ალასანია და „თავისუფალი დემოკრატები“ ხელისუფლებაში ბიძინა ივანიშვილის მეშვეობით მოხვედითო...

– არასოდეს დაგვეწყობია, რომ ხელისუფლებაში სწორედ ბატონი ბიძინას დიდი დამსახურებით მოვედით, მასთან ერთად ვიბრძოდით და მივალნიეთ შანსს, რომ დემოკრატია დაგვემკვიდრებინა, სამართლიანი სახელმწიფოს მშენებლობა დაგვეწყობოდა. ახლა, როცა ვხედავთ, რომ პროცესები აქვთ არ მიდის – ამ ხელისუფლების პირობებში ვერ ხერხდება, უფლება არ გვაქვს, გავჩერდეთ. კოალიციის დანაპირებს ჩვენ შევასრულეთ!

ნინო გოგუაძე: „ირაკლი ერთადერთი მინისტრი იყო, რომელიც თავის უფლება-მოვალეობას პირნათლად ასორციილებდა!“

უფლების სიძლიერეს აუცილებლად არყვეს და დღევანდელიც ისევე ცუდად დაამთავრებს, როგორც კომუნისტების და „ნაციონალების“ ხელისუფლებებმა დაამთავრეს.

– ქალბატონო ნინო, ძალადობრივი ხელისუფლება ახლახან გაავაცილეთ. „თავისუფალი დემოკრატებს“ ახალი ხელისუფლებისადმი მიდგომები მეტისმეტად სწრაფად შეგაცვალათ...

– „თავისუფალი დემოკრატები“ ჯერ ალიანსთან ერთად, მერე კი კოალიციაში, აქტიურად ვიბრძოდით ძალადობის, უსამართლობის, შეურიგებლობისა და შურის წინააღმდეგ, რაც ამ ქვეყანაში მეფობდა და გვიტოვებდა, ერთხელ და საბოლოოდ დამთავრებულყო. ამ ბრძოლაში არავისზე ნაკლები როლი არ გვითამაშია, არ ვგულისხმობ ბატონ ბიძინას. სამწუხაროდ, ღირებულებებს მას მერე იცვლიან, რაც ხელისუფლებაში მოვლენ და ის, რაც ოპოზიციაში ყოფნისას არ მოსწონდათ, თავად ამკვიდრებენ! ყველას ერთნაირი ფიქრი უნდადებოდა, ცუდები „ისინი“ იყვნენ, ჩვენი განზრახვა კი, კეთილიაო. ასე დაემართა ამ ხელისუფლებას და წინას დაემსგავსა. ხელისუფლებას არც პრინციპები შეუცვლია, არც ინსტი-

– ქალბატონო ნინო, პარლამენტში ძალიან საინტერესო გამოსვლა გქონდათ – ყურადღება საზოგადოების თითოეულ წევრზე გაამახვილეთ. რას ფიქრობთ, მოქალაქემ დაუსრულებელი პოლიტიკური ცვლილებების პროცესები როგორ აღიქვას?

– სამწუხაროდ, კონკრეტული პიროვნებისთვის იმის აღქმა, რაც ხდება, ძალიან ძნელია, მაგრამ უფალმა ადამიანს იმის უნარი დაანათლა, რომ კარგი და ცუდი, ღირებული და უღირსი განასხვავოს.

– მოქალაქემ ეს არჩევანი 2012 წლის პირველ ოქტომბერს გააკეთა, მაგრამ შედეგი მაინც არ დადგა...

– ცხოვრება ასეთია: სულ არჩევანის წინაშე ვდგავართ. ყოველი არჩევანის მერე ახლად იბადები. თუ ცხოვრებაში უღირსი არჩევანი ერთხელ გააკეთეთ, ამ არჩევანის ტყვე ხდებით...

– პირველი ოპოზიციური განაცხადის მერე, კოალიციაში ვინმემ კომპრომისი თუ შემოგთავაზათ?

– ახლა ამაზე ლაპარაკი არ მინდა... დავამტკიცეთ, რომ ჩვენთვის მთავარი სახელმწიფოებრივი, სამართლიანი დემოკრატიაა და არა – თანამდებობები.

„თავისუფალი დემოკრატები“ ჯერ ალიანსთან ერთად, მერე კი კოალიციაში, აქტიურად ვიბრძოდით ძალადობის, უსამართლობის, შეურიგებლობისა და შურის წინააღმდეგ, რაც ამ ქვეყანაში მეფობდა და გვიტოვებდა, ერთხელ და საბოლოოდ დამთავრებულყო. ამ ბრძოლაში არავისზე ნაკლები როლი არ გვითამაშია, არ ვგულისხმობ ბატონ ბიძინას. სამწუხაროდ, ღირებულებებს მას მერე იცვლიან, რაც ხელისუფლებაში მოვლენ და ის, რაც ოპოზიციაში ყოფნისას არ მოსწონდათ, თავად ამკვიდრებენ! ყველას ერთნაირი ფიქრი უნდადებოდა, ცუდები „ისინი“ იყვნენ, ჩვენი განზრახვა კი, კეთილიაო. ასე დაემართა ამ ხელისუფლებას და წინას დაემსგავსა. ხელისუფლებას არც პრინციპები შეუცვლია, არც ინსტი-

– ქალბატონო ნინო, რა მოხდა სინამდვილეში, რატომ გაირიყა ირაკლი ალასანია?

– ასე ვთქვათ, ბევრი ფაქტორის ერთობლიობაა... ალასანია გამორჩეული პოლიტიკური ფიგურა, ყველაზე მაღალი რეიტინგით, როგორც თანამდებობის პირი, შესაბამისი გადანაცვლებებს იღებს, მაგრამ ჩემი აზრით, ყველაფრის მიზეზი ისაა, რომ ჩვენში ინერტული ადამიანები არიან წახალისებულნი.

– მთავრობის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ირაკლი ალასანიამ დაუმორჩილებლობა გამოიჩინა.

– ირაკლი ერთადერთი მინისტრი იყო, რომელიც ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს თავდაცვის სფეროში თავის უფლება-მოვალეობას პირნათლად ასორციილებდა და უფლება არავის ჰქონდა, მოეთხოვა, წინასწარ შეთანხმებულ და ქვეყნისთვის საჭირო დოკუმენტზე ხელი არ მოაწერო. ირაკლი ალასანიამ დაუმორჩილებლობა კი არა, ღირსება გამოაჩინა, ისე იმოქმედა, როგორც ქვეყნის სახემ და ღირსეულმა მინისტრმა. და საერთოდ, ქვეყნის საინფორმაციო განვითარების მიღების დროს მორჩილება ვის წინაშე უნდა გამოეჩინა?

– ამბობთ, საფრანგეთში განხორციელებული ზარი, რომელიც წინასწარ შეთანხმებული ხელმოწერის გაუქმებას ითვალისწინებდა, ირაკლი ალასანიას საინფორმაციო კამპანია იყო, ყველაფერი ეს წამებში მოხდა?

– არ მგონია... ვფიქრობ, ირაკლის სამთავრობო გუნდიდან გაშვება ძალიან დიდი ხანი იგეგმებოდა.

– ამ ფორმით?

– ფორმა იმ მომენტში გამოინახა, ეს თუ არა, სხვა გამოჩნდებოდა. ირაკლი ალასანიას დისკრედიტაცია კორუფციით მოინდომეს, მაგრამ არ გამოუვათ.

– კორუფციაში დადანაშაულება მაინც დაამაინც ქვეყნისთვის ასეთ საჭირო დროს უნდა მომხდარიყო?

– ირაკლი ალასანიას გზიდან ჩამოშორება უნდოდათ, მათ გეგმებში არც ირაკლის თავდაცვისუნარიანობის მისეული სტრატეგია შედიოდა.

– რატომ?

– ჯერ ამას ხმამაღლა ვერ ვიტყვით, როცა ოპოზიციაში მივდიოდით, განვაცხადეთ, რომ ქვეყნის ევროატლანტიკურ კურსს საფრთხე დამუქრავს, ჩვენთვის ასეა და ამ პროცესის მიმდინარეობას თვალს დღესაც გულისყურით ვადევნებთ.

– რას ატყობთ, თქვენი ეჭვი დასტურდება?

– ვერ ვიტყვი, რომ დასტურდება, თუმცა ძალიან ბევრი უცნაური განცხადება კეთდება, რაც ეჭვის საფუძველს იძლევა.

– ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის შემთხვევაში თქვენი აზრით ბოლო წვეთი იყო?

– ეჭვები გქონდა, მაგრამ ხელმოსაკიდი არ იყო. ამ ხნის განმავლობაში, დასავლეთისკენ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. თითქოს ყველაფერი სწორად მიდიოდა, თუმცა რაღაცები ფრთხილ კითხვის ნიშნებს იწვევდა.

– ირაკლი ალასანია ამბობს, რომ მის წინააღმდეგ ბრძოლა „ჩრდილოკორეული სცენარი“ მიმდინარეობს. ეს რას ნიშნავს?

– ირაკლი ალასანიას დიქტატორული ქვეყანა ებრძვის, სადაც პროკურატურა პოლიტიზირებულია – ხელისუფლების ნებას ასრულებს.

– პროკურატურა ექსპერტზეც ძალადობს? დავით უსუფაშვილი ამბობდა, ექსპერტი მონშე არაა, რომლის შეცვლაც შეუძლებელიაო.

– აქ მთავარი ის კი არაა, ექსპერტი გამოიცვლება თუ არა. მთავარია, რომ მასზე ზეწოლა მოხდა და სწორად და „ჩრდილოკორეული სცენარი“. ვინ ვინ და პარლამენტის თავმჯდომარეს კარგად ესმის, რომ ექსპერტზე ზეწოლა უკანონოა და მონინალმდეგის მიმართ ასეთი მეთოდების გამო-

„შენ – უკვდავების ჩამონადენი, მშვენიერებას სომ შენით ითქვა;  
დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა“

კარგე ლინა



საქართველოს პარლამენტი  
საგარეო ურთიერთობების კომიტეტი

თავისუფლების ტრიბუნა



მე-10 გვერდიდან

ოყენება სამართლიანი ქვეყნისთვის მიუღებელია.

– უსუფაშვილმა იკითხა: ვინ დგას ყველაფერ ამის უკან?

– ბატონი დავითი, თანამდებობრივად, ჩემზე გაცილებით მაღლა დგას, მიმაჩნია, რომ სწორედ მას უნდა ჰქონდეს პასუხი შეკითხვაზე: ვინ დგას ყველაფერის უკან?

– რეალობა ასეთია: „თავისუფალი დემოკრატიები“ ოპოზიციაში ხართ, ბრძოლას როგორ გააგრძელებთ?

– ჩვენთვის ოპოზიციური ბრძოლა სიახლე არაა.

– კი ბატონო, მაგრამ ახლა სხვა რეალობა...

– არ უნდა დავიზაროთ, საზოგადოებას, ამომრჩევლებს ავუსხსნათ, ასე რატომ ვიქცევით. ეს ადვილია, როცა საკუთარ თავთან მართალი ხარ. პარლამენტში ყველა კონსტიტუციური მეთოდს გამოვიყენებთ, რეგიონებში, ხალხთან კონტაქტისას კი, ჩვენი მთავარი იარაღი ახსნა-განმარტება იქნება.

– „თავისუფალი დემოკრატიების“ უკან ვინ დგას?

– „თავისუფალი დემოკრატიები“!

– ქალბატონო ნინო, ვინ იქნება საქართველოს მომავალი პრეზიდენტი?

– ჩვენ ვიცით, რომ საპარლამენტო არჩევნებში გავიმარჯვებთ. დღეს ქვეყანას ღირსეული პრეზიდენტი ჰყავს და დარწმუნებული ვართ, ქვეყანას მომავალ არჩევნებამდე სტაბილურად და განონასწორებულად მიიყვანს! მომავალზე არ ვლაპარაკობთ, ვადა რომ ამოიწურება, მეტი დავინახებ ფიქრს, ეყოლება თუ არა „თავისუფალ დემოკრატიებს“ საპრეზიდენტო არჩევნებში საკუთარი კანდიდატი.

– მას შემდეგ, რაც აფხაზეთი დავკარგეთ, უამრავი პარტიის, მოძრაობის საარჩევნო სლოგანი დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებაა. ირაკლი ალასანიას ის ადამიანია, რომელსაც აფხაზეთზე ლაპარაკი რეალურად შეუძლია, – აფხაზეთში დიდი ნდობა ჰქონდა. ოპოზიციაში გადასვლის მერე, აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებისგან გამოსხაურება ხომ არ გქონია?

– ეს შეკითხვა ირაკლის დაუსვით, მე ვერაფერს გეტყვით.

– ოპოზიციური ბრძოლაში სავარაუდო თანამებრძოლები და პარტიები უკვე გამოიკვეთნენ?

– ჩვენ გახსნილი ვართ, მაგრამ დღეს ვინმესთან კოალიციაში შესვლაზე არ ვფიქრობთ. კონსულტაციები ყველასთან გვექნება, ვისთვისაც ჩვენი პრინციპები ღირებულაა, – „ნაცმოდრობასთანაც“?

– რა თქმა უნდა, – არა! „ნაცმოდრობას“, რომელმაც ჩვენთვის მთავარი – დასავლური ღირებულებების დევაღაცია მოახდინა და დემოკრატიის სახელით ბევრი არა-დემოკრატიული ნაბიჯი გადადგა, ჩვენ ცხრა წელი ვებრძოდით. კარგად გვაქვს გაცნობიერებული, როგორ იქცეოდნენ ხელისუფლებაში ყოფნის დროს, ამიტომ მათთან კოალიციაში ვერ ვიქნებით, თუმცა პარლამენტში ზოგ საკითხზე თანამშრომლობა გვექნება.

– მაგალითად?

– მაგალითად, საყდრისთან დაკავშირებული და ამაში ხალხმა შეთქმულება არ უნდა დაინახოს.

– „პატრიოტთა ალიანსთან“ თანამშრომლობა?

– ღირებულებითი თანხვედრა არ გვაქვს, არც შემოთავაზება გვქონია და არც ვგეგმავთ.

– დროებითი საგამოძიებო კომისიის შესახებ რას იტყვით, რომელიც ე.წ. „კაბულეების საქმეს“ გამოიკვლევს?

– კანონით, პარლამენტმა უარი არ უნდა თქვას, რადგან რეგლამენტის მიხედვით, როცა საქმე ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას ეხება, დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნას წინ არაფერი უნდა დაუდგეს. ყველა პროცედურას გავივლით და საკითხს პარლამენტის წინაშე დავაყენებთ. კომისია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ყველაფერს გამოიკვლევს.

– პრემიერ-მინისტრმა ალასანიას ვაჟკაცობა დაუწუნა.

– ამ განცხადებას ცოტა იუმორით უნდა შევხედოთ, არ გავანწყენდეთ. მინისტრი უდანაშაულო თანამშრომლებს გადაეფარა – თანამდებობა დატოვა, რასაც მთელი მისი გუნდი გადადგომა მოჰყვა. საზოგადოებამ თავად განსაჯოს, ვაჟკაცია თუ არა. მგონია, რომ საქმე ღირებულებითი ტერმინების, განათლებისა და კულტურის აღრევასთან გვაქვს.

– თქვენი აზრით, თავდაცვის მინისტრად მაინც დამინც მინდია ჯანელიძე რატომ დანიშნეს?

– ალბათ, მორჩილების ფასად... არ მინდა, მასზე ცუდი ვთქვა, წარმატებებს ვუსურვებ. დღევანდელ პოლიტიკურ რეალობაში თანამდებობის პირს, ვფიქრობ, სწორედ მორჩილება სჭირდება.

– ანუ, ირაკლი ალასანია მორჩილი არ იყო?

– დიახ, ამიტომაც არაა დღეს ქვეყნის თავდაცვის მინისტრი.

– საზოგადოება დღემდე გაურკვევლობაშია: საფრანგეთში ჯანელიძემ დარეკა თუ არა, ხელშეკრულება ფორმდებოდა თუ განზრახულობდა ოქმი...

– გული მწყდება, რომ ბატონი ჯანელიძე თავის გამოცდებში ფაქტებს სხვადასხვანაირად წარმოადგენს. ჩემი აზრით, მინისტრს თავისი ალოგიკური განცხადებებით ცოტა სერიოზულობა დააკლდა.

– ბიძინა ივანიშვილისგან რა გამოსხაურებები გქონდა?

– არ ვარ საქმის კურსში, მგონი, – არანაირი.

– ასე დასრულდა „თავისუფალი დემოკრატიების“ კოალიციური ისტორია?

– არასოდეს დამავინწყდება ბატონი ბიძინას წვლილი კოალიცია „ქართული ოცნების“ გამარჯვებაში. ბიძინა ივანიშვილი განსაკუთრებული ადამიანია, მასთან მჭიდრო თანამშრომლობა დაუწინაურებია და შეუფასებელია მისი როლიც. ყველაფერი კი ისე დასრულდა, როგორც დამთავრდა. მეჩვენება, რომ ჩვენთან ერთად, დიდი ბრძოლით მოპოვებული შანსი ყველამ ხელიდან გავუშვი!

– ალექსი პეტრიაშვილი ამბობდა, ხელისუფლება სირაქლემას პოზაშია. თქვენი აზრით, ეს პოზა რამდენ ხანს გასტანს?

– რამდენსაც საზოგადოება დააცლის.

– რამდენსაც საზოგადოება დააცლის.

ქმედებები

„რეგიონებში მიიმა სიტუაცია!“

ეკონომიკის ექსპერტი ემზარ ჯგერენია, უახლოეს მომავალში, ლარის დევაღაცის ალარ პროგნოზირებს, თუმცა აღნიშნავს, რომ ლარის კურსის დესტაბილიზაციის საქმეში რეგინანების განაკვეთის ზრდა მხოლოდ მოკლევადიან პერსპექტივაზეა გათვლილი:

ემზარ ჯგერენიას თქმით, 2016 წელიც მიიმა იქნება!

– ლარის კურსი შედარებით დასტაბილურდა, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ლარის კურსის გაუარესება უახლოეს მომავალში მოსალოდნელი აღარაა. ამასთან, ექსპორტის, ეკონომიკური ზრდისა და გადასახადების აკრეფის მაჩვენებელიც გაუმჯობესდა. ინფლაციური ზეწოლა მოსალოდნელია, მაგრამ უმნიშვნელოდ.

– ბატონო ემზარ, ფასების ზრდასაც ელოდებით?

– ყველა ის მაჩვენებელი, რომელიც საველურ ნაკადებს მოაქვთ, ჯერჯერობით გამოკეთების გზაზე დგას და ლარი მყარი ზურგის მოპოვებას ცდილობს. რაც შეეხება იმპორტზე მოთხოვნას, ის შემცირდება, შესაბამისად, დოლარზე მოთხოვნაც დაიწვევს, ამის გამო დოლარის კურსი ავტომატურად დასტაბილურდება და ფასების ზრდა ნაკლებად მოსალოდნელია.

– რამდენიმე დღის წინ, ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, საქართველოში მდგომარეობა ეკონომიკური ზრდის კუთხით, მალე საგრძნობლად გაუმჯობესდება. დღევანდელი გადასახადები ეს მოსალოდნელია?

– მთავარია, ჩამოვყალიბოთ სტრატეგია, თუ საით მივხედვართ და ეკონომიკას როგორ, რითი ვაშენებთ. დასკვნა ამის მერე უნდა გავაკეთოთ.

– ისე, „20.30“-ს თუ უყურებთ, სადაც ეკონომიკის გაჯანსაღებაზე ლაპარაკობენ?

– დიახ, ვუყურებ. ამ გადაცემაში ეკონომიკას მეტ ყურადღებას აქცევენ.

– შემუშავდა პროგრამა „ძლიერი რეგიონები“, რომელიც რეგიონების განვითარებას ემსახურება. ეს პროგრამა რეალურია?

– პირდაპირ გეტყვით: რეგიონებში მიიმა სიტუაციაა, ძირითადი ეკონომიკური აქტივობის 80% თბილისსა და მის შემოგარენში მოდის. სამხრეთში, ყველა რეგიონს, ეკონომიკის კუთხით, თავისი სისუსტე აქვს. ყოველდღიური მოხმარება, ძირითადად, ვაჭრობას ეყრდნობა; რეგიონებში წარმოდგენილი არაა დასაქმების ხედვა და არც ისეთი მიმართულებები, რომლებიც ადამიანს აფიქრებინებს, რომ ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში სრულყოფილად ჩაერთოს. აქედან გამომდინარე, ეს თავკომბალას პროტოტიპია: თბილისი, თავისი ეკონომიკით და დანარჩენი საქართველო. ასეთ დისპროპორციას, რა თქმა უნდა, ქვეყნისთვის დიდი ზარალი მოჰყვებოდა, უმუშევრობის ძირითადი მასა სწორედ რეგიონებშია – იქ ფული ნიშნის ვერ იპოვით, ხალხს უჭირს და, ელემენტარულად, მხოლოდ კვების პროდუქტებს ყიდულობს. ამიტომ მთელი ბიზნეს ელიტა საკომპლექსურ ბაზრების ირგვლივ თავმოყრილი. რეგიონებში შექმნილი კატასტროფული მდგომარეობის გამო-სწორებას რეკომენდირებ გარდაქმნა და არაორდინალური ნაბიჯების გადადგმა სჭირდება. ისე, მნიშვნელოვანია, რომ 2014 წელს, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ახალი კანონმდებლობით ჩავატარეთ, მაგრამ ეს მიდგომები გამართლებული მანამ არ იქნება, ვიდრე რეგიონები შემოსავლებზე პასუხისმგებლობას არ იგრძნობენ და გადასახადების ნაწილიც ადგილზე არ დარჩება. სანამ გამათანაბრებელ ტრანსფერებზე არაა დამოკიდებული, რეგიონები სულ პარალიზებული იქნება. რაიონების საკრებულოს თავმჯდომარეები და გამგებლები პასუხისმგებლობას უნდა იღებდნენ, რომ ადგილზე ბიზნეს განავითარონ და ინვესტირების შემოსვლას ხელი შეუწყონ, მაგრამ ამაზე ხედვა არ აქვთ და, როგორც ხალხის მიერ წარმოდგენილი პირები, არ იციან, რა უნდა გააკეთონ. კარგი იქნება, თუკი მათი უფლებების დელეგირება მოხდება. სრულფასოვან მმართველობას მხოლოდ ამ შემთხვევაში მივიღებთ.

– ბოლო დროს გამგებლების რეპუტაცია კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. ზოგიერთი მათგანი კორუფციამა მხილებული და ასეთ დროს რეგიონების განვითარებაზე ლაპარაკი, მინიმუმ, უსარგებლოა...

– კორუფცია მსოფლიო სენია და, ბუნებრივია, ყველა ქვეყანაშია...

– ბატონო ემზარ, მთავრობამ ეკონომიკური კრიზისის დაძლევა ე.წ. ქაბრების შემოჭრის პოლიტიკით გადამწყვიტა და 2%-იან ეკონომიკურ ზრდას გვეპირდება, ოპოზიცია კი, მაინც სკეპტიკურადაა განწყობილი...

– ვისურვებ, ექსპერტები ისეთი ხატოვანი ტერმინის გამოყენებისგან, როგორიცაა „ქაბრების შემოჭრა“ და „მალე ცხოვრების დონით ევროპის ქვეყნებს გავუტოლდებით“ გავთავისუფლდეთ... ყველა ქვეყანაში ეკონომიკა ციკლური პროცესია, ხან 40%-იანი ზრდაა, ხან კი, მინუსებში გადადის. საქართველოში, ამ ეტაპზე, 2%-იანი ზრდა რეალურია. შეგახსენებთ: შარშან, როცა მთავრობამ ბიუჯეტის პროექტი წარმოადგინა, ვამბობდით, საკმაოდ ოპტიმისტურია და არ შესრულდება, რადგან 2015 წელი მიიმა იქნებოდა. ახლა, საველურ ფონდას და მსოფლიო ბანკთან ერთად, კორექტივებს აკეთებენ. მთავრობა, რა თქმა უნდა, მუდამ უნდა ვაკრიტიკოთ, რომ ფორმაში იყოს, მაგრამ ერთი ნათელია: ჯობია, რეალისტები ვიყოთ და ფუჭი მოლოდინები არ გვქონდეს, ვიდრე სულ მოლოდინი გვქონდეს. ხელისუფლებამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები უნდა გადადგას, რომ მთავრობის ადმინისტრაციის ხარჯები საგრძნობლად შეამციროს...

– ყოფილი პრემიერის დაპირებით, ახალი ხელისუფლების მესამე წელი კარგი უნდა ყოფილიყო, მეოთხე კი, – საუკეთესო...

– 2016 წელიც მიიმა იქნება. ის რეცესია, რაც ევროპაშია, ბუნებრივია ჩვენზეც აისახება. დაძაბული მდგომარეობაა უკრაინასა თუ რუსეთშიც: უკრაინაში გადახდისუუნაროდ შესაძლოა, 30 ბანკი გამოცხადდეს... 2015 წლის 2 თვეში, უკრაინის ბანკებიდან დეპოზიტების გადინებამ 18 მილიარდი გრინვა შეადგინა. ამიტომ, მიმდინარე წელს სავაჭრო ბრუნვა, დაახლოებით, 80%-ით შემცირდება, რაც საქართველოს მთლიან ექსპორტზე საკმაოდ უარყოფითად აისახება. უკრაინა, პრაქტიკულად, დეფოლტის ზღურბლზეა...

– ანალოგიური მდგომარეობაა რუსეთთან მიმართებაშიც. დსთ-ს ბაზარი საქართველოსთვის მილიარდ 600 მილიონ დოლარს შეადგენდა. წელს ჩვენი ექსპორტის დანაკარგი, ამ მიმართულებით, სავარაუდოდ, 800 მილიონი დოლარი იქნება. მოკლედ, ყველა ეს ფაქტორი გასათვალისწინებელია.

– რაც შეეხება შიდა ფაქტორებს, მომავალი წელს არჩევნები უნდა ჩატარდეს, რასაც დიდი ზეგავლენა აქვს ეკონომიკურ განვითარებაზე. ასეთ პირობებში, ერთის მხრივ, ინვესტირების არჩევანს საკმაოდ რთულად აკეთებენ, მეორეს მხრივ, მთელი საზოგადოება პოპულისტი ხდება, რადგან არჩევნები და ქვეყნის ბედი უნდა გადაწყდეს. არჩევნებს თავისი კანონები, მოთხოვნები და გამოწვევები აქვს.

– პრემიერმა ლარობაში გაანაცხადა, რომ „ოცნების“ დაპირება უკვე შესრულდა და, 100-ის ნაცვლად, 105 სანარმო დაფინანსდა, თუმცა ამაზე მოსახლეობას ინფორმაცია არ აქვს...

– მართლაც, ბევრი სანარმო გაკეთდა სოფლის მეურნეობაში სათბურების, სათევზებების სახით. რამდენიმე ახალი სანარმო ღვინის მრეწველობაშიც გაიხსნა. სამუშაოები კურორტების ინფრასტრუქტურის მხრივაც ჩატარდა... ჭანჭიკებისა და საშენ მასალათა რამდენიმე ქარხანაც ამუშავდა...

– თუკი ამდენი კარგი საქმე გაკეთდა, ჩვენ რატომ არაფერი ვიცით? ესე იგი, „ოცნების“ პიარი მოიკოჭლებს?

– არ მგონია, რომ ჟურნალისტები სანარმოებში მთავრობამ უნდა ატაროს. ჯობია, ხელისუფლებამ საქმე აკეთოს, ვიდრე პიარით იყოს დაკავებული.

– რამდენიმე კარგი საქმე გაკეთდა, ჩვენ რატომ არაფერი ვიცით? ესე იგი, „ოცნების“ პიარი მოიკოჭლებს?

– არ მგონია, რომ ჟურნალისტები სანარმოებში მთავრობამ უნდა ატაროს. ჯობია, ხელისუფლებამ საქმე აკეთოს, ვიდრე პიარით იყოს დაკავებული.

– რამდენიმე კარგი საქმე გაკეთდა, ჩვენ რატომ არაფერი ვიცით? ესე იგი, „ოცნების“ პიარი მოიკოჭლებს?

– არ მგონია, რომ ჟურნალისტები სანარმოებში მთავრობამ უნდა ატაროს. ჯობია, ხელისუფლებამ საქმე აკეთოს, ვიდრე პიარით იყოს დაკავებული.

– რამდენიმე კარგი საქმე გაკეთდა, ჩვენ რატომ არაფერი ვიცით? ესე იგი, „ოცნების“ პიარი მოიკოჭლებს?

– არ მგონია, რომ ჟურნალისტები სანარმოებში მთავრობამ უნდა ატაროს. ჯობია, ხელისუფლებამ საქმე აკეთოს, ვიდრე პიარით იყოს დაკავებული.

– რამდენიმე კარგი საქმე გაკეთდა, ჩვენ რატომ არაფერი ვიცით? ესე იგი, „ოცნების“ პიარი მოიკოჭლებს?

– არ მგონია, რომ ჟურნალისტები სანარმოებში მთავრობამ უნდა ატაროს. ჯობია, ხელისუფლებამ საქმე აკეთოს, ვიდრე პიარით იყოს დაკავებული.

– რამდენიმე კარგი საქმე გაკეთდა, ჩვენ რატომ არაფერი ვიცით? ესე იგი, „ოცნების“ პიარი მოიკოჭლებს?

– არ მგონია, რომ ჟურნალისტები სანარმოებში მთავრობამ უნდა ატაროს. ჯობია, ხელისუფლებამ საქმე აკეთოს, ვიდრე პიარით იყოს დაკავებული.

– რამდენიმე კარგი საქმე გაკეთდა, ჩვენ რატომ არაფერი ვიცით? ესე იგი, „ოცნების“ პიარი მოიკოჭლებს?

– არ მგონია, რომ ჟურნალისტები სანარმოებში მთავრობამ უნდა ატაროს. ჯობია, ხელისუფლებამ საქმე აკეთოს, ვიდრე პიარით იყოს დაკავებული.

– რამდენიმე კარგი საქმე გაკეთდა, ჩვენ რატომ არაფერი ვიცით? ესე იგი, „ოცნების“ პიარი მოიკოჭლებს?

– არ მგონია, რომ ჟურნალისტები სანარმოებში მთავრობამ უნდა ატაროს. ჯობია, ხელისუფლებამ საქმე აკეთოს, ვიდრე პიარით იყოს დაკავებული.



საქართველოს პარლამენტი

„შენ — უკვდავების ჩამონადენი, მშვენიერება სომ შენით ითქვა; დიდება შენდა, ჩემო ნათელი — ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა“

კონსტანტინე

საზოგადოებრივი ტრიბუნა

# „ნაციონალური“ ბატონ ბიძინას უნდა უმაღლოდნენ, რომ დღეს არსებობენ!“

მოკლედ: 2015 წლის 18 თებერვალს, გარდაცვლილ თამაზ ავალიანის ნაცვლად, უმრავლესობის სიით, პარლამენტარი ხდება. მანამდე კი, 2012 წლის დეკემბერს, ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტად ირჩევენ, თუმცა ფედერაციის წარმომადგენლები უპირისპირდებიან — კარს უჭედვენ და 2014 წლის 1 დეკემბერს თანამდებობას ტოვებს. უფრო ადრე, 2010 წლის ივნისში, ნინო ბურჯანაძის „დემოკრატიულ მოძრაობაში“ წევრიანდება... ასეთია მსოფლიოს ორგანიზაცია და ევროპის ექსპერტის ჩემპიონის პოლიტიკური ბეგრადი. საერთოდ, მის სახელს ბევრი სკანდალი უკავშირდება. მას ასე, ბურჯანაძიდან — ივანიშვილთან, ტატამიდან — პარლამენტში: რატომ დაუპირისპირდნენ და მოითხოვეს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტობიდან მისი გადაყენება და კითხულობს თუ არა კანონებს? — „ქართული სიტყვა“ ლუკა კურტანიძის პოლიტიკური ხედვებს წარმოგიდგინებ:

თო პოლიტიკური ხედვა ვერც გვექნებოდა, რადგან მე მებრძოლი ადამიანი ვარ და ყოველთვის ვაფიქსირებდი, რომ ქვეყანაში საშინელი მდგომარეობა იყო. ჩვენი გაერთიანება მხოლოდ რეჟიმის შეცვლის სურვილით იყო განპირობებული. ჩემი ამოსავალი წერტილი ყოველთვის საქართველო იყო და იქნება!

საერთო პოლიტიკური ხედვა ბატონ ბიძინა ივანიშვილთან მაქვს, რომელიც ჩვენს ვერ გადარჩებოდნენ. სააკაშვილის რეჟიმმა საზოგადოების გაუგონარი დამცირებისა და წამების კადრები დატოვა.

— ჯერ ერთი, „ოცნებამ“ ყოფილი ხელისუფლების არაერთი მაღალჩინოსანი დაიჭირა. მეორეც, საზოგადოება იმას, რასაც თქვენ დიდსულოვნებას ეძახით, ახალი ხელისუფლების მთავარ შეცდომად მიიჩნევს და სამართლიანობის აღდგენას ითხოვს...

— ფაილები, რომლებიც განადგურდა, რაღაც სახით უნდა შეენახათ და იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ახლა პარლამენტში არიან და რეჟიმისტულ განცხადებებს აკეთებენ, იძულების წესით უნდა გვეჩვენებინა! მჯერა, ამის მერე ბევრი მათგანი აღიარებდა და ბოდიშს მოხდიდა. დღეს ეს კადრები განადგურებულია. „ნაციონალური“ კი, — შეგულიანებულნი, მაგრამ ჩვენი მეგობარი ქვეყნების წარმომადგენლებმა, ევროპასა და აშშ-დან, გვიჩიეს, ისე მოვექცეულიყავით, როგორც ბატონმა ბიძინამ გადაწყვიტა — დიდსულოვნად, ღირსეულად და თაობათა შუღლი შეგვეწყვიტა.

„ნაციონალური“, ავადმყოფი სააკაშვილის მეთაურობით, საზღვრებს გარეთაც ისეთ განცხადებებს აკეთებენ, რომ პირდაპირ საკუთარ ქვეყანას ებრძვიან. როცა ამბობენ, საქართველოში ადამიანის უფლებები ირღვევა, კრიმინალის დონე მაღალია და ქვეყანა უფსკრულისკენ მიექანებაო, ინვესტორი საქართველოში ინვესტიციის ჩადებისგან თავს ნამდვილად შეიკავებს. ეს ადამიანები პოლიტიკური არეალიდან გასაძეველები არიან, რადგან საკუთარ ერს ებრძვიან, მაგრამ ეს ხელისუფლებამ კი არა, საზოგადოებამ უნდა გააკეთოს!

— საზოგადოება 21 მარტს მიტინგზე მივიდა, ბატონო ლუკა და, „ნაციონალურის“ კი არა, „ოცნების“ წასვლას ითხოვდა...

— კარგი, რა?! ძალიან კარგად ვიცი, როგორ ფინანსდება „ნაციონალურის“ მიტინგები. მინდა, დიდი მადლობა ვუთხრა შს მინისტრს, ბატონ ვახტანგ გომელაურს, რომ ის მესიჯები, რომლებიც გავრცელდა, საკმაოდ დამაჯერებელი იყო. ქვეყანა არეულობას არ დაუშვებს. ახალი და მნიშვნელოვანი ტენდენციაა: ბატონი გომელაური წინა დღეებში აქციის ორგანიზატორებს შეხვდა და უზრუნველყო, რომ ყველაფერი უსაფრთხოდ ჩატარებულიყო და „ნაციონალურის“ თავიანთი აზრი მაქსიმალურ კომფორტში გამოეხატათ, რაც ადრე წარმოუდგენელი იყო — სააკაშვილის რეჟიმი ადგილს, სადაც საპირისპირო აზრს ავრცელებდნენ, სისხლით რწყავდა ხოლმე!

— ნუთუ, „ქართული ოცნებას“ არ აშფოთებს, მთავრობის გადადგომის მოთხოვნით ქუჩაში ამდენი ადამიანი რომ გამოვიდეს?

— რა თქმა უნდა, არა. ავტობუსი უფრო მეტი იყო, ვიდრე — მომიტინგე. მონაწილეთა 3%-ს „ნაციონალურის“ შეიძლება, მართლაც სჯერა და ფანატიკური განწყობა აქვს. ზოგს საქმე არ ჰქონდა და მანქანაში ფინანსური დაინტერესებულები ჩასვს, მოიყვანეს და იმ ადამიანების გამოსვლები მოასმენინეს, რომლებიც შემზარავი კადრების შემოქმედნი, მკვლელები და მოძალადეები არიან... იმას არ ვამბობ, რომ ხელისუფლებას ოპორტიუნა არ უნდა გაუნდო, პირიქით. მომავალი თაობის იმედი მაქვს, რომელმაც სხვა ღირებულებები და ფასეულობები აქვს.

— „ნაციონალურს“ ხელისუფლებაში დაბრუნების ძალა და შანსი აქვთ?

— არა! საზოგადოება არ დაბრუნებას არასდროს დაუშვებს, რადგან მათ და მათ მიერ დათესილ სისასტიკეს უარი მთელმა ერმა უთხრა. აი, კიდევ რა შიშა ბატონი ბიძინას გენია: უყვარს ფაქტები, ფაქტებით საუბრობს. „ნაციონალური“ დამნაშავეები არიან, მაგრამ ჰყავთ უდანაშაულო შვილები.

## ლუკა კურტანიძის პოლიტიკური შეფასებები



— ფედერაციის წარმომადგენლებთან ურთიერთობა გაქვთ? ვთქვით, რჩევას თუ აძლევთ?

— ვაძლევ, იმ ხალხს ვაძლევ, ვინც რჩევას ითხოვს, თორემ ჩემს აზრს ნამდვილად არავის ვახვევ. ალბათ, ჩემზე მეტი იციან, სხვა მიდგომები და შეფასებები აქვთ. ვნახოთ... მათ მოღვაწეობას საზოგადოება შეაფასებს. ვცდილობ, ის, რაც მოხდა და რამაც ტკივილი მომაყენა, ვითარების შესაფასებლად არ გამოვიყენო და ყველაფერს რეალურად შევხედო. რეალობა კი ისაა, რომ ხელისუფლების წარმომადგენელი ვიყავი და, მიუხედავად ამისა, გადავდექი, რადგან საზოგადოება ითხოვდა. სხვათა შორის, ამას ადრე ვერავინ წარმოიდგენდა. ახლა პარლამენტში ვარ, თუმცა სიმართლე გითხრათ, შინაგან საქმეთა სამინისტროდან, სადაც სპორტული ღონისძიებების დაგეგმვა და ხელმძღვანელობა მევალებოდა, წამოსვლა ძალიან გამიჭირდა. იქ 90-იანი წლებიდან ვიყავი, ახლა თადარიგში ვარ და პოლიციელის მუნდირის ვაფასებ!

— „ოცნებამდე“ ნინო ბურჯანაძესთან იყავით...

— დიახ...

— რატომ მაინც და მაინც ბურჯანაძე? მის პოლიტიკურ მსოფლმხედველობას იზიარებთ?

— სახალხო კრებაში ვიყავი, რომლის ხელმძღვანელიც ნონა გაფრინდაშვილი გახლდათ. სახალხო კრებაში, ჩემთან ერთად, რეზო ესაძე, გურამ ფირცხალავა, ოთარ მელიქიანი, სოსო ჯაჭვლიანი, გია ბურჯანაძე და სხვებიც იყვნენ... ეს ხალხი, ვფიქრობ, მთელი ერისთვის საამაყოა. როცა ოპოზიცია დაქსაქსული იყო, სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ ჩვენ გააფორმებული ვიბრძოდით. ასე რომ, ჩემი იქ ყოფნა ბურჯანაძესთან საერთო პოლიტიკური ხედვასა თუ ინტერესს არ ეფუძნებოდა. საერ-

— ფედერაციის წარმომადგენლებთან ურთიერთობა გაქვთ? ვთქვით, რჩევას თუ აძლევთ?

— ვაძლევ, იმ ხალხს ვაძლევ, ვინც რჩევას ითხოვს, თორემ ჩემს აზრს ნამდვილად არავის ვახვევ. ალბათ, ჩემზე მეტი იციან, სხვა მიდგომები და შეფასებები აქვთ. ვნახოთ... მათ მოღვაწეობას საზოგადოება შეაფასებს. ვცდილობ, ის, რაც მოხდა და რამაც ტკივილი მომაყენა, ვითარების შესაფასებლად არ გამოვიყენო და ყველაფერს რეალურად შევხედო. რეალობა კი ისაა, რომ ხელისუფლების წარმომადგენელი ვიყავი და, მიუხედავად ამისა, გადავდექი, რადგან საზოგადოება ითხოვდა. სხვათა შორის, ამას ადრე ვერავინ წარმოიდგენდა. ახლა პარლამენტში ვარ, თუმცა სიმართლე გითხრათ, შინაგან საქმეთა სამინისტროდან, სადაც სპორტული ღონისძიებების დაგეგმვა და ხელმძღვანელობა მევალებოდა, წამოსვლა ძალიან გამიჭირდა. იქ 90-იანი წლებიდან ვიყავი, ახლა თადარიგში ვარ და პოლიციელის მუნდირის ვაფასებ!

— „ოცნებამდე“ ნინო ბურჯანაძესთან იყავით...

— დიახ...

— რატომ მაინც და მაინც ბურჯანაძე? მის პოლიტიკურ მსოფლმხედველობას იზიარებთ?

— სახალხო კრებაში ვიყავი, რომლის ხელმძღვანელიც ნონა გაფრინდაშვილი გახლდათ. სახალხო კრებაში, ჩემთან ერთად, რეზო ესაძე, გურამ ფირცხალავა, ოთარ მელიქიანი, სოსო ჯაჭვლიანი, გია ბურჯანაძე და სხვებიც იყვნენ... ეს ხალხი, ვფიქრობ, მთელი ერისთვის საამაყოა. როცა ოპოზიცია დაქსაქსული იყო, სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ ჩვენ გააფორმებული ვიბრძოდით. ასე რომ, ჩემი იქ ყოფნა ბურჯანაძესთან საერთო პოლიტიკური ხედვასა თუ ინტერესს არ ეფუძნებოდა. საერ-

— ფედერაციაში, წლების განმავლობაში, ბევრი პრობლემა დაგროვდა — ინფრასტრუქტურა, სტრატეგიული ადგილები განიავდა და გაიყიდა. ზოგი ადგილი კი, ბაზრად აქციეს. მეც მათ შორის ვიყავი, ვინც ყველაფერ ამით უკმყოფილო იყო, მაგრამ ამ პრობლემების მოგვარება წელიწადსა და 9 თვეში ვერ მოესწარებოდა... მძიმე შემთხვევები გადმოვიხარე — ანგარიშზე რამდენიმე ლარი დამხვდა, ფედერაციის სტრუქტურა მთლიანად მოშლილი იყო. ჩემი მოვალეობის შესრულება ღირსეულად დავინწყე და ვთვლი, რომ ყველაფერი გავაკეთე, რაც ჩემზე იყო დამოკიდებული. ფედერაციაში ჩემი მოსვლის შემდეგ, პირველად მოვიპოვე უფლება, რომ ევროპის ჩემპიონატისთვის გვემასპინძლა და ხარისხში მაქსიმალური შეფასებაც დავიმსახურეთ. ასევე, 6 სპორტული კომპლექსის მშენებლობა დავინწყე, რომელიც ზაფხულში დამთავრდება და ახალგაზრდულ ოლიმპიურ თამაშებს უმასპინძლებს. მოჭიდავეებმა და მწვრთნელებმაც, შედეგებიდან გამომდინარე, პრემიებიც მიიღეს — დაახლოებით, ნახევარ მილიონამდე პრემია გაიცა... მსოფლიოში ერთ-ერთ წამყვან ფორმა „ჯომასგან“ საჭიდაო ფორმების სრული კომპლექტი შევიძინეთ... მოკლედ, ბევრი ისეთი დადებითი რამ მოხდა, რაც საქართველოში არასოდეს თუ არა, ათწლეულების განმავლობაში არ მომხდარა. კარგი მენეჯმენტით კი შევძელი, რომ ბიუჯეტის ეკონომია გავკეთებინა და როცა ახალი პრეზიდენტი მოვიდა, სტრუქტურულად გამართული ფედერაცია გადავხარე, რომლის ანგარიშზეც ნახევარ მილიონამდე ლარი იყო. ამიტომაც, ჭიდაობის ფედერაციაში ჩემი ორწლიანი მოღვაწეობით თამამად ვამაყობ, თუმცა ყველაფერი ეს, სპორტსმენებისთვის, მწვრთნელებისა და საზოგადოებისთვის ცოტა აღმოჩნდა — უფრო მეტი მოითხოვეს და ეს გასაგებია, რადგან მეც, როგორც სპორტსმენი, მაქსიმალისტი ვარ, თუმცა ლუკა კურტანიძე ბოლომდე იხარჯებოდა და ყველაფერს აკეთებდა, რისი გაკეთებაც შეიძლებოდა. მიუხედავად ამისა, მსოფლიო ჩემპიონატზე ცუდი შედეგი ვაჩვენეთ. ყოველ შემთხვევაში, მე, როგორც ფედერაციის პრეზიდენტი, არადაამაკმაყოფილებლად ჩავთვალე და ამიტომაც მივიღე რადიკალური გადაწყვეტილება — ორი მწვრთნელი — ბეგი დარჩია და რეზო მინდორაშვილი გადავაყენე, რასაც, როგორც მწვრთნელებისგან, ასევე, სპორტსმენებისგან უკმაყოფილება მოჰყვა. ეს დაპირისპირება გაღვივდა და არასაამაყო ფორმა მიიღო. როცა შევხედე, ჩემს მიმართ როგორი კრიტიკული შეფასებები იყო და საზოგადოება რიგგარეშე ყრილობის ჩატარებას ითხოვდა, ამის საშუალება მივეცი — ჩემი უფლებამოსილება მაშინდელ საბჭოს გადავცეცი. ახლა კი, რეალობა ასეთია: ძალიან უნდა ეცადონ, რომ იმაზე მეტი შეძლონ, რაც მე გავაკეთე.

— ბატონო ლუკა, ამბობთ, რომ სპორტსმენებს უფრო მეტი უნდოდათო. მეტი რა უნდოდათ — შედეგი თუ პრემია?

— ვფიქრობ, უფრო მეტი პირობები. ვეთანხმები, რომ უფრო მეტს იმსახურებენ, რადგან სპორტსმენებს, განსაკუთრებით, მოჭიდავეებს, ყოველთვის, გაჭირვება იყო თუ არა, ქვეყნის წინსვლაში თავიანთი წვლილი შეჰქონდათ და ბოლომდე იბრძოდნენ.



საქართველოს პარლამენტი

ხელისუფლებამ, ორნელინადანხევარი ლოდინის შემდეგ, როგორც იქნა, „ამოღებდა“, რომ ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენის მასშტაბური პროცესი დაიწყო და ამ საქმეს საქართველოს მთავარ პროკურატურაში შექმნილი ახალი დეპარტამენტი გააკეთებს. თუ ხმაურიანი „სათაური“ ვიმსჯელებთ, ამ დეპარტამენტმა სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულებები უნდა გამოიძიოს, თუმცა დეპარტამენტის დასახელებაში კონკრეტული დრო მითითებული არაა, რაც პირდაპირ ნიშნავს, რომ ამ დეპარტამენტის ქვემდებარე ყველა საქმე, სადაც უკვე სახეზეა (ან მომავალში იქნება) სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაული. მოკლედ, ცხრანლიანი კომისიებიდან თავდადნულ ხალხს, მინიმუმ, იმედის ნაპერწკალი გაუჩნდა, მაგრამ „ქართული სიტყვის“ ტრადიციული რესპონდენტი, ადვოკატი ელზა ჯემუხაძე აცხადებს, რომ ამ დეპარტამენტის შექმნა შესაძლოა, ხელისუფლების ერთ-ერთი პარტენოლოგიური ხრიკი აღმოჩნდეს ან, სულაც, დეპარტამენტის თანამშრომლების არაკომპეტენტურობამ, გაუბედობამ თუ თვითნებობამ ხელისუფლების ეს უმნიშვნელოვანესი დაპირებაც გააცამტყვროს.

ზიზნასაინი: „ჩემს შურაცხყოფილ სიცოცხლეს ფასი არ აქვს და მირჩევნია, მოგკლან!“

და, რომ სწორად მოვიქცეთ, რადგან თურმე, იმიტომ კი არ დაგვიბარეს, რომ 2012 წლის დეკემბერში შეტანილ საჩივარს „რიგმა“ თავისთავად მოუწია, არამედ, იმიტომ, რომ შევიტანეთ ახალი განცხადება, რომელსაც მხოლოდ საგაზეთო პუბლიკაცია ერთვოდა, ანუ გამოძიებულს ხელს სხვა მტკიცებულებები არ ჰქონდა და ხელახლა გადავეცით. ასე იყო თუ ისე, დაახლოებით, ნახევარ საათში ციფრულად გადასმულები

— ელზა, რატომ გგონიათ, რომ ახალი დეპარტამენტი მასზე დაკისრებულ მოვალეობას თავს არ, ან ვერ გაართმევს და ხალხს ისევე მოტყუებული დარჩება?

— ნებისმიერ საქმეს კონკრეტული ადამიანი და ხელისუფლებაც გულწრფელად უნდა იწყებდეს. ხალხს იმედი ჰქონდა, რომ სამართლიანობის აღდგენის დაპირებით მოსული ხელისუფლება საქმიანობას სწორედ თავისი მთავარი დაპირების შესრულებით დაიწყებდა, მაგრამ სამართლებრივი ხარვეზების დამდგენ კომისიას შექმნა არ ელჩისა და პირადად მე, გამიჩნდა ეჭვი, რომ ხელისუფლებას სამართლიანობის აღდგენა რეალურად არ სურდა, დღეს კი, ეს ეჭვი კიდევ უფრო გამომძაფრდა, რადგან არის აშკარა ნიშნები, რომ ახლად შექმნილი დეპარტამენტი ან მხოლოდ „ორთქლის გამოსაშვებად“ შექმნეს, ან, თუ ასე არაა, ამ დეპარტამენტში ის ადამიანები არ დაასაქმეს, რომელთაც საქმის კეთება უნდა და შეუძლიათ. საბოლოოდ, შეუსრულებელი დაპირება „გამოსაშვები ორთქლის“ რაოდენობას კიდევ უფრო გაზრდის და დუღილის ტემპერატურასაც კრიტიკულ ზღვრამდე ასწევს!

ადვოკატი ელზა ჯემუხაძე პროკურატურაში შექმნილ სამართლიანობის აღდგენის დეპარტამენტს უმოქმედოებაში ახეივს!



ოკურატურას კანონი პირდაპირ ავალდებულებდა, დაუყოვნებლივ დაენყო მოკვლევა იმ ფაქტების შესახებ, რაც გაზეთში დაიბეჭდა. ამ დროს, ჩვენს თვალწინ პროკურატურის ახალმა დეპარტამენტმა, რომელსაც ხელთ აქვს საჩივარი და გაზეთში დაბეჭდილი მამხილებელი მასალაც, ისე, რომ თითო-თითზე არ დაუკარებია, კანონის ამ იმპერატიული მოთხოვნისა და საკუთარი ვალდებულების შესრულებაზე, პრაქტიკულად, უარი თქვა. მოკლედ, დეპარტამენტიდან განრისხებული ნამოვედი!

— დეპარტამენტი ახლახან შეიქმნა და პესიმიზმმა რატომ შეგიპყროთ?

— საქმე ის კი არაა, ქალაქდღე რა დაინერა და ახალი დეპარტამენტის ხმაურიან პრეზენტაციაზე ურუნალიტებს რა უთხრეს, საქმე პრაქტიკაა და მე, როგორც არაერთი დაზარალებული პირის ადვოკატს, ამ პრაქტიკასთან პირველი კონტაქტი უკვე მქონდა. ასე რომ, პესიმიზმს, გნებავთ, ეჭვის საფუძველი აქვს! სხვათა შორის, დეპარტამენტის პირველად სწორედ იმ პირის საქმესთან დაკავშირებით ვესტუმრე, ვისზეც „ქართული სიტყვის“ მკითხველს დანვრილებით ვუამბე.

— ბიზნესმენ შოთა მამნიაშვილს გულისხმობთ?

— დიახ, რომელსაც „ნაციონალებმა“ ყველაფერი წაართვეს და იმასაც მიადნეს, რომ იმპორტიორების სასიხარულოდ, პურისა და პურპროდუქტების გამართული, მზარდი ადგილობრივი წარმოება დაასამარს, რომელიც მამნიაშვილის ეკუთვნოდა. მე, როგორც მამნიაშვილის ადვოკატს, მთავარ პროკურატურაში საჩივარი, სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნით, 2012 წლის 12 დეკემბერს მქონდა შეტანილი, მაგრამ ახალი დეპარტამენტის შექმნამდე, საჩივარზე რეაგირების შედეგის შესახებ ჩემთვის წერილობით არ უცნობებიათ. მხოლოდ ტელევიზორში ვისმენდი, რომ უნდა მოგვეცადა, ვიდრე სამართლებრივი ხარვეზების დამდგენი კომისია შეიქმნებოდა. ეს კომისია არ შეიქმნა, მის ნაცვლად მთავარ პროკურატურაში იგივე დასახელების ახალი დეპარტამენტი აღმოცენდა. მამნიაშვილმა ამ დეპარტამენტის თავმჯდომარის სახელზე ახალი განცხადება დაწერა, რომელსაც მტკიცებულებად „ქართული სიტყვაში“ გამოქვეყნებული მასალა დაურთო... ის პროკურატურაში დაიბარეს.

— ანუ, „ქართული სიტყვაში“ გამოქვეყნებულ პუბლიკაციაზე მთავარმა პროკურატურამ რეაგირება დაუყოვნებლივ მოახდინა?

— მამნიაშვილს ახალი განცხადება რომც არ შეეტანა, რომელსაც საგაზეთო პუბლიკაციას დაურთავდა, ასევე, ბუნებაში რომ არ არსებულიყო ჩვენი ძველი საჩივარი, პრ-

— რატომ? ასეთი მაინც, რა მოხდა? — როცა დეპარტამენტში დაიბარეს, მამნიაშვილს იმედი გაუჩნდა, მგონი, მეკვლეაო. ვეღარ ითმენდა, როდის გათენდებოდა და დაკითხვაზე მივიდოდით. სხვათა შორის, მე, როგორც ადვოკატს, ვალდებულება მქონდა, კლიენტისთვის შემესხებინა, რომ სამართლიანობის აღდგენას ახლახან კიდევ ერთი ადამიანი — ბიზნესმენი ბესო ხარძიანი შეენირა და, შესაბამისად, მამნიაშვილს ვკითხე, იმ მოსალოდნელი გართულებებისთვის, რაც მისი მხრიდან იმ ქონების და ბიზნესის დაზარუნების მოთხოვნას მოჰყვებოდა, რომელიც დღეს სხვის ხელშია, მზად იყო თუ არა.

— და, რაო, ბიზნესმენმა, მზად ვარო? — ბიზნესმენმა მითხრა, ყოველგვარ საშიშროებას კარგად ვაცნობიერებ, მაგრამ ყველაფრისთვის მზად ვარ, რადგან ჩემს ასეთ, შურაცხყოფილ სიცოცხლეს ფასი არ აქვს და მირჩევნია, მომკლან, ვიდრე უსამართლობით შენ უხებული იძულებული გავხდე, მას, ვინც ოჯახიანად გამაუბედურა, თავად გაუხსნორდო... მოკლედ, დეპარტამენტში იმედიანად მივედი. მართალია, ჩვენს 2012 წელს შეტანილ საჩივარს ჩვენი სიმართლის მამტკიცებელი ყოველგვარი მტკიცებულება ჰქონდა დაურთო, მაგრამ საქმის მასალები მაინც წავიღეთ. აღმოჩნ-

— ამას, მართლაც, არავინ იზამს!

— დიახ და სწორედ ამიტომ, თუ სამართლიანობის აღდგენა მართლა გვინდა, სამართალწარმოების პროცესში გამოძიებულების, პროკურირების და (რატომაც არა) მოსამართლეების მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ფაქტები ახალ დეპარტამენტში ობიექტურად და გონივრულად ჩატარებულმა მოკვლევამ უნდა გამოავლინოს! თუ წულუკიანის ბრძანებით დატკიცებული შემოსხნებული დებულების საფუძველზე შექმნილი დეპარტამენტის ფართოდ გაზიარებული პრეზენტაციის თანახმად, ამ დეპარტამენტის თანამშრომლები სწორედ ამისთვის არიან დასაქმებულები და ჩვენი ჯიბიდან მალალ ხელფასსაც იღებენ, მაგრამ საქმის კეთება, რეალურად, ან არ უნდათ, ან არ შეუძლიათ!

— უკაცრავად, ჯერ, როგორც ამბობთ, მხოლოდ გასაუბრებაზე იყავით, მტკიცებულებებზე დადავებით და იქნებ, ნაადრევ დასკვნას აკეთებთ და გამოძიება იწყება?

— სწორედ ამ გასაუბრების შედეგებმა გამოგნა: პირველი, რაც დეპარტამენტის თანამშრომელმა მოგაკითხა, მამნიაშვილის საქმეზე დამდგარი და აღსრულებული განაჩენები იყო. თუ ვინმეს საქმის კეთება რეალურად უნდა, საჩივრის ავტორის გასაუბრებაზე დაბარებამდე, საჩივარს დეტალურად უნდა გაცნობოდა, ასევე, მასზე თანდათან მტკიცებულებებსაც, რათა გასაუბრება შედეგიანი ყოფილიყო და ადამიანს, „ზოგად“ ამის მოყოლაში დროის დაკარგვის ნაცვლად, საჩივრის შინაარსიდან გამომდინარე დასმულ კონკრეტულ შეკითხვებზე ეპასუხა, ასევე, ახალი მტკიცებულებები (მათ შორის, მოწმეები) წარმოედგინა. აღმოჩნდა, რომ დეპარტამენტის თანამშრომელი მხოლოდ მამნიაშვილის განცხადებას იყო გაცნობილი, სადაც ეწერა, ჩემი საჩივარი განიხილეთ და გაზეთ „ქართული სიტყვაში“ გამოქვეყნებული მასალაც ცნობად მიიღეთო. ისე, დარწმუნებული ვარ, ის საგაზეთო მასალაც არ ჰქონდა წაკითხული, ან წაკითხული ჰქონდა და ყველა ღონეს ხმარობდა, შპს „სახელმწიფო უზრუნველყოფის“ მიერ 2008 წელს ჩადენილი სავარაუდო დანაშაულობების გამოძიება რამენაირად თავიდან აეცილებინა!

— ასე რატომ გგონიათ?

— რატომ და, — დეპარტამენტის თანამშრომელი, ვისაც ჩვენს საჩივარზე რეაგირება აქვს დავალებული, ჯერ ჩემს დახანჯაზე შეცბა, მერე კი მითხრა, თუ შპს „სახელმწიფო უზრუნველყოფამ“ რამე დანაშაული ჩადინა, ეს „ფინანსურმა“ უნდა გამოიძიოს, რაც შეეხება მოსამართლეებს, რომლებმაც, თქვენს თქმით, უკანონო განაჩენები დაადგინეს, მათ დაკითხვაზე ვერ დავიბარებ და თავს დასაჭერად ვერ გავიხდით!

— ეს პოზიცია სწორი არაა?

— ეს პოზიცია სწორი იმ შემთხვევაში იქნებოდა, თუ ლაპარაკი მხოლოდ იმაზე გვექნებოდა, რომელიმე შპს-მ რაიმე სახის ისეთი გადაცდომა, რისი გამოძიებაც ნამდვილად ენ „ფინანსურის“ ქვემდებარე, მართლა ჩაიდინა თუ არა. ვეთანხმები დეპარტამენტის თანამშრომელს, რომ მარტივი არაა, მოქმედი მოსამართლე დაკითხვაზე დაიბარო და მოსთხოვო, განმარტოს, ასეთი თუ ისეთი განაჩენი რატომ გამოიტანა. აქ ლაპარაკი იმაზეა, რომ სახელმწიფოს შპს-ს, ასევე, სახელმწიფოს ზეგავლენის ქვეშ მყოფი გამოძიებულებისა და პროკურირების მიერ კონკრეტული (ამ შემთხვევაში, მამნიაშვილის მიმართ) სისხლის საპატიოლის საქმის წარმოების პროცესში ჯგუფურად და წინასწარი შეცნობით რიგი დანაშაულობები ჩადენილი, რაც „შეუქმნეველი“ დარჩათ სამივე ინსტანციის მოსამართლეებს. არადა, დადასტურებულია, რომ ეს აშკარა და გაუგონარი უკანონოები დააკ-



საქართველო  
საქართველო  
საქართველო

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებას ხომ შენით ითქვა;  
დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა“

კარგე ღონისძიება

## საქართველოს საპარტოვო იტოვს!

### მე-14 გვირგვინი

ანონეს. ამ ლოგიკურ დასკვნამდე მისასვლელად და დამნაშავეთა გამოსავლენად მხოლოდ საქმის მასალების გულმოდგინედ შესწავლა და ამის შემდეგ ნორმალური, ობიექტური მოკვლევის ჩატარებაა საკმარისი!

– მოკლედ, ახალ დეპარტამენტში იმ საჩივრებსა და საქმის მასალებს, რომელთა საფუძველზეც ხალხი გამოძიების დაწყებასა და სამართლიანობის აღდგენას ითხოვს, არ სწავლობენ?

– როგორ შეისწავლიან, როცა პროკურატურაში შესული და თაროებზე შემოწეობილი ათიათასობით საჩივარი მესამე წელიწადი, გასანიაველდაც არავის გადმოუღია და, ალბათ უკვე ჩრჩილმა შექამა, მაგრამ მთავარი უბედურება ეს არაა, რადგან ხალხი, ბოლოს და ბოლოს, თავიდან შეიტანს საჩივრებს და მტკიცებულებებს. უბედურება ისაა, რომ ამ გზით მხოლოდ ტრონობით ქალაქს გავანადგურებთ და საკანცელარიო მალაზიებს გავამდიდრებთ – ამოვებქდავთ და „დავაქსეროქსებთ“ ურიცხვ მტკიცებულებებს, კიდევ ერთხელ მივართმევთ დეპარტამენტს, რათა მანაც შეავსოს თაროები და ვინმე დასათვალისწინებლად რომ მივიდეს, იქ საქმიანი გარემო დახვდება! მტკიცებულებების ნაკითხვა, გააზრება და მათი იურიდიული შეფასება ან არ უნდათ, რაც სულ სხვა პრობლემაა, ან არ შეუძლიათ, რაც დეპარტამენტის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ნაკლებობაზე მიუთითებს! იმ მტკიცებულებების გულმოდგინედ შესწავლის გზით, რაც ჩვენს საჩივარს დაკუთრებით, ძალიან მარტივად დადასტურებადი ფაქტია, რომ შოთა მამნიანაშვილის მიმართ სამართალწარმოების პროცესში, სწორედაც, უხეშადაა დარღვეული არა მხოლოდ ერთი რომელიმე, არამედ, ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ მოქმედი ყოველგვარი კანონი. ვისი ხელითაა ეს ჩადენილი? – ამას გამოძიება არ სჭირდება, რადგან ყველა დოკუმენტი ავთენტურია და ამ დოკუმენტებს ხელს კონკრეტული თანამდებობის პირები აწერენ. ახლა მთავარია, ამოვიძიოთ, რატომ და ვისი დაკვეთითაა უკანონოდ ბრალდებული და მსჯავრდებული თითოეული კონკრეტული ადამიანი, ამ შემთხვევაში, – ბიზნესმენი შოთა მამნიანაშვილი, მაგრამ არა-ოოოოოოოოოოოო, მაგაზე არც იოცნებოთ!

– რატომ?  
– აბა, მითხარი, ბატონო შოთა, ამ ხელშეკრულებაზე ხელს რომ აწერდით, ვინმე ავტომატით გადგათ თავზე და ამის მტკიცება შეგიძლიათო?!

– და რაო, ბატონმა შოთამ?  
– ბატონმა შოთამ აუხსნა, ავტომატზე უარესი იყო, როდესაც ხელისუფლების წარმომადგენლებმა დამიბარეს და მითხრეს, ჩვენი შპს-ს („სახელმწიფო უზრუნველყოფა“) მიერ 2008 წლის ომის დროს შემოტანილი უხარისხო ფაქტობრივი, რომელიც ერთი კვირის წინ გაფორმებული ხელშეკრულებით, საწყობში შეგანახინეთ, ახლა უმალლეს ფასად უნდა შეისწავლოთ. დეპარტამენტის თანამშრომელი მომიბრუნდა, ბატონი შოთა იურისტი არ არის, მაგრამ თქვენ, მის ადვოკატს რაღა დაგემართათ, იმის იურიდიული მტკიცება დღეს როგორ არის შესაძლებელი, რომ „ნაციონალური“ ხელისუფლება ბიზნესმენებს რაიმეს გაკეთებას აიძულებდა? აგერ, გენაცვალეთ, შემდგომ ინსტანციებში გაგისაჩივრებთ პირველი ინსტანციის განაჩენი, მაგრამ ის მაინც ძალაში დარჩენილა და მე რა გიშველოთ?

– ისე, იურიდიული თვალსაზრისით, მართლაც, ძნელი დასამტკიცებელია ბიზნესმენებზე ძალადობის ის ფაქტები, რასაც „ნაციონალური“ ჩადიდენ, არა?  
– როცა საქმეში უტყუარი მტკიცებულებაა, რომ სახელმწიფო შპს-მ, ომის დროს, ქვეყანა მოატყუა და უხარისხო ფაქტობრივი შემოიტანა, მერე, ეს ფაქტობრივი, თვალს მოფარებლის მიზნით, პატიოსან ბიზნესმენებს მათი სურვილის საწინააღმდეგოდ დაასაწყობებინა, ბოლოს კი, არარეალურად მაღალ ფასად შეასყიდა და თან დააბრალა, პატივ, შეთაღლითო, მე კი არ გაიძულე, შენი ინიციატივით იყიდ და ახლა ან დიდი ფული დადე, ან შეიძლება იმიტომ მიბრძანდით, ძნელი მისახვედრი და სამტკიცებელია, ამას რა ჰქვია?



„...როცა დეპარტამენტში დაიბარეს, მამნიანაშვილს იმედი გაუჩნდა, მგონი, მეპარტოვო. ვეღარ ითმინდა, როდის ბათინდებოდა და დაკითხვაზე მივიდოდი. სხვათა შორის, მე, როგორც ადვოკატს, ვალდებულაა მიმინდა, კლიენტისთვის შეახსენებინა, რომ სამართლიანობის აღდგენას ახლახან კიდევ ერთი ადამიანი – ბიზნესმენი ბესო ხარბიანი შეინიშნა და, შესაბამისად, მამნიანაშვილს ვკითხე, იმ მოსალოდნელი ბართულებებისთვის, რაც მისი მხრიდან იმ ქონების და ბიზნესის დაბრუნების მოთხოვნას მოჰყვებოდა, რომელიც დღეს სხვის ხელშია, მზად იყო თუ არა. ბიზნესმენმა მითხრა, ყოველგვარ საშუალებას კარგად ვაცნობიერებ და ყველაფრისთვის მზად ვარ... დეპარტამენტში იმედიანად მივხედვით, მაგრამ ციფრულად დასაბუთებული და კიდევ ერთხელ შეურაცხყოფილია, უკან წამოვიღეთ!“

– ძალადობა და უსამართლობა?  
– ნამდვილად! ამ ქმედებების სწორად კვალიფიცირებას იურიდიული განათლება სულაც არ სჭირდება. სწორედ ამიტომაც გულისგასახეთქი, რომ ამ უმარტივესი შემთხვევის მარტივების განხილვის შემდეგაც იმ დეპარტამენტის თანამშრომელს „უჭირს“, ვისაც ქვეყანამ სამართლიანობის აღდგენა დაავალა; დიდი მიხვედრა არ უნდა, რომ არც „ნაციონალური“ და დედამისის ზურგზე არც სხვა ხელისუფლება მოსახლეობაზე ისეთი ფორმით არ ძალადობს, რომ აშკარა სამხილები დატოვოს. შესაბამისად, არც ერთ დოკუმენტში არ წერია, ბიზნესმენი ამ დოკუმენტზე ხელს მუშლზე ავტომატშიშვერილი ანერსო, მაგრამ როცა დასტურდება, რომ ბიზნესმენი ხელს აწერს ტრონობით უხარისხო პროდუქციის არარეალურად მაღალ ფასად შესყიდვის ხელშეკრულებებს, სამართლიანობის აღსადგენად თანამდებობაზე დანიშნულ სამართალდამცავს უნდა გაგიჩინდეს თუ არა გონივრული ეჭვი, რომ ხელშეკრულებაზე ხელმოწერის მომენტში ადამიანი, პრაქტიკულად, დაუძლეველი ძალის შემოქმედების ქვეშაა, ან გაგიჟებულია? სხვას თუ არაფერს გამოიძიებენ, ის მაინც დაადგინონ, იყო თუ არა საღ გონებაზე ადამიანი, რომელმაც ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, სადაც შავით თეთრზე ეწერა, რომ ის უნდა დასაბუთებულიყო? უახლოეს ნარსულში, ყოველგვარი უზნეობა, კანონის სახელით, სწორედ სახელმწიფოს აქვს ჩად-

ენილი, რადგან იმ დროს დადგენილ ყველა უკანონო განაჩენს ურცხვად აწერია, რომ გამოტანილია სახელმწიფოს სახელით. თუ სამართლიანობის აღდგენა გვინდა, ცოტა ჭკუას და გაბედულებას მოვუხმობთ და ელემენტარული აზროვნების შედეგად მივიღეთ სწორი დასკვნებამდე: ზოგადად, ადამიანმა თუ არ, ან ვერ გათვალა, სად უნდა დახარჯოს თითოეული არათუ ლარი, თეთრიც კი, მაშინ ასეთი კაცისგან ბიზნესმენი არასოდეს დადგება; დადასტურებული ფაქტია, რომ ადამიანს (ამ შემთხვევაში, შოთა მამნიანაშვილს) ჰქონდა, მინიმუმ, ორმოცდაათილიონიანი ანაზღაურების ბიზნესი, ამიტომ სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი უკანონოების გამოძიების დეპარტამენტში დიდი მტკიცება არ უნდა სჭირდებოდეს, რომ ასეთი კაცი, რომ არა ხელისუფლების მხრიდან ფარული თუ აშკარა ძალადობა, დიდი რაოდენობით უხარისხო პროდუქციის უმალლეს ფასად შექმნის სურვილს თავად, ანუ იძულების გარეშე არ გამოთქვამდა; სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტს ხელი აქვს ინფორმაცია, რომ ის, ვინც ამ ძალადობის მხილება გაბედა, კანონის ფეხქვეშ გათელვით, ცხიმი გამოამწყვდის, ამიტომ თუ ამ დეპარტამენტს იმ საქმის კეთება უნდა, ან შეუძლია, რაშიც ხელფასს ვუხდით, ძნელი სამტკიცებელი ნამდვილად არაა, სად არის იმ საქმის სამართალწარმოების დროს ჩადენილი დანაშაულებები, სა-

დაც დასტურდება, მინიმუმ, ბიზნესმენის იძულება, მოიქცეს საკუთარი ნების და ყოველგვარი ლოგიკის საპირისპიროდ, რაც სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადი ქმედებაა. როდესაც გამოიკვეთება იძულების ფაქტი, გამოძიებით უნდა დადგინდეს, საიდან დაიწყო, როგორ გაგრძელდა, ვისი დაავლებითა და ხელით ხდებოდა ბიზნესმენის მიმართ იძულების დენადი თუ განგრძობადი ხასიათის დანაშაულებრივი ქმედებები და ბოლოს, რატომ და რა მიზეზით დაყრუვდა და დაბრმავდა ყველაფერ ამის შემდეგარე ყველა ინსტანციის სასამართლო!

– მართალია, ჯერ მხოლოდ ზეპირად, მაგრამ უთქვამთ, რომ თქვენი საქმით არ დაინტერესდებიან. აბა, რაღა უნდა ვაკეთოთო?

– დებულებით, მხოლოდ ადამიანთა ცენზურების და ქონების უკანონოდ ჩამორთმევის ფაქტების გამოძიება გვევალებაო, – სწორედ ასე წარმოუდგენია თავისი საკეთებელი საქმე, მაგალითად, ჯემალ ლომსაძეს (გამოკითხვაზე ამ ადამიანმა დაგვიბარა), რომელიც თავისი უმოქმედობის გამართლებას იმ დებულებით შეეცადა, სადაც შავით თეთრზე წერია: „დეპარტამენტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით და შეთანხმებებით, „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებით, მთავარი პროკურატურის დებულებით, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებითა და საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართლებრივი აქტებით“. ყველა იმ ნორმის დეტალური განმარტება, რითიც ახლამა დეპარტამენტმა უნდა იხელმძღვანელოს, შორს წაგვიყვანს, ამიტომ მარტივად ვიტყვი: დღეს, ყოველგვარი დამატებითი გამოძიების გარეშე, უკვე არსებული მტკიცებულებებითაც უტყუარად დასტურდება, რომ შემორჩამოთვლილი ყველა ნორმა უხეშადაა დარღვეული. ისე, რომ მთხოვენი, აბა, დაამტკიცე, მამნიანაშვილს იძულება და ძალადობა ხდებოდაო, მაინტერესებს, თუნდაც იგივე მამნიანაშვილის მიმართ გლდანის ციხეში ჩადენილი ცენზურების ფაქტები როგორ უნდა დაგვამტკიცო და გამოვიძიო, როდესაც მამნიანაშვილსაც და იმ დროს ნაცემ-ნანამებ სხვა ადამიანებსაც, თავიანთი მონათხრობის გარდა, სხვა მტკიცებულება არ აქვთ?! ან ქონების უკანონოდ ჩამორთმევის ფაქტები როგორ უნდა დამატკიცო ადამიანებმა, რომლებსაც ქონება უკანონო პატიმრობაში ყოფნის დროს ან ბანკებიდან აღებული კრედიტების შეუსრულებლობის მიზეზით აქვთ დაკარგული, ან ამ ქონების გასხვისების დოკუმენტებზე ხელი აქვთ მონერილი და იმ დოკუმენტებში არსად წერია, რომ ეს მათზე განხორციელებული ძალადობის შედეგად გააკეთეს?! გამოდის, რომ ყველა მათგანს მამნიანაშვილით დაიბარებენ, გაესაუბრებინან, თვალეზზე წულუკიანის დებულებას ააფარებენ და ეტყვიან, აბა, რა გიყოთ, წულუკიანის დებულება არ გვაძლევს საშუალებას, თქვენს მიმართ სამართლიანობა აღვადგინოთო!

– ანუ, დებულება მკვდრადშობილია?  
– რეალურად, ამ დებულებას ნაკლი არ აქვს – მასში ყველა ის საკანონმდებლო ნორმა განერილი, რომელიც დეპარტამენტს საშუალებას აძლევს, ეფექტურად იმუშაოს, მაგრამ კანონს და ამ კანონის წამკითხავ ადამიანებს ერთი თავისებურება ახასიათებთ: კანონის ნაკითხვა, გაგება და ინტერპრეტირება სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. თუ სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტი იმითაა დაკავებული, იუსტიციის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებულ დებულებას ისე როგორ „შემოუაროს“, რომ არც მწვადი დაწვას, არც – შამფური, პირობას ვაძლევ, რომ ეს ხრიკი არ გამოუვა! ამიტომ ხმაბალა ვაცხადებ: ან იმუშაოს ნორმალურად, ან ალიაროს, მუშაობა არ უნდა, ან არ შეუძლია და მერე გვეცოდინება, საქმე რეალურად რასთან გვაქვს – ხელისუფლება გვატყუებს თუ საკუთარი გადაწყვეტილებების უნაკლოდ აღსრულება არ შეუძლია!



საქართველო  
საქართველო

„შენ — უკვდავების ჩამონადენი, მშვენიერება ხომ შენით ითქვა;  
დიდება შენდა, ჩემო ნათელი — ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა“

კონსტანტინე

საზოგადოება

# თინა თოფურია: „აღდგომის დღეს 2-3 კვირცხზე მეტი არ მიირთვათ!“

დღემდე დავობენ, თუ რა შექმნა ღმერთმა პირველად: ქათამი თუ კვერცხი, ან პირიქით... სამაგიეროდ, ყველამ იცის, რომ წითელი კვერცხის, ასე ვთქვათ, ისტორია იმ მომენტიდან იწყება, როცა მარიამ მაგდალინელმა ტიბერიუსს ხელში კვერცხი ჩაუდო და ამით ქრისტეს აღდგომის სასწაული ამცნო. მანამდე კი, იმპერატორმა ცინიკურად წარმოსთქვა: „მიცვალეული ისევე ვერ აღსდგება მკვდრებით, როგორც ეს კვერცხი არ განითლდება ჩემს ხელში!“ და... კვერცხი განითლდა! ასე იქცა წითელი კვერცხი სიკვდილზე მარადიული სიცოცხლის გამარჯვების სიმბოლოდ. რაც შეეხება კვერცხის მოხატვას, ეს ძველი რომაული ტრადიციაა, რომელიც მარკ ავრელიუსზე ლეგენდას უკავშირდება: ვიდრე ავრელიუსი დაიბადებოდა, დედამისის ერთ-ერთ ქათამს კოვლებიანი კვერცხი დაუდგია, რითიც ვარსკვლავთმრიცხველებს მომავალი იმპერატორის დაბადება უნინასწარმეტყველებიათ... იმ დღიდან რომში სასიხარულო ამბის მოხატული კვერცხით მილოცვა ტრადიციად იქცა... სააღდგომოდ კვერცხს წითლად ყველა მართლმადიდებლურ ოჯახში ღებავენ... რითი უნდა შეიღებოს სააღდგომო კვერცხი, რა სასარგებლო და მავნე თვისებები აქვს წითელ კვერცხს? — „ქართული სიტყვა“ საქართველოს ჰომეოპათიის აკადემიის პრეზიდენტის, ევროკავშირის ექსპერტის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორ თინა თოფურიას სააღდგომო რჩევებს წარმოგიდგენთ:

**წითელი კვირცხის სასარგებლო და მავნე თვისებები — რატომ უნდა შევღებოთ კვირცხი აინცდააინც უნდროთი და რატომ უნდა იყოს სააღდგომო სუფრაზე ბატონის ჩაქაფული**

— ათასწიერი სპეციალური საღებავი არსებობს, რომელთაგან ზოგი არცთუ უვნებელია, მაგრამ საუკეთესო ჩვენი, ტრადიციული, კარგად აპრობირებული და კავკასიური ენდროს ძირებია. ენდროს ცნობილი სამკურნალო საშუალებაა, რომელსაც ჯერ კიდევ ჰიპოკრატე და გალენი იყენებდნენ. ის არბილებს და ხელს უწყობს ორგანიზმიდან თირკმლის კენჭების გამოდევნას. ამიტომ ფართოდ გამოიყენება თირკმლის კენჭოვანი დაავადების სამკურნალოდ.

ვთ, კვერცხი ენდროთი შეღებეთ, ნაჭჭუჭი კი, შეინახეთ და საჭმელს, ფხვნილის სახით, მარილივით მოაყარეთ. მისგან კალციუმის ათვისების გასაუმჯობესებლად, ცოტა ლიმონის წვენიც მოასხით.

— დიდი რაოდენობის კვერცხის ჭამა საზიანოა?

— კვერცხის დიდი რაოდენობით მიღება რეკომენდირებული არაა, ალერგიულებისთვის კი, საერთოდ არ შეიძლება, თუმცა ისეც ხდება, რომ ადამიანს ბევრ რამეზე აქვს ალერგია, კვერცხს კი ადვილად იტანს.

— ქალბატონო თინა, საზოგადოება დღე-ღამეობა გატაცებული. ბევრი დიეტის მთავარი ინგრედიენტი კი, სწორედ კვერცხია...

— საზოგადოებას ამ საკითხისადმი არასწორი დამოკიდებულება აქვს. არადა, ვერც კი წარმოიდგენთ, ამ დიეტებით ჯანმრთელობას რამდენი იზიანებს. ყველა პრობლემას თავისებური დიეტის შერჩევა სჭირდება, მით უმეტეს, როცა საუბარი სამკურნალო დიეტებზეა. ზოგჯერ ისეთ აბსურდს

ენდროს ძლიერი ანტიბიოტიკი, ანტიოქსიდანტი და დეზინფექციანტიცაა. ინდოეთში ენდროს კობრის მიერ დაკბენილის გადასარჩენად იყენებენ... ტიბეტში პნევმონიას, პლევრიტს, ქლექს, ბრონქიტს, ჭივებს, ღვიძლისა და თირკმლის დაავადებებს მკურნალობენ. ბუნებრივია, რომ ასეთ საოცარ საღებავში ნახარში კვერცხი ყველა სხვა საღებავით შეღებულისგან განსხვავდება — უფრო სასარგებლოცაა და დიდხანსაც ინახება. ასე რომ, გირჩევ

რეგიონი



**„თავისუფლების რაშების“, იზივა „ტყეშალაშვილის ცხენების“ გურუსთი მოცული თავდასავალი**

რუსთავის შესასვლელში, ქუთაისის მოედანზე „ამხედრებული“ „თავისუფლების რაშები“ თავლაში წაიყვანეს, — ხუმრობენ რუსთაველები. ხუმრობა იქით იყოს და, „ქართული სიტყვა“ დაინტერესდა, თუ სად გაქრა რუსთავის შესასვლელიდან ძმებ ჯიქიების ნამუშევარი, რომელიც 2003 წელს, „რუსთაველქობის“ აღსანიშნავად დაიდგა. სხვათა შორის, ამ სკულპტურას აგდებდნენ, ყოფილი მერის საპატივცემულოდ, „ტყეშალაშვილის ცხენებსაც“ ეძახდნენ. მოკლედ, „გაუჩინარებულ“ ცხენებზე თავის დროზე მთელი რუსთავი ლაპარაკობდა და ყველა ცდილობდა იმის ამოხსნას, თუ რატომ ჰქონდათ ბედაურებს თავები თბილისისკენ მიმართული, უკანალი კი, — რუსთავისკენ... როგორც „ქართულმა სიტყვამ“ გაარკვია, ძველის დემონტაჟი 2009 წლის ივნისში მოხდა და წ წელია, მშვიდობის და თავისუფლების სიმბოლოდ მიჩნეული რაშები — არც მეტი, არც ნაკლები — „სამეურნეო უბანში“ განისვენებენ! არადა, რაშები ქალაქს თავის დროზე ძვირი დაუჯდა...



ვანყდები, რომ გაოცებული ვრჩები. მათ, ვისაც გულისა და სისხლძარღვების პრობლემები, დიაბეტი, ათეროსკლეროზი, მაღალი ქოლესტერინი, პროთრომბინი, წნევა, თირკმელები, ნალვლის ბუშტი, ან ღვიძლი ანუხებს, არ ვურჩევ. განსაკუთრებული სიფრთხილე მართებთ მამაკაცებს!

— როგორც ჰარვარდის უნივერსიტეტის კვლევამ აჩვენა, კვერცხის ყოველდღიური მიღება მამაკაცებში ნაადრევი სიკვდილიანობის რისკს 23%-ით ზრდის! ამავე მონაცემებით, დიაბეტიანებს, რომლებიც კვერცხს ხშირად მიირთმევენ, ინფარქტი და ინსულტი 2-ჯერ უფრო ხშირად ემართებათ, ვიდრე მამაკაცებს!

ბაბრქაძეა მი-17 გზ.

# სად ბაძრა რუსთავის შესასვლელიდან ცხენების ძანდაკება

რუსთავში ხმა დადის, ცხენებს ჯართში ჩაბარებას უპირებენ... მითხრეს, რაშების ბედს „სამეურნეო უბანში“ გაიგებო. გზას დავადექი. დანიშნულების ადგილზე მისულს დარაჯი დამხვდა, შუახნის მამაკაცი. გამოველაპარაკე:

- რამდენი ხანია, აქ მუშაობთ?
- სამი წელია.
- ცხენები აქ როდის „მოიტანეს“?
- რა ვიცი, შეილო, რაც აქ ვარ, ესენიც აქ „არაინ“ — კარგად ვუვლით, წყალს ვასმევთ (იცინის).
- ცხენებისთვის არავის მოუკითხავს?
- არა, თუმცა ჯიქია ყოფილა მოსული, მაშინ აქ არ ვიყავი, მაგრამ ვიცი, რომ ნამდვილად მოვიდა. თუ გინდა, წამობრძანდი და მეორე დარაჯს გაესაუბრე — დიდი ხანია, აქ მუშაობს და ყველაფერს დანერგვით მოგიყვება.
- პატარა ოთახში შევიდვართ. მეორე დარაჯს ვესალმები და პირდაპირ საქმეზე გადავდივარ:
- „თავისუფალი რაშების“ ავტორი აქ რომ მოვიდა, პირადად ნახეთ?
- დიახ... რამდენიმე წელია, ცხენები, აქ შენახვაზე „გვაქვს“.
- ეს „რამდენიმე“ წელი მაინც, რამდენია?
- 5-6... ჰოდა, ძალიან პატიოსნად ვინა-

ხავთ — ხომ ხედავთ, არაფერს ვაკლებთ, არც გამხდრები არიან (იცინის...) თვითონ ჯიქიასგან ვიცი, მოქანდაკისგან, ვინც ამ საავტორო უფლებით სარგებლობს, რომ ქალაქში ადგილს ეძებენ, სადაც ამ ცხენებს „დადგამენ“. მგონი, აი, ახალი გზა რომ კეთდება, იქ ნახეს ადგილი... ახლა, ამ ცხენებს გასუფთავება ხომ უნდათ, მაგრამ ამას როდის იზამენ, ვერ გეტყვი... რაშების „ბედით შენუხებულმა“ რუსთავის მერიის პროტოკოლის სამსახურს მივმართე. სამსახურის უფროსის, თამუნა აქუბარდიას თქმით, დიდი ხანია, „თავისუფლების რაშებზე“ არავის არაფერი უკითხავს. დამპირდა, შეკითხვები ელექტრონულ ფოსტაზე გამომიგზავნე და ყველაფერს მოგწერ, რაც განიტყვებს. კარგი-მეთქი, მაგრამ პროტოკოლის სამსახურის უფროსს, როგორც ჩანს, „მეილის გახსნა“ დაეზარა და, ძალაუნებურად, მომატყუა! „ქართულ სიტყვასთან“ საუბარი არც ქანდაკების ავტორმა ძმებმა ისურვეს... ასეა თუ ისე, „თავისუფლების რაშები“ დღეს რუსთავის ე.წ. „სამეურნეო უბანში“ „განისვენებენ“ და თავიანთ დროს ელიან...

სალომე ხუნაშვილი



საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს საინფორმაციო ცენტრი

„შენ – უკვდავების ჩამონადენი, მშვენიერებას ხომ შენით ითქვა; დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა“

კარინა ლუცინაძე

### საზოგადოება

#### მე-16 გვირგვინი

რე – მათ, ვინც ამ პროდუქტს საერთოდ არ იღებს.

– ანუ, კვერცხი იმდენად მანება, რომ ჯობია, საერთოდ არ ვჭამოთ?

– არა. ბავშვებისა და მოზარდებისთვის კვერცხი აუცილებელი და, შეიძლება ითქვას, შეუცვლელი პროდუქტია, რომელიც შეიცავს თითქმის ყველაფერს, რაც მზარდ ორგანიზმს სჭირდება – მას მრავალფეროვან, მაღალი ხარისხის, ადვილად მოსახმარებელ საშენ მასალას აწვდის.

1 საშუალო ზომის კვერცხი შეიცავს: 13 გრ ცილას, 10 გრ ცხიმებს, 1 გრ ნახშირწყლებს, გლუკოზას, ფერმენტებს, ვიტამინებსა და მიკროელემენტებს:

Vit.B1; B2; B6; B12; B9; vit K vit; C vitE ; vit D ; Ca; Fe; Zinc; CuNa; Mg; Mang.

1 კვერცხის კალორიულობაა – 157 კალ. 1 კვერცხი შეიცავს 210 მგ. ქოლესტერინს!

ასაკთან ერთად, კვერცხის გამოყენება უნდა შეიზღუდოს, ხანდაზმულებისთვის კი, მისი მიერთება ფუფუნებაა.

– სააღდგომო კვერცხზეც იგივე რჩევას მოგვცემთ, რასაც ჩვეულებრივ კვერცხზე?

– თუ ჯანმრთელი და ახალგაზრდა ხარ, შეგიძლია, პირველ, ანუ ადღგომის დღეს 2-3 ცალი კვერცხი მიირთვა. მეორე დღეს კი, მისი მიღება მიზანშეწონილი არაა. შემდეგი 3-4 დღე – 1 ან 2 ცალი. ეს ეხება მხოლოდ ადღგომის კვირას.

– არსებობს მოსაზრება, რომ სააღდგომო კვერცხი უფრო ხელსაწყოა. ალერგიულებმა ნითელი კვერცხი უნდა ჭამონ?

– დიახ, ასეა და ეს ქრისტიანობის კიდევ ერთი სასწაულია. საერთოდ, კვერცხი ერთერთი ყველაზე ალერგიული პროდუქტია, მაგრამ ადღგომის კვირას სრულიად უწყინარი ხდება და მისი მიერთება ალერგიულ ადამიანებსაც შეუძლიათ, მაგრამ ვურჩევდი, ნუ გათამამდებიან და 1 ცალზე მეტს ნუ მიიღებენ.

არაინ ადამიანები, რომელთაც კვერცხის გარეშე სიცოცხლე ვერ წარმოუდგენიათ. კვერცხის ფანებიც კი არსებობენ. წარმოიდგინეთ, „კვერცხის საერთაშორისო დღე“ კი არსებობს! 1996 წელს, ავსტრიის დედაქალაქ ვენაში „კვერცხის საერთაშორისო კომისიის“ კონფერენცია გაიმართა, სადაც კვერცხის საერთაშორისო დღედ ოქტომბრის მეორე პარასკევი გამოცხადდა. მას შემდეგ, ამ დღეს, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში კვერცხის „ფანები“ იკრიბებიან და ერთმანეთს ამ შესანიშნავი პროდუქტის სხვანაირად აღსანიშნავი კერძების შექმნაში ეჯიბრებიან. ამ დღეს განსაკუთრებული ერთობაშიაშია დღესასწაულების მოყვარული ამერიკელები აღნიშნავენ: ლუიზიანას შტატში გიგანტურ „ომლეტს“ ამზადებენ და ყველას უმასპინძლებიან. რამდენიმე წლის წინ, ხანგრძლივი მსჯელობის შედეგად მიიღეს გადაწყვეტილება, გაეთქვათ თავიანთი რეცეპტის „საიდუმლო“: ქათმის 5000 ცალი კვერცხი, 6 ლიტრი ზეთი, 25 ლიტრი რძე და 10 კილოგრამი მწვანილი (არ ზუსტდება, რომელი. ასე რომ, თუ გიგანტური „ომლეტის“ დამზადებას აპირებთ, მწვანილი, შეგიძლიათ, გემოვნებით გამოიყენოთ).

კვერცხთან დაკავშირებული დღესასწაული ფრანგებსაც აქვთ, რომელიც ნაპოლეონის სახელს უკავშირდება: ამ დღეს ზარზედებით პროვინცია ბესიერში აღნიშნავენ – საფრანგეთის იმპერატორს „ქათმის საჩუქარი“ პირველად სწორედ აქ გაუხინჯა ავს და მას შემდეგ „ომლეტი“ ბესიერის მაცხოვრებლების სიამაყე გამხდარა.

ნადირობისას დაკარგულ ავსტრიის იმპერატორ ფრანც იოსებს გლეხური ერბოკვერცხი რომელიც სოფელში გაუხინჯავს და ისე მოსწონებია, რომ დილას კვერცხის გარეშე აღარ იწყებდა. სწორედ მისი წყალობით მოხვდა კვერცხი დიდგვაროვანთა სუფრაზე და ევროპულ საუზმეში საპატიო ადგილიც სამუდამოდ დაიმკვიდრა.

კვერცხის კიდევ ერთი მოტრფიალე რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე ყოფილა, რომელმაც სააღდგომოდ იმპერატორის ოჯახის წევრებისთვის ქათმის კვერცხის ნაცვლად, ძვირფასი კვერცხის ჩუქების ტრადიცია დამკვიდრა, ამ კვერცხებს ფაბერჟეს უკეთავდნენ. თითო კვერცხზე მთელი

წლის განმავლობაში მუშაობდნენ, ზუსტდებოდა და იხვეწებოდა ყველა დეტალი. მოთხოვნა ძალიან დიდი იყო. ხარისხისა და დიზაინის გარდა, უნდა ყოფილიყო რაიმე ისეთი სიურპრიზიც, რომელიც ჭირვეული იმპერატრიცების აღფრთოვანებასაც გამოიწვევდა. ფაბერჟეს სახელსწრთ, იმპერატორთა ოჯახის დაკვეთით, სულ 71 ასეთი კვერცხი დაამზადა.

– საინტერესო ტრადიციაა...

– დიახ. სხვათა შორის, ეს ტრადიცია არ მომკვდარა და დღესაც არიან მამაკაცები, რომლებსაც შეუძლიათ, საყვარელ ქალს ასეთი სიურპრიზი გაუკეთონ. რამდენიმე წლის წინ, ლონდონის აუქციონზე დიდი ამბავი ატყდა – ასეთი კვერცხის შექმნის მსურველი ბევრი აღმოჩნდა. კვერცხი კი, მხოლოდ 1 იყო. ბოლოს, ფაბერჟეს ცნობილი 30-სანტიმეტრიანი ვარდისფერი კვერცხი ვინმე ეივარეს ერგო, რომელსაც, სულ რაღაც, 18,5 მილიონი დოლარი გადაიხდა!

– მოდით, ისევ ქართულ ტრადიციებს დავუბრუნდეთ, ქალბატონო თინა, სააღდგომო სუფრა როგორი უნდა იყოს?

– ადღგომის დილას, ვალმოხდინი ღვთისა და საკუთარი თავის წინაშე, ნამარხულევი მართლმორწმუნეები მივუსხდებით სადღესასწაულო სუფრას და მივეცემით გასტრონომიულ განცხრომას... მივეძალებით მონატრებულ სასუსნავს და არც კი ვფიქრობთ, თუ რა ზიანს ვაყენებთ საკუთარ თავს, რომ თითქმის 2-თვიანი მარხვის შემდეგ, უცებ ჩვეულებრივი კვების რეჟიმს ვუბრუნდებით.

ჩვენთან, რატომღაც, ითვლება, რომ სააღდგომო სუფრაზე უნდა იყოს მრავალფეროვანი კერძები: გოჭი, ლორი, კვერცხი, „კუხი“, კეჭი, ხაჭაპი პასკა და სხვადასხვა ტკბილეული. ეს დიდი შეცდომაა. ნამარხულევი ორგანიზმს უცებ ნუ მივყურით მრავალფეროვან საკვებს. გავიხსენოთ, როგორ ნელ-ნელა ვინყებთ მარხვას: ჯერ ხორცს ვემშვიდობებით, შემდეგ – რძის პროდუქტებს, მერე, ეტაპობრივად, – ცხოველურსა და მცენარეულ ცხიმებს, მოგვიანებით ხილსა და ბოსტნეულსაც ავიკმაძალავთ და ბოლო კვირას, პრაქტიკულად, წყლითა და პურით ვმარხავთ ხაჭოს ნამცხვარს და თანდათან გავიხსენოთ: ჯერ რძის პროდუქტების, შემდეგ, ფრინველის, თევზის და, ბოლოს, ხორცის გემო. მხოლოდ ასე შეეძლება, არ დავიზიანოთ ჯანმრთელობა და შევიწარმოოთ მარხვის შედეგად გაჯანსაღებული ორგანიზმი.

– რას ამბობთ?! – ესე იგი, ადღგომას გოჭი არ მივირთვით?

– არც – გოჭი და არც – ლორი. პირველ დღეს სასურველია, მხოლოდ კვერცხსა და პასკას დავჯერდეთ. ორივე საკმაოდ კალორიულია და ნამარხულევი ორგანიზმისათვის სრულიად საკმარისია. შემდეგ დღეებში დავამატოთ ხაჭოს ნამცხვარი და თანდათან გავიხსენოთ: ჯერ რძის პროდუქტების, შემდეგ, ფრინველის, თევზის და, ბოლოს, ხორცის გემო. მხოლოდ ასე შეეძლება, არ დავიზიანოთ ჯანმრთელობა და შევიწარმოოთ მარხვის შედეგად გაჯანსაღებული ორგანიზმი.

– ეს ზიანი რაში გამოიხატება?

– მარხვის დროს ორგანიზმი კვების სულ სხვა რეჟიმზე გადასწავლილია. სხვაგვარად მუშაობს მისი ფერმენტული აპარატიც. ამ მდგომარეობიდან ჩვეულებრივ რეჟიმზე უცებ გადასვლა ორგანიზმისთვის დიდი სტრესია. ამის შედეგია, რომ ხსნილიდან რამდენიმე დღეში საგრძნობლად იმატებს ნაღვლის ბუშტის შეტევით, ღვიძლის, პანკრეასის, კუჭ-ნაწლავის პრობლემებითა და ბუასილის გამწვავებით ექიმებთან მოსული პაციენტების რიცხვი.

– რაც შეეხება ხორცს...

– სააღდგომო სუფრაზე ყველაზე კარგია ჩაქაფული. განსაკუთრებით, – ბატკნის. ვისაც ბატკანი არ უყვარს და ასეთი ბევრია, მიირთვას ხბოს ხორცი.

– რატომ მაინც და მაინც ჩაქაფული?

– ჩაქაფულში ისეთი კომბინაციაა – ახალი ტყემალი, ტარხუნა, მწვანე ხახვი და სხვა მწვანილი, რომელიც, ხალხურ ენაზე რომ ვთქვა, ზამთარში გასქელებულ სისხლს ათხევებს, მაგრამ ასევე აუცილებელია – ცხოველური ცილა და ცხიმი. საამისოდ კი, ყველაზე ეფექტური ბატკანია.

– გამოიგია, ბატკნის ხორცი არცთუ სასარგებლოა...

– მავენ კი არაა, უბრალოდ, ბევრს მისი გემო არ მოსწონს, ბევრსაც სწორედ იმიტომ არ უყვარს, რომ მავენ ჰგონია, რაც შეე-



ხება იმას, რომ ვილაცას სწყენს, საქმე ისაა, რომ ბატკნის ხორცი აქტიურებს ღვიძლის ფუნქციებს და აძლიერებს ნაღვლის პროდუქციას. ასევე, აქტიურდება საქმლის მონელების პროცესი, ნაწლავების პერისტალტიკა, მოტორული ფუნქცია და იწყება ორგანიზმის წმენდა. თუ ადამიანს დისკომფორტი შეექმნა, ეს იმაზე მეტყველებს, რომ ღვიძლზე, ან ნაღვლის ბუშტში პრობლემა აქვს და არა – იმაზე, რომ ხორცმა აწყინა.

– ანუ, ბატკნის ხორცი რთული მოსანელებელი არაა?

– დიახ, არაა. მეტიც, ის ორგანიზმისათვის ყველაზე ადვილად ასათვისებელია. ხორცი, რომელსაც მივიღებთ, ორგანიზმში უამრავ ბიოქიმიურ პროცესს გადის, რის შედეგადაც მისი ცილები პატარა აგურებად – ამინომჟავებად იშლება, რომლისგანაც ორგანიზმმა საკუთარი ცილები უნდა აიშენოს. აღმოჩნდა, რომ ბატკნის ხორცის ცილა, თავისი შემადგენლობით, ყველაზე ახლოსაა ჩვენს ცილებთან. ამიტომ მისი მი-

ღებისა ადამიანის ორგანიზმი მინიმალურ ენერჯიას ხარჯავს. ქოლესტერინი კი, გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ყველა სხვა ხორცში.

კიდევ ერთ რამეს დავამატებ, რისი თქმაც წელან მინდობა...

– გისმენთ, ქალბატონო თინა...

– კვერცხი – სამყაროს ერთ-ერთი ყველაზე დიდი საოცრება, სიცოცხლის საიდუმლო – თხევადი ცილის გარსში ჩაძირული, მკვრივი ნაჭურჭით დაცული, მზისფერი გულია. ერთ მშვენიერ დღეს, შიგნიდან ტყდება და იქიდან გადმოაბიჯებს ახალი სიცოცხლე... ეს ხომ ნამდვილი სასწაულია! მაგრამ, ამას ვერ ვამჩნევთ ისევე, როგორც ბევრ სხვა სასწაულს, რომელიც ჩვენს გარშემო ხდება... რამდენიმე დღეა დარჩა... ყველას გილოცავთ, ადღგომის ბრწყინვალე დღესასწაულს.

– ქრისტე აღსდგა!  
– ჭეშმარიტად!

ესაუბრა ბექა ლიბრაძე

### საზოგადოება

## იკურნება თუ არა ე.ნ. კომპლექსები

ადამიანები კომპლექსების დაფარვას ისეთი საქციელით ცდილობენ, რისი გაკეთებაც მხოლოდ „უკომპლექსოებს“ შეუძლიათ. რა ინვესტაციაა კომპლექსი? – „ქართული სიტყვა“ აშშ-ში მოღვაწე ქართველ ფსიქოლოგ მაია სუბაშვილს ესაუბრა.

### აშშ-ში მოღვაწე ქართველი ფსიქოლოგის პრაქტიკული რჩევები

– ქალბატონო მაია, კომპლექსი რა არის?

– კომპლექსი უამრავი სახისაა, თუმცა ყველა კომპლექსის საფუძველი საკუთარ თავში დაურწმუნებლობაა. ადამიანმა, თვითრწმენა რომ არ დაკარგოს, საკუთარი შესაძლებლობები სრულად უნდა იცოდეს.

– ადამიანები საკუთარ თავში რატომ იკეტებიან?

– ამის მიზეზი ბავშვობაში უნდა ვეძებოთ. ერთ შემთხვევაში, საკუთარ თავში ჩაკეტივა, შეიძლება, რაიმე ტრავმით, ვთქვათ, საყვარელი ადამიანის დაკარგვით, ან ვინმესგან უგულვებლყოფით იყოს განპირობებული. მეორე შემთხვევაში კი, ჩაკეტივა შეიძლება, უარით ავსხნათ.

– რას გულისხმობთ?

– მაგალითად, გოგომ უარი უთხრა და ბიჭი საკუთარ თავში ჩაკეტიდა. საერთოდ, უარის თქმა სიტუაციურია და თუ ადამიანი მგრძნობიარეა, უარმა მასზე, შეიძლება, უარყოფითად იმოქმედოს.

– კომპლექსი დაავადებაა?

– კომპლექსი პათოლოგია არაა, თუმცა ინტენსივობას და იმასაც გააჩნია, კომპლექსი ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაზე გავლენას ახდენს თუ არა. საკუთარ თავში დაურწმუნებლობა დაავადებას არ ნიშნავს.

– კომპლექსები უფრო ახალგაზრდებს რატომ აწუხებთ?

– ადამიანი ყველაფერს გამოცდილებით იძენს. ისევ გოგოს გაცნობის თემას დავუბრუნდები. – როცა შეხვედრება გთანხმდება, საკუთარი თავის რწმენას იძენ. ეს უკვე გამოცდილებაა. ხაზს ამ თემას იმიტომ ვუსვამ, რომ ახალგაზრდებში, ვფიქრობ, ყველ-

აზე აქტიუალური სწორედ ეს ურთიერთობაა.

– ქალბატონო მაია, ე.ნ. უკომპლექსო ადამიანები არსებობენ?

– ე.ნ. უკომპლექსობა შეიძლება, თავის დამკვიდრების მარტივ საშუალებად ჩავთვალოთ.

– კომპლექსი როგორ უნდა დავძლიოთ?

– ეს თავად სუბიექტურია დამოკიდებული. მთავარია, ადამიანმა საკუთარ თავზე იმუშაოს.

– თქვენი დაკვირვებით, „ფსიქოლოგიური არამდგრადობა“ ქართველ ახალგაზრდებში უფრო შეიმჩნევა თუ ამერიკელებში?

– ამის თქმა რთულია, თან ორივე ერის ახალგაზრდობას ბევრი საერთო პრობლემა აქვს. ისე, ქართველებსა და ამერიკელებს შორის, მენტალიტეტიდან გამომდინარე, დიდი განსხვავებაა...

საერთოდ, კომპლექსის დაძლევისთვის კარგია ფსიქოთერაპია, ასევე, მედიკამენტებიც, ოღონდ ეს მაშინ, როცა თერაპიული კურსები უშედეგოა.

– ქალბატონო მაია, „კომპლექსიანებს“ რას ურჩევთ?

– ყველაფერი, რა თქმა უნდა, თქვენზეა დამოკიდებული: თუ გინდათ, რომ თავისუფალი იყოთ, მაშინ გონებაში იმ ნეგატიურ შეხედულებებს და აზრებს უნდა აჯობოთ, რომლებიც გბოჭავთ და გზღუდავთ. მხოლოდ მონდომებაა საჭირო და ადამიანი კომპლექსებს თავს ფსიქოლოგის ჩარევის გარეშე დააღწევს. საკუთარ თავზე მუშაობა ადამიანის ერთ-ერთი საუკეთესო თვისებაა!

ესაუბრა გიორგი ნემსინვერიძე





„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებას სომ შენით ითქვა; დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვავე, ქართული სიტყვავე“

კარნეგის

საქართველო  
საქართველო



### სტივენ სპილბარგი სამეცნიერო-ფანტასტიკურ ფილმს იღებს

ცნობილია, რომ სურათს „მოემზადოს პირველი მოთამაშე“ ერქმევა და გადაღებები, სავარაუდოდ, 2016 წელს დაიწყება. გავრცელებული ინფორმაციით, ფილმის სცენარი ერნესტ კლაინის ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით იწერება.

კლაინის რომანში მოქმედება უახლოეს მომავალში, გლობალური კრიზისის დროს ვითარდება – კაცობრიობის მნიშვნელოვანი ნაწილი ცდილობს, უღმობელ რეალობას ვირტუალურ უტოპიაში დაემალოს, რომელსაც ოაზისი ჰქვია. ოაზისში ყველას ცხოვრების იდეალური ალტერნატივის შანსი ეძლევა. ვირტუალურ თამაშში, რომლის გამარჯვებულსაც ოაზისის მომავალი მფლობელის ქონება ერგება, რომანის მთავარი გმირი უფიქროსი ჩაერთვება...

### ლეონარდო დე ვინჩის პირველი ცოლი მოკვდა

როგორც დასავლური პრესა იუწყება, „ბითლზის“ ლეონარდო დე ვინჩის, ჯონ ლენონის პირველი ცოლი გარდაიცვალა. სინტია 75 წლის იყო. სინტიას ვაჟის ინფორმაციით, გარდაცვალების მიზეზი სიმსივნე გახდა.

ჯონმა და სინტიამ ერთმანეთი ლივერპულის ხელოვნების კოლეჯში გაიცნეს. წვეილი 1962 წლის აგვისტოში დაქორწინდა და ვაჟი შეეძინა, რომელსაც ჯულიანი დაარქვა. მათ ერთად სულ 6 წელი იცხოვრეს – 1968 წელს ჯონი იოკო ონოსთან წავიდა, რომელიც მოგვიანებით ცოლად შეირთო. ვერ ვიტყვი, რომ სინტიას განშორებამ გული ატკინა. ყოველ შემთხვევაში, ლენონის შემდეგ, მას კიდევ სამი ქმარი ჰყავდა.



### პიკასოს „ალჟირელი ქალბი“ 140 მილიონად იყიდება

მაღე, „Christie's“-ის აუქციონზე პაბლო პიკასოს ნახატს გამოიტანენ – „ალჟირელი ქალბი“ 140 მილიონ დოლარად შეფასებული.

„ალჟირელი ქალბი“ პიკასომ 1955 წელს დახატა. 1997 წელს, ტილო აუქციონზე კერძო კოლექციონერმა ცოლქმარმა – ვიქტორ და სალი განცმა გამოიტანა და 31,9 მილიონად შეფასა. ნიშანდობლივია, რომ 1956 წელს ცოლქმარმა „ალჟირელი ქალბი“ ავტორს 212,5 ათას დოლარი გადაუხადა.

ნახატზე, რომელიც პიკასომ ეფენ დელაკრუას ამავე სახელწოდების ტილოს შთაგონებით შექმნა, კურტიზანი ქალბის ჯგუფია გამოსახული.

### ცუკერბერგი რუსეთს სანდციებს უწესებს

„ცოტამ იცის, რომ დედის მხრიდან წარმოშობით უმანიდან ვარ. ძალიან მორწმუნე არ ვარ, მაგრამ რამდენიმეჯერ ჰასიდებთან ერთად, ინკოგნიტოდ უმანში რომ ა-შანას (ებრაული ახალი წელი) დღესასწაულზე ჩავედი. უკრაინას ჩემს მეორე სამშობლოდ მივიჩნევა. ამიტომ არ შემიძლია, იმას, რასაც რუსეთი ყირიმსა და დონბასში აკეთებს მშვიდად ვუყურო, – აცხადებს Facebook-ის შემქმნელი და იქვე, დასძენს, – როცა რუსეთში ჩავედი და რეზიდენტ მედვედევს შევხვდი, ფეხი დამაძვია და ბოდიშიც არ მოუხდია. ამიტომ მივიჩნევა, რომ ეს სპეციალურად გააკეთა. ასე მხოლოდ ველური და უზრდელი ადამიანები იქცევიან“.

მარკ ცუკერბერგის თქმითვე, Facebook-ზე რუსული სეგმენტისათვის ე.წ. წერის ფუნქციას გათიშავს.



### პოლ უოკერის გარდაცვალების საიდუმლო

კომპანია „პორშე“ პოლიციაში პოლ უოკერის გარდაცვალების საიდუმლოს ფარდასხდის და აცხადებს, რომ ავტოკატასტროფის მიზეზი მანქანის კონსტრუქცია კი არა, მძღოლი როჯერ როდასი გახდა. „პორშემ“ ეს განცხადება მას შემდეგ გააკეთა, რაც როდასის ქვრივმა სასამართლოში კომპანიის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა. ქალის თქმით, კატასტროფა ავტომობილის გაუმართაობის გამო მოხდა. „კომპანიაში ავტომობილის ხარვეზების შესახებ იცოდნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩემს მეუღლეს არაფერი უთხრეს“, – ამტკიცებს ქალი. შეგახსენებთ: პოლ უოკერი, რომელიც მსოფლიომ „ფორსაჟით“ გაიცნო, 2013 წლის ნოემბერში, ავტოკატასტროფაში დაიღუპა.



**ბორბოსი**

შენ არავინ არა გგავს, სიძულვილის ნიმუშო, შენ სხვა საქმე არა გაქვს, მხოლოდ უნდა იმრუშო.

**ბანძი**

შენზე ისიც თქვეს, „ბანძია“, შენ სულ ბოროტება გწყურია, შენი იდილია ღვარძლია, შენი დითირამბი შურია.

**ჰიდროცეფალია**

იქ, კიევში, შემკრთალია, თბილისიდან წავა კი? მას აქვს „ჰიდროცეფალია“ – თავისქალის წყალმანკი. ჯოჯოხეთში ბევრს აკლიხარ, გვიმძიმს შენი ატანა, ავსული ხარ, ეშმაკი ხარ, ესე იგი, – სატანა. სანამ მაგ ტვინს არ დაგინგრევთ, წადი, დროზე აუსვი, ნუთუ, ჭკუას არ გარბიგებს შენი სანდრა-კლაუსი?

**ღავინჯავულ ძხაკაც ოთარ გაბელაშვილს**

თუ არ გნახე სამ-ოთხ დღეში, მეშინია ამ მტრების, მე რომ წავალ სამოთხეში, იქაც მომენატრები.

**იდილია**

გაუმარჯოს, შურით მოკლულ დიდ ილიას, საქართველო იყო მისი იდილია.

**ელიტა**

გაუმარჯოს საქართველოს ელიტას, შურიანი ამ ელიტას ვერ იტანს.

**გაღიზიანება**

სენტიმენტალიზმიანებით მეტისმეტად ვლიზიანდები.



**მილა იოვოვიჩის მეორე გოგონა შეპეინა**

რამდენიმე დღის წინ, უკრაინული წარმოშობის პოლიფუდეღმა იმ-შობიარა – მილა იოვოვიჩმა გოგონა გააჩინა.

„სიამაყით გაცნობებთ, რომ შეგე-ქინა მეორე შვილი. ის ძალიან ლამა-ზია“, – დაწერა მილამ ერთ-ერთ სოც-იალურ ქსელში და არც ის დამალა, რომ გოგონას, მეუღლესთან შეთანხმ-ებით, დაშიევი დაარქვა.

ცნობისთვის: მილას ქმარი რეჟის-ორი პოლ ანდერსონია. წყვილის პირ-ველი შვილი 7 წლისაა.

სხვათა შორის, იოვოვიჩი, რომე-ლიც სამოდლო ბიზნესში 11 წლის ასაკში ჩაერთო, გასულ წელს ჟურნა-ლმა „ფორბსმა“ ყველაზე მაღალანა-ზღაურებად მოდელად აღიარა და მისი ქონება 10,5 მილიონ დოლარად შეაფასა.



თბილისის პირველი კლინიკური საავადმყოფოს (ყოფილი „არამიანცის“) ეივლები – „ეპერჯენსი“



**ღიზაინის საავტორო უფლებები დაცულია**



მთავარი რედაქტორი: **ჯანსუღ ჩარკვიანი**  
მთ. რედაქტორის მოადგილე: **ვანო პავლიაშვილი**  
სარედაქციო კოლეგია:  
**ჭაჭაპა ამირეჯიანი, ივარაზ ბარბაქაძე, ბაჩანა ბრეგვაძე, თამარ გოცაძე, ეზარ კვიციანი, არგაზ სანუაშვილი.**

მედია-ჯგუფი: მარიკა კახაძე, ნათია გოგიტიძე, ნათია ვერკეული, ნათია ლეზანიძე.  
ღიზაინერი და ფოტოკორესპონდენტი: **ზურა მებრეულიძე.**

გაზეთი რეგისტრირებულია რეპროდუქციის ცენტრის (საბაღაშაძის ინსტიტუტი) მიერ. რეგისტრაციის №22851  
E-Mail: [qartulivitya@gmail.com](mailto:qartulivitya@gmail.com)  
გაზეთი მოქმედებს თბილისში პრესის პრინციპით  
მისამართი: 26 მაისის მოედანი. №1  
ტელ.: 272-63-90